# არსენალი

№ 2 (123). 21 იანვარი – 3 თებერვალი, 2011 წ. სამხედრო-ანალ... რნალი. ფასი 1,5 ლარი.



## ტრაგედია ღულაში ჩაშვებულმა ორმა ნაღმმა დაატრიალა

1425/2
2011

## „ქართული ომების ისტორიიდან" — ახალი რუბრიკა სამხედრო ხელოვნების მოყვარულთათვის

## აფხაზეთში ღალატისთვის დახვრეტილი ათი წლის შემდეგ უდანაშაულოდ ცნეს

ექსკლუზივი

## მობილურებმა 100 გვარდიელის სამსახური შეიწირა




KГБ-ს საიდუმლო მეთოდები — „ნაბახუსევზე" გამოსასვლელად

14



„თბილისიდან" გასულელებული გერმანული „აბვერი"

50




მკითხველს აინტერესებს? — ჩვენ ვპასუხობთ!

47

შვეულმფრენებით გადასხმული პირველი დესანტი

30






რა აკავშირებს საქართველოსთან სევასტოპოლთან ჩაძირულ სარაკეტო კატარღას

18

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი

**კალეიდოსკოპი**
4 ახალი ამბები

**სიახლე**
7 J-20 — რეალობა თუ მორიგი ჩინური პლაგიატი?

**ტრაგიკული ინციდენტი**
8 ტრაგედია ლულაში ჩაშვებულმა ორმა ნაღმმა დაატრიალა

**ექსკლუზივი**
9 მობილურებმა 100 ქართველი გვარდიელი სამსახურის გარეშე დატოვა

**აღიარება**
10 მთავარი „ფანდარასტი“ ვლადიმერ სანაკოევი ყოფილა...

**სპეცსამსახურების არქივებიდან**
11 სომხეთის მთავარი მზვერავი რუსეთის აგენტი იყო?

**სპეცსამსახურების მეთოდები**
14 ლხინი და „ნაბახუსევთან“ ბრძოლა სპეცსამსახურებში

**რეგიონი**
16 კავკასიური მოვლენების მიმოხილვა...

**საზღვაო შემთხვევა**
18 „უმანისა“ და „თბილისის“ არასაბრძოლო სიკვდილი

**ტერორისტული ორგანიზაციები**
20 ქურთისტანის მუშათა პარტია (ქმპ)

**საბედისწერო შეცდომა**
25 აფხაზეთში ღალატისთვის დახვრეტილი
10 წლის შემდეგ უდანაშაულოდ ცნეს

**ინოვაციური ტექნოლოგიები**
30 შვეულმფრენები — კორეული დებიუტი

**ავიაციის პიონერები**
35 სიმაღლეთა დამპყრობი

**ტანკმშენებელი ქვეყნები**
38 არაბული ტანკები — განახლებული ძველი ტექნიკა

**ქართული ომების ისტორიიდან**
44 უძველესი ქართველური ტომების პირველი მტრები

**მკითხველის გვერდი**
47 რევოლუციური პროექტები

**სამხედრო ისტორიები**
50 როგორ ატყუებდა გერმანულ „აბვერს“ „თბილისელი აგენტი“

**სამხედროების ისინიან**
52 ჯარისკაცის წერილი შეყვარებულს

**„არსენალის“ იარაღის მაღაზია**
54 ჩეჩნური „მგელი“, რომელსაც სომხური ფუძე ჰქონია

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

პალიტრა მედია

## რედაქტორის სვეტი

რუსეთის მასმედიაში მორიგი ისტერია დაიწყო — თურმე აშშ საქართველოსთვის მესამე ქვეყნების საშუალებით საზენიტო „პეტრიოტებისა“ თუ ტანკსაწინააღმდეგო „ჰელფაირების“ მიწოდებას აპირებს. ასეთი დეზინფორმაცია რუსულ საინფორმაციო საშუალებებში პერიოდულად ვრცელდება, რასაც უთუოდ პოლიტიკური მიზანი აქვს. კერძოდ, ამ „დეზინფორმაციული შეტევით“ კრემლი აფრთხილებს თეთრ სახლს, რომ შეიარაღება არ მიაწოდოს საქართველოს. მაგრამ აშშ-ები ჩანს სულაც არ ჩქარობს ქართული არმიის დახმარებას — 2008 წლის აგვისტოს ომიდან ორწელიწად-ნახევრის გასვლის შემდეგაც პენტაგონს ჩვენთვის არ მოუწოდებია არც საზენიტო და არც ტანკსაწინააღმდეგო შეიარაღება. ამერიკული სამხედრო დახმარება განსაზღვრულია მხოლოდ იმ ქართველი სამხედროების მოსამზადებლად, რომლებიც ავღანეთში ამერიკელების გვერდით საბრძოლველად იგზავნებიან.

*ირაკლი ალადაშვილი*
*თემურ ჩაჩანიძე*

ყურადღება!
გამოიწერეთ „არსენალი“
და მიიღეთ შინ,
ორ კვირაში ერთხელ!
ტელ: 38-26-74; 38-26-73

რედაქციის დაუკითხავად
მასალების გადაბეჭდვა
აკრძალულია

გადაცემულია დასაბეჭდად
17.01.2011

გაზეთ „კვირის პალიტრის“
დამატება ©
რედაქციის მისამართია:
თბილისი, იოსებიძის ქ. N49
ტელ: 38-83-07 (121)

სარეკლამო განყოფილება:
ტელ: 37-78-07; 38-78-70
email: arsenali@kvirispalitra.com
ჟურნალი გამოდის
ორ კვირაში ერთხელ
პარასკევს

ეროვნული ბიბლიოთეკა



# უნიათო ტერორისტი და თვით მფრინავის უშიშარი მგზავრი

თურმე, თუ გული გულობს, თვითმფრინავში ტერორისტის გაუვნებლება მგზავრებსაც შეუძლიათ. რა თქმა უნდა, ბოროტმოქმედსაც გააჩნია.

ახლახან ნორვეგიიდან თურქეთში რეისის შესრულების დროს, Turkish Airlines-ის თვითმფრინავში, რომელშიც 67 მგზავრი იყო, ჩოჩქოლი მაშინ ატყდა, როდესაც თვითმფრინავი სტამბოლში, ათათურქის სახელობის აეროპორტში დასაშვებად ემზადებოდა. ერთ-ერთმა მგზავრმა, რომელსაც სახეს ნიღაბი უფარავდა, თვითმფრინავის სასწრაფოდ ნორვეგიაში გაბრუნება მოითხოვა და დაუმორჩილებლობის შემთხვევაში ასაფეთქებელი საშუალების ამოქმედებით დაიმუქრა.

შემდეგ ტერორისტმა მფრინავების კაბინაში შეღწევა სცადა. როგორც მგზავრები იხსენებდნენ, ბოროტმოქმედს რამდენჯერმე სთხოვეს, განზრახვაზე ხელის აღება, მაგრამ სიტყვამ რომ არა და არ გაჭრა, ერთმა ზორბა მგზავრმა ტერორისტს მოულოდნელად ქეჩოში სტაცა ხელი და ისე შებოჭა, თურმე საბრალოს სუნთქვაც კი გაუჭირდა.

ბოროტმოქმედის გაუვნებლების შემდეგ ეკიპაჟის წევრებმა მომხდარის შესახებ უმალ უშიშროების სამსახურს შეატყობინეს და დამნაშავე თვითმფრინავის აეროპორტში დაშვებისთანავე დააკავეს. ის თურქეთის მოქალაქე, 40 წლის ჯუმა აშარი აღმოჩნდა, რომელმაც სამართალდამცველებს თავი ინვალიდად წარუდგინა და გათავისუფლება სთხოვა.

რაც შეეხება ასაფეთქებელს, რომლის ამოქმედებითაც ტერორისტი იმუქრებოდა, სინამდვილეში ბომბი სულაც არ ყოფილა და მხოლოდ შესაშინებლად გაკეთებულ მულაჟს წარმოადგენდა.

# ორბი „მოსადის“ ჯაშუშობაშია ეჭვმიტანილი

საუდის არაბეთის სპეცსამსახურებმა შეიპყრეს თეთრთავა ორბი, რომელიც მათი ვარაუდით, ისრაელის სასარგებლოდ ჯაშუშობდა. ფრინველი, რომელსაც თელ-ავივის უნივერსიტეტის კოორდინატებიანი GPS-ის გადამცემი ეკეთა, ჰაიმელის რაიონში ადგილობრივმა მცხოვრებლებმა იანვრის დასაწყისში აღმოაჩინეს და უმალ სამართალდამცველებს გადასცეს.

GPS-იანი ორბის აღმოჩენის ამბავმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. არაბულენოვან მასმედიასა და ბლოგებში მაშინვე გამოითქვა ეჭვი, რომ ფრინველი სიონისტური შეთქმულების ნაწილი და ებრაული შპიონაჟის ახალი საშუალება იყო.

ამ ფაქტს მალევე გამოეხმაურნენ ებრაელი მეცნიერები, რომლებმაც არაბთა ეჭვებს ანტიებრაული ისტერია უწოდეს და უდანაშაულო ფრინველის გამო სიბრალული გამოხატეს. ორნიტოლოგთა განმარტებით, საკითხი ეხება წმინდა მეცნიერულ კვლევას, რომლის დროსაც დამკვირვებლები ფრინველებს GPS-ის გადამცემს მათი ადგილმდებარეობის, ფრენის სიჩქარისა და სიმაღლის განსაზღვრისთვის უკეთებენ.

ასეა თუ ისე, ეს პირველი შემთხვევა არაა, როდესაც ცხოველებს ისრაელის დაზვერვასთან კავშირში ადანაშაულებენ. შარშან დეკემბერში ეგვიპტის პროვინცია სამხრეთ სინაის გუბერნატორმა ეჭვი გამოთქვა, რომ შარმ-ელ-შეიხის ახლოს ზღვაში კაციჭამია-ზვიგენის გამოჩენაში სწორედ „მოსადის“ ხელი ერია.



# ამერიკელ სამხედროებს „ტერმინატორის მხედველობა“ ექნებათ



აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებულმა პერსპექტიული კვლევების სამმართველომ (DARPA) მორიგი პროექტი — SCENICC-ი წარმოადგინა. ჩაფხუტზე გასაკეთებელი ამ მოწყობილობით ჯარისკაცი სამყაროს სამგანზომილებაში ხედავს. ბონიკულარული სათვალე-აპარატი ციფრული კამერებითაა აღჭურვილი და გამოსახულების 10-ჯერ გადიდების საშუალებას იძლევა. აქვს სამიზნე და ხედვის არეში მოხვედრილ ობიექტთა ამოსაცნობი სისტემა. ერთი სიტყვით, ამ აპარატით მეომარი სამყაროს ცნობილი მძაფრი სიუჟეტიანი ფილმის „ტერმინატორივით“ ხედავს.

აპარატის აკუმულატორები 24 საათი მუშაობს და სულ 700 გრამს იწონის. მისი მართვის მექანიზმი უცნობია, თუმცა ერთი რამ ნათელია — გამოყენებისას მეომარს ხელები დაკავებული არ ექნება.

სათვალე-კომპიუტერი მებრძოლისათვის მნიშვნელოვან მონაცემებს სხვა ანალოგიური მოწყობილობებიდან, დაზვერვის სხვადასხვა საშუალებიდან და მათ შორის უპილოტო საფრენი აპარატებისგანაც მიიღებს. სხვა საქმეა, რამდენად შეძლებს მისი მფლობელი მიღებული ზღვა ინფორმაციის ანალიზსა და გამოყენებას, განსაკუთრებით — ბრძოლის ველზე.

სავარაუდოდ, პროექტის დასრულებას ოთხი წელი დასჭირდება და გამოგონება კონკურენციას გაუწევს სისტემა Nett Warrior-ს, რომელზეც ერთბაშად სამი წამყვანი კომპანია — Raytheon-ი, Rockwell Collins-ი და General Dynamics- ი მუშაობს. სისტემა Nett Warrior-ში მოიაზრება მეომრის ტანზე განთავსებული Gadget-თა კომპლექსი, რომელიც ციფრულ რუკებს, კომპიუტერებსა და რადიოკავშირის საშუალებებს მოიცავს.

# „მილოცავთ შობას, დაყარეთ იარაღი!“



საშობაოდ კოლუმბიის სამთავრობო არმიის სარდლობამ უკანონო შეიარაღებული ფორმირების — „კოლუმბიის რევოლუციური შეიარაღებული ძალების“ (FARC) წევრთა დანებების მიზნით უჩვეულო პროპაგანდისტული ოპერაცია წამოიწყო.

კოლუმბიელმა სამხედროებმა ჯუნგლების სიღრმეში, იქ, სადაც ექსტრემისტები თავს აფარებენ, ილუმინაციებითა და სათამაშოებით მორთული საშობაო ნაძვის ხეები დადგეს. ნაძვის ხეებს აქვს ელექტრონული ტაბლოები, რომლებზეც მიახლოებისთანავე ინთება წარწერა: „შობა ჯუნგლებშიც დგება და შეგიძლია შინ მშვიდობით დაბრუნდე. დაუშვი იარაღი და დანებდი! შობას ოცნებები აგიხდება“.

ტაბლო-სათამაშოებით მორთული ნაძვის ხეების ჯუნგლების სიღრმეში დასადგმელად კოლუმბიელმა სამხედროებმა შვეულმფრენები Blackhawk-ი გამოიყენეს. მისიის შესრულება კი ერთ-ერთ გამორჩეულ სპეცრაზმს მიანდვეს.

კოლუმბიის მემარცხენე რადიკალური ძალები ხელისუფლებას შეიარაღებულ წინააღმდეგობას 60-იანი წლებიდან უწევენ და მათი მიზანი სოციალურად თანასწორ საზოგადოებაზე დაფუძნებული ახალი კოლუმბიის შექმნაა. FARC-ი თავს ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ჯუნგლებში აფარებს და დაახლოებით 8-დან 20 ათასამდე მებრძოლს ითვლის. მათ შორის საკმაოდ ბევრი ქალი და არასრულწლოვანია და კოლუმბიის ხელისუფლების საშობაო პროპაგანდისტული კამპანია სწორედ მათზეა გათვლილი.

# უპილოტო თურქებმაც შექმნეს

თურქეთში დაზვერვის უპილოტო საფრენი აპარატის Anka-ს პირველი საცდელი ფრენა შედგა. აპარატმა 14 წუთი იფრინა და მწარმოებელი კომპანია TAI-ის მესვეურთა მოწონება დაიმსახურა.

ჩვენი სამხრეთელი მეზობლები უპილოტოს შექმნაზე 2004 წლიდან მუშაობენ. პროექტი საშუალო სიმაღლეზე ხანგრძლივი ფრენის უნარის მქონე აპარატის დამზადებას ითვალისწინებდა.



Anka-ს 155-ცხ.ძალიანი დიზელის ძრავა აქვს და 9 ათას მეტრ სიმაღლეზე, 23-საათიანი ფრენა და 1,6 ტონა ტვირთის ზიდვა შეუძლია. აპარატის მაქსიმალური სიჩქარე — 220 კმ/სთ-ია.

უპილოტო საფრენი აპარატის Anka-ს საპროექტო სამუშაოები 107 მლნ დოლარი დაჯდა და სავარაუდოდ, შეიარაღებაში 2012 წლიდან მიიღებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბეტმობილის იდეა შეიარაღებულ ძალებში „გაცოცხლდება“

ცნობილმა ბრიტანულმა სამხედრო სამრეწველო კომპანია BAE Systems-მა პროგრამა Future Protected Vehicle-ის დეტალები გაამჟღავნა. გაირკვა, რომ მუშაობა მომავლის სხვადასხვა სატრანსპორტო ჯავშანტექნიკის შექმნაზე მიმდინარეობს. შესაბამისად, ეს საშუალებები მეცნიერებისა და ტექნიკის ბოლო მიღწევებითაა აღჭურვილი.

მრავალ კონცეპტთა შორის კომპანიის სპეციალისტები განიხილავენ უპილოტო, დაჯავშნული სატრანსპორტო საშუალების მოდელსაც, რომლის დიზაინი და კონსტრუქციის ელემენტები, რაოდენ დაუჯერებელი და ღიმილის მომგვრელიც უნდა იყოს, ცნობილი ფანტასტიკური ფილმის გმირის, ბეტმენის ავტომობილიდანაა გადმოტანილი.



უპილოტო რობოტი-მანქანა „რაიდერი“ ბეტმენის განთქმულ „ტამბლერს“ რომ ძალიან წააგავს, დამთხვევა არ არის და კომპანიის ინჟინრებმა მართლაც ამ ფილმში გამოყენებული ავტომობილის ნიმუშით იხელმძღვანელეს. პროგრამის ერთ-ერთი მენეჯერი ჰიშიმ ავარდი დაუფარავად აცხადებს: „რა დასამალია, ჩვენ მოგვხიბლა ბეტმობილმა „ტამბლერმა“ და მსგავსი მოდელის პროექტი შევქმენით კიდეც. ახლა ისღა დაგვრჩენია, ის პრაქტიკაში გამოვცადოთ“.

ეგ კი არა და, თურმე ეს ცნობილი კომპანია მსგავსი ჟანრის ფილმებში გამოყენებული სხვა არაერთი ფანტასტიკური საშუალების შექმნასა და პრაქტიკაში დანერგვაზეც გამალებით მუშაობს, მათ შორის — „ქამელეონის“ ტიპის ელექტრონულ კამუფლაჟზეც, რომელიც შეფერილობას გარემოს შესაბამისად იცვლის. ისე, რა გასაკვირია, ტექნიკური პროგრესის წყალობით, ის, რაც გუშინ შთამბეჭდავი ფანტასტიკა იყო, დღეს ხომ მოსაწყენი სინამდვილეა?!

# პრინცი ჰარი ავღანეთში წასვლამდე Apache-ზე ფრენას ეუფლება



როგორც გაზეთი „დეილი მეილი“ იუწყება, ბრიტანეთის პრინცი, 26 წლის ჰარი მარტში საბრძოლო შვეულმფრენ Apache-ზე პილოტირების მოსამზადებელ სპეცკურსს დაასრულებს. როგორც ირკვევა, ჰარი სამხედრო სამსახურის ავღანეთში გასაგრძელებლად ემზადება და გამგზავრებას 2012 წლისთვის აპირებს.

ბრიტანეთის თავდაცვის უწყების წარმომადგენლის თქმით, ჰარი ყოველდღიურად 4 სასწავლო გაფრენას შეასრულებს, მათ შორის — ორს ღამით. შოტლანდიის მთიან რაიონში მომზადების შემდეგ, რომელიც რელიეფურად ავღანურის მსგავსია და მფრინავს უცხო გარემოში ორიენტირების უნარჩვევებს გამოუმუშავებს, მეცადინეობა დასავლეთ ინგლისში, უეტიშემის ბაზაზე განაგრძობს, სადაც სამხედრო საჰაერო ძალების 8-თვიან სასწავლო კურსს გაივლის.



პრინცი ჰარი მამისა და ძმის შემდეგ ბრიტანეთის ტახტის რიგით მესამე მემკვიდრეა. ავღანეთში ჰილმენდის პროვინციაში სამხედრო მფრინავად 2007 წელსაც მსახურობდა, რაც მისივე უსაფრთხოების მიზნით მკაცრად გასაიდუმლოებული იყო. 2008 წელს პრინცის ავღანეთში ყოფნის ამბავი დასავლურ მასმედიაში მაინც გახმაურდა და ბრიტანეთის სარდლობა იძულებული გახდა, ჰარი სასწრაფოდ სამშობლოში გამოეხმო.

# J-20 — რეალობა თუ მორიგი ჩინური პლაგიატი?

რამდენიმე დღის წინ მომხდარ ფაქტზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ აშშ-ისა და რუსეთის შემდეგ ჩინეთი გახდა მსოფლიოში მესამე ქვეყანა, რომელმაც მეხუთე თაობის თვითმფრინავი შექმნა და ჰაერში აფრენა მოახერხა.



ახალი ჩინური გამანადგურებლის პირველი ფოტოები ინტერნეტში ჯერ კიდევ გასული წლის დეკემბერში გამოჩნდა. ფოტოებზე აეროდრომის საფრენ ბილიკზე მყოფი თვითმფრინავი იყო ასახული. მათი ორიგინალურობის შესახებ დავა მაშინვე დაიწყო და უმეტესობა ფოტოზე აღბეჭდილ თვითმფრინავს დახატულად თვლიდა. მათ შორის იყო ჟურნალ Aviation Week-ის რედაქტორი ბილ სვიტმენი, რომელიც ირწმუნებოდა, რომ ჩინეთს მსგავსი ტექნოლოგიები არ გააჩნია. მაგრამ რეალობა გაცილებით მწარე აღმოჩნდა ამერიკელებისთვის — 2011 წლის 9 იანვარს აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა რობერტ გეითსმა განაცხადა, რომ დაზვერვამ სათანადოდ ვერ შეაფასა ჩინეთის თავდაცვითი კომპლექსის განვითარების ტემპი და შესაძლებლობები.

ჩინური გამანადგურებლის ზუსტი ნიშნული, რომლის შექმნაზეც ჩინური კომპანიები: Chengdu Aircraft Corporation-ი და Shenyang Aircraft Corporation-ი მუშაობენ, ჯერჯერობით უცნობია. ინტერნეტში მას J-14, J-20, J-X, J-XX და XXJ ინდექსებით მოიხსენიებენ. სანამ სპეციალისტები ფოტოების შესახებ კამათობდნენ, 11 იანვარს ცნობილი გახდა, რომ თვითმფრინავი ჰაერში აფრინდა.

J-20-ის აფრენის ვიდეომასალა ინტერნეტში დაიდო. საინტერესო ისიც არის, რომ თვითმფრინავმა პირველი გაფრენა ჩინეთში გეითსის ვიზიტიდან მეორე დღეს შეასრულა. ბევრმა ამ ფაქტების დამთხვევა აღიქვა როგორც პეკინის პასუხი ვაშინგტონის მოწოდებაზე, სამხედრო ბიუჯეტის გამჭვირვალობის შესახებ.

თვითმფრინავის მახასიათებლები ჯერ ბურუსით არის მოცული. და თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩინეთი ყოველთვის მალავს თავის სამხედრო პროექტებს, გასაკვირია, როგორ მოხვდა ინტერნეტში ვიდეო თუ ფოტომასალა ამის შესახებ.

თვითმფრინავის ფოტოებით თუ ვიმსჯელებთ, ჩანს, რომ ის ნაკლებშემჩნევადობის პრინციპითაა შექმნილი, რაზეც უპირველესად ჰაერმიმღებები და კილები მიუთითებს. ჩინელებისთვის რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ასევე ხელმისაწვდომია მფრინავის კაბინის ფარნის პოლიმერული მასალის ერთი მთლიანი ნაჭრისგან დამზადების ტექნოლოგია. ანალოგიური ფარანი ამერიკულ F-22-ისა და F-35-ზე გამოიყენება. რუსულ T-50-ის მსგავსი ფარანის გამოყენებას ჯერ კიდევ განიხილავენ. J-20-ის ცხვირა ნაწილი ძალზე წააგავს ამერიკულ „რაპტორს", ხოლო კუდის თაობაზე კი სპეციალისტთა აზრი გაიყო — ნაწილი მას F-35-ს, ნაწილი კი T-50-ს ამსგავსებს.

თვითმფრინავის პლანერი „იხვის" სქემით არის შესრულებული და წინა ჰორიზონტალური ფრთასხმულობა აქვს. F-35-ის მსგავსად, კილებს დიდი, განივი V-სებურობა გააჩნია, თუმცა რუსული მეხუთე თაობის გამანადგურებლის მსგავსად მათ მთლიანსაბრუნი კონსტრუქცია აქვს. სავარაუდოდ, თვითმფრინავის სიგრძე 23-24 მ-ს, ფრთის გაქანი — 14 მ-ს, ასაფრენი მასა კი 34-36 ტ-ს შეადგენს. გამოდის, წონა-გაბარიტული მახასიათებლებით ის ამერიკულ და რუსულ თვითმფრინავებს ჯაბნის.

სადავოა თვითმფრინავის ძალური დანადგარი. სავარაუდოდ, მასზე დაყენებულია WS-10G-ის ტიპის ძრავები, რომლებიც რუსეთში შეძენილი АЛ-31Ф-ის ლიცენზირებული ვარიანტის გაუმჯობესებული ვერსიაა.

კითხვას ბადებს თვითმფრინავის დანიშნულება. ექსპერტთა ნაწილი ვარაუდობს, რომ ის დამრტყმელ და საზღვაო სივრცეთა პატრულირების ფუნქციას შეითავსებს, ხოლო დანიშნულება მოწინააღმდეგის ავიამზიდების განადგურება იქნება. ცხვირა ნაწილის დიდი დიამეტრით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აქ დაახლოებით 2200-2300 მიმღებ-გადამცემ მოდულიანი ფაზირებულცხაურიანი რადარის განთავსება იგეგმება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჩინეთს აქვს გამანადგურებლების კლასიფიკაციის საკუთარი სქემა, რომლის მიხედვითაც ამერიკული F-22, F-35 და რუსული T-50 მეოთხე თაობას მიეკუთვნებიან. უცნობი რჩება, რომელ თაობას მიაკუთვნებენ ჩინელები თავიანთ ქმნილებას.



ამგვარი თვითმფრინავის შექმნა ჩინეთისთვის წინ გადადგმული დიდი ნაბიჯია. აშკარაა, რომ ამ ქვეყანას უახლესი ტექნოლოგიები აქვს. მაგრამ J-20 და მისი სერიული წარმოება ერთმანეთისგან მინიმუმ ერთი ათწლეულით არის დაშორებული.

**თემურ კულუხაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტრაგედია ლულაში ჩაშვებულმა ორმა ნაღმმა დაატრიალა



11 იანვარს პოლიგონზე ნაღმსატყორცნს ასეთივე დამცველი (როგორც სურათზეა გამოსახული) რომ ჰყენებოდა ლულაზე, ტრაგედიას თავიდან ავიცილებდით

## სპეციალური ბრძანებით ექვსივე ნაღმსატყორცნზე მოხსნილი იყო ორმაგი დატენვისგან დამცავი მოწყობილობა, რაც უბედური შემთხვევის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახდა

11 იანვრის ტრაგედია, რომელსაც სასწავლო ცენტრ „კრწანისში“ სამი სამხედრო მოსამსახურე შეეწირა და 13 დაიჭრა, მძიმე ტკივილად კიდევ დიდხანს დაგვრჩება, რადგან ქართველი მეომრები ომის კი არა, მშვიდობიანობის დროს დავკარგეთ.

ტრაგედიიდან ერთი კვირის თავზეც (როდესაც ეს სტატია იწერებოდა) ფართო საზოგადოებისთვის უცნობია, თუ რა მოხდა სინამდვილეში იმ ავბედით დღეს იაღლუჯის პოლიგონზე.

თავდაცვის სამინისტროს ოფიციალურ საიტზე მხოლოდ ის ინფორმაცია დევს, რომ ჯარისკაცები პოლიგონზე წვრთნებს გადიოდნენ და 120 მმ-იანი ნაღმსატყორცნის ჭურვის აფეთქება, სავარაუდოდ, წვრთნის დროს დაშვებულმა ტექნიკურმა შეცდომამ გამოიწვია.

ამ მწირ ინფორმაციაშიც კი თავდაცვის სამინისტრომ სამი შეცდომა დაუშვა. ჯერ ერთი, პოლიგონზე წვრთნებს კაპრალები, სერჟანტები და ოფიცრები გადიოდნენ და არა ჯარისკაცები; მეორე — „ტექნიკური შეცდომა“ — ასეთი ცნება არ არსებობს სამხედრო საქმეში; და მესამე — ნაღმსატყორცნი ნაღმს ისვრის და არა ჭურვს (ჭურვს ისვრის ქვემეხი და ჰაუბიცა).

„არსენალმა“ თავის წყაროებზე დაყრდნობით მოიპოვა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ სინამდვილეში რა მოხდა 11 იანვრის დილას სასწავლო ცენტრ „კრწანისში“.

წვრთნებს პოლიგონზე პირველი საარტილერიო ბრიგადის ნაღმმტყორცნელთა ბატალიონის ასეულის ის არტილერისტები გადიოდნენ, რომელთა გაგზავნა ავღანეთში იგეგმებოდა. გასული წლის ბოლოს საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ავღანეთში დამატებით ოციოდე სამხედრო ინსტრუქტორის გაგზავნა იგეგმება.

საცეცხლე პოზიციაზე ექვსი 120 მმ-იანი ნაღმსატყორცნი იყო ჩამწკრივებული, ერთმანეთისგან 10-15 მ-ის დაშორებით.

პირველი, მიზნის მომნიშვნელი გასროლის შემდეგ გაისმა ბრძანება „გამალებული ბათქით ცეცხლი“, რაც იმას ნიშნავს, რომ ყოველი ახალი გასროლის წინ მორიგ ბრძანებას გასროლაზე გათვლა აღარ ელოდება.

ბატარეის უფროსმა შენიშნა, რომ განაპირა მარცხენა ნაღმსატყორცნიდან გასროლა არ მოხდა და ამის შესახებ აცნობა გათვლას. გათვლამ ან ვერ გაიგო ეს შეტყობინება ან ჩათვალა, რომ პირველი ნაღმი ნაღმსატყორცნმა გაისროლა და გათვლის ერთმა წევრმა მეორე ნაღმი ჩაუშვა ლულაში. აფეთქება მაშინვე მოხდა, რამაც გაგლიჯა ნაღმსატყორცნის ლულა და ნამსხვრევებმა ის ტრაგედია დაატრიალა, რის მძიმე შედეგებიც ცნობილია.

რა შეიძლებოდა მომხდარიყო?

პირველი ნაღმის ლულაში ჩაშვების შემდეგ გათვლამ თოკით მოქაჩა გასასროლი მექანიზმი, ნემსი დაეცა ნაღმის ბოლოში ჩადებული ვაზნის კაფსულას, მაგრამ კაფსულამ არ იმოქმედა (მოგვიანებით ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ნაღმსატყორცნის გახეთქილი ლულის ბოლოში ჩარჩენილი აფეთქებული პირველი ნაღმის სტაბილიზატორიდან ამოღებული ვაზნის კაფსულას ემჩნეოდა ნემსის დარტყმის კვალი).

სხვა ნაღმსატყორცნებიდან ნაღმების ერთდროულად გასროლის ხმაურში გათვლამ ჩათვალა, რომ მათმა ნაღმსატყორცნმაც გაისროლა და სავარაუდოდ, არ დაუჯერა ბატარეიის მეთაურის გაფრთხილებას და ლულაში მეორე ნაღმი ჩაუშვა.

ის ფაქტი, რომ აფეთქება მყისიერად მოხდა და გათვლას მეორედ არ გამოუკრავს სასროლი მექანიზმის თოკი, შემდეგზე მიუთითებს: ლულაში ჩაშვებული მეორე ნაღმი ძირით დაეცა გაუსროლელი პირველი ნაღმის M-12 ტიპის ამფეთქს, რომელსაც მოხსნილი ჰქონდა დამცველი (დამცველს ამფეთქის თავიდან ლულაში ჩაშვების წინ ხსნიან, რათა მიზანთან დავარდნისას ამფეთქმა იმოქმედოს).

აქ შეიძლება განვიხილოთ ორი ვარიანტი:

პირველი — ორი ნაღმის ერთმანეთთან შეჯახებისას შეიძლება ამოქმედდა მეორე, ზემოდან დაცემული ნაღმის ძირში მოთავსებული ვაზნის კაფსულა, რომლის დეტონაციამაც ააფეთქა ამავე მეორე ნაღმის სტაბილიზატორებზე ჩამოკიდებული დენთიანი ტომსიკები, რის შემდეგაც ზემოთ მეორე ნაღმი ლულიდან გამოვარდა (სხვათა შორის, მისი ნარჩენები ლულის გარშემო არ ყოფილა). აფეთქებამ აამოქმედა ქვემოთ, პირველი ნაღმის თავში დაყენებული ამფეთქი, რამაც გამოიწვია თავად ნაღმის აფეთქება უშუალოდ ლულაში (120 მმ-იანი კალიბრის ნაღმსატყორცნის მსხვრევადფუგასური ნაღმი დაახლოებით 16 კგ-ს იწონის და მასში 2 კგ-ზე მეტი ასაფეთქებელი ნივთიერებაა (ტროტილი, ჰექსოგენი) მოთავსებული).

ლულა სწორედ იმ სიმაღლეზე გაიგლიჯა, რა დონეზეც ლულაში განთავსებული იყო პირველი ნაღმის საბრძოლო ნაწილი.

მეორე ვერსია — ზემოდან ჩაშვებული მეორე ნაღმის დაცემამ პირველი ნაღმის თავში დაყენებულ ამფეთქზე გამოიწვია ამ უკანასკნელის ინიცირება, რასაც მოჰყვა პირველი ნაღმის აფეთქება. თუმცა

# მობილურებმა 100 ქართველი გვარდიელი სამსახურის გარეშე დატოვა

ახალი წლის შემდეგ თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობამ ეროვნული გვარდიის დეპარტამენტის თითქმის მთელი შემადგენლობა სასწავლო ცენტრ „კრწანისში“ წვრთნებზე გაგზავნა.

რა აუცილებელი იყო მაინცდამაინც ახალი წლის პირველივე დღეებში გვარდიის ოფიცრების ოჯახებისგან მოწყვეტა და პოლიგონზე გაგზავნა, რა თქმა უნდა, თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის გადასაწყვეტი იყო, მაგრამ რაც წვრთნების დროს მოხდა, მართლაც რომ გაუგონარია.

შემოწმების შედეგად სამინისტრომ დაადგინა, რომ აკრძალვის მიუხედავად გვარდიის ოფიცრებს პოლიგონზე ჩართული ჰქონდათ მობილური ტელეფონები, რის გამოც სამსახურიდან დაითხოვეს ეროვნული გვარდიის დეპარტამენტის 97 ოფიცერი!

საზოგადოდ, მობილური ტელეფონების საკითხი ქართულ ჯარში ყოველთვის მტკივნეულად იდგა.

პირველად მობილური ტელეფონების დანაყოფების მართვა ქართველმა ოფიცრებმა 1998 წლის მაისის ბოლოს სცადეს, გალის რაიონში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებების დროს, როდესაც მოწინააღმდეგე რაციებს ახშობდა.

მობილური ტელეფონები აქტიურად გამოიყენებოდა 2004 წლის ზაფხულშიც, ცხინვალთან მიმდინარე ბრძოლების დროს.

თუმცა მობილურმა ტელეფონებმა, შეიძლება ითქვას, უარყოფითი როლი 2008 წლის აგვისტოს ომში შეასრულა — უკანდახეულ ჯარში პანიკის გავრცელებას შეუწყო ხელი.

ამიტომაც შეიძლება გამართლებულიც იყოს, რომ სამხედრო სამსახურის დროს (დილიდან საღამოს 6-7 სთ-მდე) ოფიცრებმა, სერჟანტებმა და კაპრალებმა არ ისარგებლონ მობილური ტელეფონებით.

ვერ გეტყვით, მობილური ტელეფონების გამო სამსახურიდან დათხოვნილი გვარდიელები ზარებს უშუალოდ წვრთნების დროს ახორციელებდნენ თუ საღამოს, მოსვენებისას, მაგრამ ერთბაშად 97 ოფიცრის დათხოვნა ძნელად ასახსნელია. ხომ შეიძლებოდა სხვა დისციპლინარული სასჯელის გამოყენება, მაგალითად, ხელფასიდან თანხის დაკავება და არა მაშინვე სამსახურიდან გათავისუფლება, მაშინ, როდესაც თითოეული ოფიცრის მომზადება ქვეყნის ბიუჯეტს ათიათასობით ლარი უჯდება?!

ჩნდება ეჭვი, რომ მობილური ტელეფონების გამო ეროვნული გვარდიის 97 სამხედრო მოსამსახურის გათავისუფლება მხოლოდ მიზეზი იყო. სინამდვილეში თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობას ჩაფიქრებული აქვს ეროვნული გვარდიის დეპარტამენტის სრული რეორგანიზაცია და დათხოვნილებს რომ არ დასჭირდეთ ფულადი კომპენსაცია და სხვა თანამდებობის შეთავაზება, ზემოხსენებული მიზეზი კარგი გამოსავალია.



გვარდიის ოფიცრები საველე სწავლებაზე

ფოტო თავდაცვის სამინისტროს ვებ-გვერდიდან

არის ერთი ნიუანსი — წესით, ამფეთქმა არ უნდა განიცადოს ინიცირება გასროლამდე. გასროლისა და შემდგომ ფრენის პერიოდში წარმოქმნილი აჩქარება ხსნის ამფეთქის დამცველს და ამფეთქის შეყენება ხდება საბრძოლო მდგომარეობაში.

როგორ შეიძლებოდა ამ ტრაგედიის თავიდან აცილება? ნაღმსატყორცნის ორმაგი დატენვისგან გამოწვეული აფეთქება არცთუ იშვიათად ხდება, განსაკუთრებით გაცხარებული ბრძოლების დროს, როდესაც ნაღმსატყორცნის გათვლა ხმაურში ვერ აფიქსირებს გასროლის მომენტს.

ასეთი საბედისწერო შეცდომა რომ არ მოხდეს, ნაღმსატყორცნების ზოგიერთ მოდელს ლულის თავში დაუყენეს სპეციალური მოწყობილობა, რომელიც გამორიცხავს ორმაგ დატენვას.

ქართული არმიის შეიარაღებაში არსებული მოდერნიზებული საბჭოთა 120 მმ-იან 2Б11 Сани-ს ტიპის ნაღმსატყორცნებს აქვთ დამცავი მოწყობილობა, რომელიც პირველი ნაღმის ჩაშვების შემდეგ კეტავს ლულას ისე, რომ მეორე ნაღმს ვერაფრით ჩაუშვებ, უკვე ჩაგდებულის გასროლა კი უპრობლემოდ ხდება.

11 იანვრის ავბედით დილას სასწავლო ცენტრ „კრწანისის“ პოლიგონზე ექვსივე ნაღმსატყორცნს მოხსნილი ჰქონდა დამცავი მოწყობილობები!

არსებობს სპეციალური ბრძანება, რომლის თანახმადაც, ნაღმსატყორცნებს დახსნეს ორმაგი დატენვისგან დამცავი მოწყობილობები (სავარაუდოდ, მათი მწყობრიდან გამოსვლის გამო), ანუ უკვე შექმნილი იყო წინა პირობა უბედური შემთხვევისთვის. თუმცა მაინც შეიძლებოდა ტრაგედიის თავიდან აცილება, რომ არ ყოფილიყო ბრძანება „გამალებული ბათქით ცეცხლი“. ამ ბრძანების გაცემის შემდეგ გაიზარდა იმის ალბათობა, რომ არტილერისტებს შეიძლებოდა სიჩქარეში შეშლოდათ და ლულაში ზედიზედ ორი ნაღმი ჩაეშვათ, როგორც, სამწუხაროდ, მოხდა კიდეც.

სამხედრო პოლიციამ სამი ოფიცერი დააკავა, ჩანს, თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა მათზე გადატეხს ჯოხს, მაგრამ ტრაგედიის მთავარი მიზეზი, ალბათ, უფრო მაღლა უნდა ვეძებოთ — ეს არის ის სიჩქარე, რომლითაც თავდაცვის უწყება ავღანეთში სასწრაფოდ აპირებს ინსტრუქტორების გაგზავნას და ის მიჩქმალული მწვავე პრობლემები, საზოგადოებისგან დახურულ ქართულ არმიაში რომ დაგროვდა.

**„არსენალის“ რედაქცია თანაუგრძნობს 11 იანვრის ტრაგედიის დროს დაღუპული ქართველი სამხედროების ოჯახებს, დაჭრილებს კი მალე გამოჯანმრთელებას უსურვებს.**

*ირაკლი ალადაშვილი*

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მთავარი „ფანდარასტი“ ვლადიმერ სანაკოევი ყოფილა...

**ალბათ, ყველას გახსოვთ ვლადიმერ სანაკოევი. მას 2005 წლის 25 ნოემბერს მიხეილ სააკაშვილმა დიდი ზარ-ზეიმით მიანიჭა საქართველოს მოქალაქეობა და დაასაქმა კიდეც — ის თავისი მოგვარის, დიმიტრი სანაკოევის ადმინისტრაციაში მუშაობდა, ხელმძღვანელობდა აქციას „კოკოითი ფანდარასტ“ და ტელეკომპანია „ალანიაში“ მიჰყავდა პროპაგანდისტული გადაცემა „დენ ზა დნიომ“.**

**2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ სანაკოევი უმუშევარი დარჩა. 2010 წლის 13 სექტემბერს ის რუსეთში წავიდა და დაგვიტოვა გულის ამაჩუყებელი ფრაზები, რომ „საქართველო მისი სამშობლოა“, „თავს საქართველოს შვილად მიიჩნევს“ და ა.შ.**

რამდენიმე დღის წინ კი სანაკოევმა საიტ „კავკაზსკი უზელზე“ გამოაქვეყნა სტატია-აღსარება, რომლის მიხედვითაც, თურმე ის „ფანდარასტ 007“ ყოფილა. სანაკოევის მტკიცებით, ის ჯერ კიდევ 1989 წელს, სოჭში, სუკ-ის თანამშრომელმა სერგეი დირდინმა გადაიბირა და მეტსახელი „ირონი“ (ოსი) მიანიჭა. 1998 წელს კი მან გაიცნო ეფ-ეს-ბეს თანამშრომელი, ვინმე რომანი, რომელთანაც ე.წ. სამხრეთ ოსეთში შექმნილ მდგომარეობაზე საუბრობდა.

2003 წელს თურმე სანაკოევი ცხინვალში შეხვედრია ბავშვობის მეგობარს, საქართველოს უშიშროების სამინისტროს ყოფილ მაღალჩინოსანს, რომელიც მაჟორიტარულ არჩევნებში მონაწილეობდა (ოღონდ ცხინვალში არა, რა თქმა უნდა). „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ კი ეფ-ეს-ბელ რომანს სანაკოევი საქართველოში დაბრუნებაზე შეუთანხმდა.

მან ქართულ მხარეს ანკესი გადაუგდო და გამოაქვეყნა პროქართული სტატია „ლიახვი აღმა ვერ ივლის და ის მაინც მტკვარში ჩაედინება“. ანკესზე ზემოხსენებული ბავშვობის მეგობარი წამოეგო. მან სანაკოევი 2004 წელს თბილისში ჩაიყვანა და ვანო მერაბიშვილი და ამირან მესხელი გააცნო.

2005 წელს სანაკოევი კვლავ ჩამოსულა თბილისში და ამირან მესხელს, რომელთანაც ერთად შალვა ჟღენტიც იყო (ასევე შსს-ს მაღალჩინოსანი), საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის ალტერნატიული არჩევნების ჩატარება შესთავაზა. „ფანდარასტ 007“-ის მტკიცებით, ეს საფუძვლად დაედო მიხეილ სააკაშვილის სამშვიდობო ინიციატივებს, შეიქმნა დიმიტრი სანაკოევის ადმინისტრაცია და 2006 წელს მართლაც ჩატარდა ალტერნატიული არჩევნები.

შემდეგ სანაკოევმა ეფ-ეს-ბელ რომანს გაუგზავნა მორიგი ანგარიში, რომელშიც აცხადებდა, რომ საქართველო ე.წ. სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ 2006 წლის დეკემბერში საომარ მოქმედებებს დაიწყებდა. ამის დასტურად „ფანდარასტ 007“-მა მაშინდელი თავდაცვის მინისტრ ირაკლი ოქრუაშვილის განცხადება მოიყვანა — 2007 წლის 1-ელი იანვარი ცხინვალში რომ უნდა აღგვენიშნა.

ტელეკომპანია „ალანიას“ ყოფილი წამყვანის მტკიცებით, მან საქართველოს ხელისუფლებას წარუდგინა კონფლიქტის მოსაგვარებელი 14-პუნქტიანი გეგმა (ასლი, რა თქმა უნდა, რომანს ჰქონდა), რომელიც პროცესიდან თავდაცვის სამინისტროს ამოგდებას ითვალისწინებდა. მისი გეგმა მოეწონათ და 2006 წლის აგვისტოში თავდაცვის სამინისტრო თამაშიდან გავიდა.

სანაკოევის მტკიცებით, ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ 2006 წელს რუსეთი ცხინვალის რეგიონში ჯარებს არ შეიყვანდა, ოქრუაშვილი ე.წ. სამხრეთ ოსეთს დაიმორჩილებდა, გმირი გახდებოდა და 2007 წელს პრეზიდენტობაზე განაცხადებდა პრეტენზიას.

ამით თურმე, სანაკოევმა სოჭის ოლიმპიადაც გადაარჩინა. „ფანდარასტ 007“-ის მტკიცებით, რუსეთი 2006 წელს საქართველოსთან კონფლიქტში რომ ჩართულიყო, სოჭის ოლიმპიადის ჩატარების უფლებას აღარ მისცემდნენ.

თხრობას სანაკოევი იმით ამთავრებს, რომ 2008 წლის 2 ივნისს „მოდულში“ ერთ-ერთ მაღალჩინოსანთან შეხვედრის შემდეგ, მისთვის ნათელი გახდა, რომ ომის თავიდან აცილება შეუძლებელი იქნებოდა. „ფანდარასტ 007“-ის მტკიცებით, ის უკვე 2008 წლის ივნისიდან ცდილობდა საქართველოს დატოვებას და ეს მხოლოდ 2010 წლის სექტემბერში მოახერხა.

სანაკოევის აღსარების წაკითხვის შემდეგ პირველი შთაბეჭდილება ის არის, რომ ეს რუსეთის სპეცსამსახურების შემოგდებული მორიგი „უტკაა“, მაგრამ ალბათ, ეს ვლადიკავკაზში, ეფ-ეს-ბეს რეგიონულ განყოფილებაში რომელიმე გონებაჩლუნგმა ოფიცერმა დაგეგმა. მოსკოვში უფრო დახვეწილად მოქმედებენ და იმას ნამდვილად არ ათქმევინებდნენ „ფანდარასტ 007“-ს, რომ მთელი საქართველოს ხელისუფლება თურმე მის ჭკუაზე დადიოდა.

სანაკოევი პირველი მერცხალი ნამდვილად არ არის. მანამდე მოსკოვში გაიქცნენ ძმები ქარქუზოვები, რომლებიც უფრო დახვეწილმა პროპაგანდისტულმა მანქანამ „ჩაითრია“ და ერთი კვირის განმავლობაში გადიოდა რუსულ მედიაში ანტიქართული სერიალი.

როდესაც საქართველოს ხელისუფლებამ ცხინვალის რეგიონის ოს მოსახლეობაში დასაყრდენის ძებნა დაიწყო, რა თქმა უნდა, რუსული სპეცსამსახურები ამის გამოყენებას შეეცდებოდნენ. მაგრამ საკითხავი ის არის, რატომ გავიდნენ საქართველოდან თავისუფლად ქარქუსოვები და ვლადიმერ სანაკოევი.

ალბათ, ყველაზე სარწმუნო ვერსია ის არის, რომ საქართველოდან წასულმა ვლადიმერ სანაკოევმა ვლადიკავკაზში ხეირი ვერ ნახა, ფინანსური მდგომარეობა ვერ გამოისწორა და „მოღალატის“ იარლიყიც მიაკერეს. ამიტომაც ოსი მოსახლეობის თვალში რეაბილიტაცია გადაწყვიტა და შეთხზა აბდაუბდა, თუ როგორ „შტირლიცობდა“ საქართველოში და როგორ გადაარჩინა 2006 წელს ცხინვალი ოქრუაშვილისგან.

იმედია, ასეა და ეფ-ეს-ბეს თანამშრომლებით გაძეძგილ დიმიტრი სანაკოევის ადმინისტრაციას მილიონებს არ ვახარჯავდით.

**გიორგი კვიტაიშვილი**



# სომხეთის მთავარი მზვერავი რუსეთის აგენტი იყო?

2010 წლის ოქტომბრის ბოლოს სკანდალურად ცნობილი ინტერნეტსაიტ WikiLeaks-ის შეფრედაქტორმა ჯულიან ასანჟმა განაცხადა, რომ სულ მალე ინტერნეტში რუსეთის ხელისუფლების მაკომპრომეტირებელ მასალებს გამოაქვეყნებს. ამ განცხადებიდან სულ მალე რუსეთის სპეცსამსახურების ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა (რომლის ვინაობასაც რუსეთის მასმედია არ ამხელს) WikiLeaks-ის მფლობელები გააფრთხილა, რომ თუ საიტზე რუსეთის ხელისუფლების მაკომპრომეტირებელი დოკუმენტები დაიდება, მაშინ საიტს „სამუდამოდ გააქრობენ". ეს რომ ფუჭი მუქარა არ არის, ინტერნეტსაიტ lubyanskayapravda.com-ის გაუჩინარების მაგალითიც ადასტურებს.

## „აგენტ „ონიკას" სამშობლო სომხეთია"

ამ სათაურით 2010 წლის ივლისის დასაწყისში სომხურმა გაზეთმა Hrparak-მა რუსულენოვან საიტ lubyanskayapravda.com-ზე დაყრდნობით გამოაქვეყნა ძალზე საინტერესო დოკუმენტი, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ.

„პატივცემულო ვლადიმირ ვლადიმირის ძევ!

სომხეთის მიმართულებით მუშაობის ფარგლებში ჩვენ ოპერატიული კონტაქტი გვაქვს დამყარებული სომხეთის ეროვნული უშიშროების სამსახურის დირექტორის მოადგილე, გენერალ-მაიორ არმენ ვიგინაპის ძე დარბინიანთან. ქალაქ ერევნის მკვიდრი, 1949 წელს დაბადებული ა. დარბინიანი, პრორუსულად განწყობილი სახელმწიფო მოღვაწე და სომხეთ-რუსეთის ურთიერთობის განვითარების თანამიმდევრული და მტკიცე მხარდამჭერია. ეფ-ეს-ბესთან კონტაქტებს მიიჩნევს რუსეთისა და სომხეთის ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფის, აგრეთვე, ამიერკავკასიაში აშშ-ისა და ნატოს მისწრაფებების შეფერხების აუცილებელ ფაქტორად.

მაღალი სამსახურებრივი მდგომარებიდან გამომდინარე, აქვს დიდი ოპერატიული შესაძლებლობები, რასაც აქტიურად იყენებს რუსეთის მხარდასაჭერად. რეგულარულად გვაწვდის მნიშვნელოვან ოპერატიულ ინფორმაციას ამიერკავკასიის პრობლემატიკაზე. ამის საფუძველზე დასავლეთის ერთ-ერთ ქვეყანაში ტარდება სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ოპერაციები. ა. დარბინიანის საშუალებით სომხეთის ხელისუფლებას მიეწოდება ის ინფორმაცია, რაც რუსეთისთვის არის ხელსაყრელი.

ა. დარბინიანის პირადი თხოვნიდან გამომდინარე, ვიღებთ რა მხედველობაში მის დიდ დამსახურებას რუსეთის წინაშე, აგრეთვე, შემდგომში ჩვენს ინტერესებში მისი გამოყენების პერსპექტივებს, ვშუამდგომლობ ა. დარბინიანის რუსეთის მოქალაქედ მიღებაზე".

დოკუმენტს, რომელიც 2004 წლის 20 სექტემბრით თარიღდება და გრიფი „სრულიად საიდუმლო" ადევს, ხელს აწერს რუსეთის ეფ-ეს-ბეს საქმეთა მმართველობის თანამშრომელი ვინმე ჩეკუნოვი.

მკითხველი, ალბათ, მიხვდა, რომ შუამდგომლობა რუსეთის მაშინდელ პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინის სახელზეა დაწერილი.

სომხურ გაზეთში ამ დოკუმენტის გამოქვეყნებას უსწრაფესი რეაქცია მოჰყვა.

სტატიის გამოქვეყნებიდან მეორე დღესვე, როგორც მოსალოდნელი იყო, სომხეთის ეროვნული უშიშროების სამსახურმა კატეგორიულად უარყო ეს ინფორმაცია. ზუსტად ერთი კვირის შემდეგ, 2010 წლის 15 ივლისს, სომხეთის სპეცსამსახურმა ინფორმაციის შეგნებულად გაჟონვის ოპერაცია ჩაატარა, რის შემდეგაც აშშ-ის სასარგებლოდ ჯაშუშობაში ეჭვმიტანილი სომხეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე ვიგენ სარქისიანი აღმოჩნდა.

ჩანს, რომ სომხეთის ხელისუფლებამ აქაც „დაბალანსების" პოლიტიკა აირჩია – ერთი რუსეთის აგენტი, მეორე – აშშ-ის და სამივე მხარე კმაყოფილია.

მას შემდეგ, რაც 2010 წლის ივნისში lubyanskayapravda.com-მა გამოაქვეყნა რუსეთის ეფ-ეს-ბეს სრულიად საიდუმლო დოკუმენტები, რომლებიც ამ სპეცსამსახურის დსთ-ის ქვეყნებში ჩატარებულ სპეცოპერაციებს აღწერდა, ეს ვებსაიტი დაიბლოკა და, ფაქტობრივად, ინტერნეტსივრცეში არსებობა შეწყვიტა. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ამ ფაქტმა რუსეთისა და სომხეთის სპეცსამსახურების ხელმძღვანელებს შვება მოუტანა.

## რას წარმოადგენს სომხეთის სპეცსამსახურები

სომხეთის სპეცსამსახურების მთავარი თავისებურება ის არის, რომ როგორც ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანაში, აქაც პიროვნებები სახელმწიფო ინსტიტუტებზე მაღლა დგანან. კერძოდ, სომხეთის ძალოვან სტრუქტურებს დღეს რეალურად ერთი პირი – პრეზი-

დენტი სერჟ სარქისიანი აკონტროლებს. ჯერ კიდევ დიდი გავლენა აქვს ყოფილ პრეზიდენტ რობერტ ქოჩარიანს. არავისთვის არის საიდუმლო, რომ ორივე მათგანი სამხრეთ კავკასიაში ყველაზე პრორუსული პოლიტიკოსები არიან და სპეცსამსახურიც კა-გე-ბეს სტრუქტურის მსგავსად მოაწყვეს.

რუსეთის სპეცსამსახურები წარმატებით იყენებენ სომხეთში ისტორიულად არსებულ აგენტურას. ყველასთვის კარგადაა ცნობილი, რომ საბჭოთა კავშირის არსებობის დროს კა-გე-ბესა და გე-ერ-უში ყველაზე დიდი ნდობით რუსი ეროვნების შემდეგ, სომეხი „ჩეკისტები“ სარგებლობდნენ. ისინი უპრობლემოდ ინიშნებოდნენ რეზიდენტებად, მიემგზავრებოდნენ ხანგრძლივ სამსახურებრივ მივლინებებში და ა.შ.

2004 წლის 8 ნოემბერს ეროვნული უშიშროების სამსახურის დირექტორად გორიკ აკოფიანი დაინიშნა, რომელიც ამ პოსტს დღემდე ინარჩუნებს.

***მცირე დოსიე:* გორიკ გურგენის ძე აკოფიანი დაიბადა 1946 წელს, გიუმრიში. დაამთავრა ერევნის პოლიტექნიკური ინსტიტუტი, შემდეგ კი სსრკ-ის კა-გე-ბეს უმაღლესი კურსები. 1969 წლიდან მუშაობდა სახელმწიფო უშიშროების სისტემაში სხვადასხვა თანამდებობაზე: თავდაპირველად სომხეთის სსრ-ს კა-გე-ბე-ში, შემდეგ სომხეთის რესპუბლიკის ეროვნული უშიშროების სახელმწიფო სამმართველოში. 1997-1998 წლებში იყო ეროვნული უშიშროებისა და შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე.**

1999-2002 წლებში ეროვნული უშიშროების მინისტრის მოადგილეა, ხოლო 2002-2004 წლებში ეროვნული უშიშროების სამსახურის დირექტორის მოადგილე. სამხედრო წოდება გენერალ-ლეიტენანტი.

გორიკ აკოფიანი იყო ეროვნული უშიშროების მინისტრის მოადგილე, როდესაც ერევანში ჯერ კიდევ იდუმალებით მოცული ტერაქტი მოხდა, რომელსაც შორსმიმავალი გეოპოლიტიკური შედეგები ჰქონდა.

## 1999 წლის 27 ოქტომბრის ტერაქტი გე-რე-უმ მოაწყო?

სომხეთის სპეცსამსახურებისთვის დიდ გეოპოლიტიკურ თამაშებში მონაწილეობის დამადასტურებელი გახდა 1999 წლის 27 ოქტომბრის მოვლენები. ამ დღეს შეიარაღებულ ტერორისტთა ჯგუფმა მოახერხა დაუბრკოლებლად შესვლა რესპუბლიკის ეროვნული კრების შენობაში და 8 კაცი მოკლა, მათ შორის — სომხეთის პრემიერ-მინისტრი ვაზგენ სარქისიანი, პარლამენტის სპიკერი კარენ დემირჩიანი და ვიცე-სპიკერები რუბენ მიროიანი და იური ბახშიანი.

უცნაურობა დაიწყო ჯერ კიდევ ტერორისტებთან მოლაპარაკების დროს. ტერორისტების დასაკავებლად რატომღაც მოსკოვიდან გამოიძახეს ეფ-ეს-ბეს სპეცჯგუფი „ალფა“ და როცა ტერორისტთა მეთაური ნაირი უნანიანი ჩაბარებას აპირებდა, მაშინდელი პრეზიდენტის რობერტ ქოჩარიანის გადაწყვეტილებით მას პისტოლეტი დაუტოვეს (ბანდიტს თავად პრეზიდენ-




**ინტერნეტში გამოქვეყნებულ ეფ-ეს-ბე-ს სწორედ ამ საიდუმლო დოკუმენტში იდო სამხილები გენერალ დარბინიანზე**

ტისაგან პირადი ხელშეუხებლობის გარანტიაც ჰქონდა მიღებული).

მალევე დასახელდა ვერსია, რომ უნანიანი უშიშროების აგენტი იყო. სომხეთის შსს-ს კოლონიების განყოფილების ყოფილი უფროსის უშეგ საგატელიანის განცხადებით, უნანიანი მართლაც იყო დაქირავებული აგენტი და მეტსახელიც კი ჰქონდა.

უშიშროების სამინისტრომ ჯერ დუმილი არჩია, მერე კი განაცხადა, რომ ისინი მართლაც მუშაობდნენ უნანიანთან, ძირითადად, მის თურქულ კონტაქტებს ადგენდნენ. თვითონ უნანიანი იძლეოდა საწინააღმდეგო ჩვენებებს და ტერაქტის დამკვეთად ხან პრეზიდენტ ქოჩარიანს, ხან კი გარდაცვლილ სპიკერს კარენ დემირჩიანს ასახელებდა.

ტერაქტი და მისი გამოძიება სომხეთში და მის გარეთ — ამ ქვეყნის სპეცსამსახურების სრული უძლურების გამომხატველად შეფასდა. თუმცა სხვანაირად ფიქრობდა ქვეყნის ხელისუფლება — ეროვნული უშიშროების სამინისტროს ტერორიზმის განყოფილების უფროსი ორდენით დააჯილდოეს, თვით მინისტრმა პეტროსიანმა კი გენერალ-ლეიტენანტის წოდება მიიღო.

მკითხველისთვის კარგად ცნობილმა რუსეთის ეფ-ეს-ბეს ყოფილმა ოფიცერმა ალექსანდრ ლიტვინენკომ სიკვდილამდე მცირე ხნით ადრე ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ტერაქტი სომხეთის პარლამენტში დაგეგმა და მოაწყო რუსეთის სამხედრო დაზვერვამ (გე-რე-უმ). ეს სავსებით დასაშვებია იმ გარემოებათა გათვალისწინებით, რომ ამ ტერაქტის შემდეგ სომხეთის საგარეო-პოლიტიკური კურსი მხოლოდ რუსეთისკენ მიმართული გახდა.

## სომხეთის გეოპოლიტიკური თამაშები

საგარეო-პოლიტიკური ვექტორი სამხრეთ კავკასიაში ამჟამად საკმაოდ მრავალფეროვანია. საქართველოსთვის პრიორიტეტი ცალსახად „დასავლეთია“ (იგულისხმება ევროკავშირი და აშშ), აზერბაიჯანისთვის – „დასავლეთი და რუსეთი“, ხოლო სომხეთისთვის კი – „რუსეთი და დასავლეთი“.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ საგარეო პოლიტიკა დიდ ზეგავლენას ახდენს საშინაო პოლიტიკაზე და პირიქით.

ამ რამდენიმე ხნის წინ გაეროს გენერალური ასამბლეის სხდომაზე, რომელიც საქართველოში იძულებით გადაადგილებულ პირთა მშობლიურ მიწაზე დაბრუნებას ეხებოდა, სომხეთი ოფიციალურად გამოვიდა საქართველოს წინააღმდეგ.

ჩვენ ვიცით, თუ რა გამალებული მუშაობა აქვთ გაჩაღებული რუსეთის სპეცსამსახურებს სომხეთში ორ მეზობელ ქვეყანას შორის ურთიერთობის დასაძაბად და ანტიქართული კამპანიის კიდევ უფრო გასააქტიურებლად. რუსეთი დიდ ზეწოლას ახდენს სომხეთის ხელისუფლებაზეც, თუმცა ბევრ რამეს გამართლება არა აქვს.

უკვე დიდი ხანია, რაც სომხეთის სპეცსამსახურები რუსეთის სპეცსამსახურებთან მჭიდრო კავშირში მოქმედებენ. სომხეთის ტერიტორიაზე განლაგებული არიან რუსეთის რადიოელექტრონული დაზვერვის დანაყოფები, რომელთა მეშვეობითაც რუსეთი მნიშვნელოვან სადაზვერვო ინფორმა-

ციას იღებს, მათ შორის — საქართველოს შესახებაც.

1999 წლიდან დაიწყო სომხეთ-რუსეთის ავიაციისა და ჰაერსაწინააღმდეგო ძალების ერთობლივი საბრძოლო წვრთნები. სომხეთი აქტიურად მონაწილეობს დსთ-ის ანტიტერორისტული ცენტრის მუშაობაში. ამ ცენტრის ერთობლივი წვრთნები სისტემატურად იმართება სომხეთში, მიმართულია კონკრეტული სადაზვერვო-დივერსიული დავალებების შესრულებისკენ და მიზნად ისახავს სომხეთისა და რუსეთის სპეცსამსახურებს შორის პარტნიორული ურთიერთობის დამყარებას. ასევე აქტიურობს სომხეთი „კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების“ მუშაობაშიც. დიდი მტკიცება არ სჭირდება იმას, რომ მათი სამიზნე კვლავ საქართველოა.

თუ ზემოთ მოყვანილი დოკუმენტი გაყალბებული არ არის, მაშინ საგანგაშო მოვლენის წინაშე ვართ – ჩვენი მეზობელი და მეგობარი ქვეყნის დაზვერვის უფროსი რუსეთის აგენტი ყოფილა!

2003 წლის 18-21 მაისს არმენ დარბინიანი ქართველ, რუს, აზერბაიჯანელ და სხვა სამხედრო მაღალჩინოსნებსა და დიპლომატებთან ერთად მონაწილეობდა ვაშინგტონში აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს პროგრამით გამართულ საერთაშორისო სემინარში. მას შემდეგ წლებშიც არაერთხელ ჰქონია ოფიციალური თუ არაოფიციალური შეხვედრები ქართველ კოლეგებთან.



1999 წლის 27 ოქტომბერი. ერევანში, სომხეთის პარლამენტში შეიარაღებული პირები შეიჭრნენ და ცეცხლი გახსნეს

არმენ დარბინიანი ასევე აქტიურად მონაწილეობს აშშ-ის ადმინისტრაციის ეგიდით გამართულ საერთაშორისო ღონისძიებებსა და ნატოს სემინარებში.

ძნელი არ არის იმის მიხვედრა, თუ რა მონდომებით იმუშავებდა დარბინიანი რუსეთის სასარგებლოდ და საქართველოს საზიანოდ.

არ დავმალავთ, რომ სომხეთის დაზვერვის უფროსის, არმენ დარბინიანის შესახებ კომპრომატმასალა 2010 წლის ივლისშივე ხელთ გვქონდა, თუმცა მხოლოდ სხვადასხვა წყაროთი მრავალგზის გადამოწმების შემდეგ გამოვთქვით ვარაუდი, რომ ეს მაღალჩინოსანი ადრეც და ამჟამადაც მჭიდროდ თანამშრომლობდა რუსეთის სპეცსამსახურებთან და იმავდროულად, მეგობრობდა ქართველ კოლეგებთან. 20 ნოემბერს სომხეთის პრეზიდენტმა დარბინიანი გაათავისუფლა თანამდებობიდან და ამ გადაწყვეტილებით არაპირდაპირ დადასტურდა ჩვენი ვარაუდი.

**ბესიკ ალადაშვილი**

**ექსპერტი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, უშიშროების გადამდგარი პოლკოვნიკი**



# ლხინი და „ნაბახუსევთან" ბრძოლა სპეცსამსახურებში







**შობა-ახალ წელს საქართველოში პრობლემატურია გადამეტებული საახალწლო ნადიმების შემდგომი რელაქსაცია. ეს საკითხები სპეცსამსახურის თანამშრომლებისთვისაც ძალზე მტკივნეულია, რადგანაც ისინიც ჩვეულებრივი ადამიანები არიან.**

## საზეიმო ბანკეტის გამართვის საიდუმლო კა-გე-ბეში

საბჭოთა იმპერიის საიდუმლო პოლიცია, კა-გე-ბე, ისეთივე ფარისევლური და „საბჭოთა ზნეობის დამცველი" ორგანიზაცია იყო, როგორიც მთელი კომუნისტური სისტემა. თანამშრომლებს ოფიციალურად ეკრძალებოდათ ჩვეულებრივი, ადამიანური გრძნობებისა თუ ურთიერთობების გამომჟღავნება. მაშინ, როცა მნიშვნელოვან მოვლენათა აღნიშვნისა და ბანკეტის მოწყობის უამრავი მიზეზი არსებობდა: სამხედრო წოდების მინიჭება (მით უმეტეს — ვადამდე), მთავრობის ჯილდო, დაწინაურება, საზღვარგარეთ მივლინებაში გამგზავრება ან დაბრუნება და ა.შ., საკავშირო თუ რესპუბლიკური უშიშროების კომიტეტის ყველა დონის უფროსობა ფორმალურად სასტიკად წინააღმდეგი იყო ამგვარი აღნიშვნებისა, თუმცა იმავე დროს, ვინც ქვეშიდან გამოძვრებოდა და ბანკეტს არ იკისრებდა, წუწურაქის სახელი გამოწერილი ჰქონდა. თანაც უფროსობის გარეშე გაფაფხურებაც „დასჯადი" იყო. ამიტომ საწყალი პეპლის მსგავსად, არც კა-გე-ბეს ოფიცერმა იცოდა, „გაფრენილიყო თუ მოფრენილიყო". უმრავლეს შემთხვევაში, დიდი ფიქრის შემდეგ, ბანკეტის გამართვის გადაწყვეტილება მიღებული იყო. მოწვეულთა სია ბევრჯერ იცხრილებოდა: ეს კაცი ფავორში აღარ არის და ეშმაკებთანაც წასულაო, იმას კი ამ დილას თათბირზე უფროსმა ცუდად შეხედა და ისიც შორს ჩვენგანო და ა.შ. ნამდვილი მეგობრობა ამ სისტემაში ყველაზე დიდ დოყლაპიობად იყო მიჩნეული.

რესტორნის შერჩევაც დიდი რისკი იყო. ის პრესტიჟულიც უნდა ყოფილიყო და შეუმჩნეველიც. რაც მთავარია, „პლუსიანი" (ანუ უცხოელებისთვის განკუთვნილი ფარული მოსმენისა და ვიდეოგადაღების აპარატურით აღჭურვილი), ახლომახლო მაგიდები და კუპეები არ უნდა ყოფილიყო.

ალბათ, გახსოვთ, სპეცსამსახურების ეს ეშმაკობა არ გაითვალისწინა გასულ წელს ერთ-ერთმა ქართველმა დიდწონიანმა პოლიტიკოსმა და მისი ქეიფი და შიგადაშიგ პოლიტიკური ვაჭრობა ლამის ნახევარმა მსოფლიომ იხილა.

თანაც რესტორანი არც ქალაქის ცენტრში უნდა ყოფილიყო (ვინმეს რომ არ დაეფიქსირებინა ნასვამი უშიშროება) და არც ძალიან შორს.

მოკლედ, თავსატეხი ბევრი ჰქონდათ. შემდეგ პარტიზანულად და შეუმჩნევლად სათითაოდ მისვლისთვის იწყებოდა „ტრანსპორტირების მარშრუტების" დამუშავება. ასევე აუცილებელი იყო ფარული და შეუმჩნეველი დაშლა.

იმ პერიოდში ანდროპოვის (კა-გე-ბეს თავმჯდომარე) და შჩოლოკოვის (შინაგან საქმეთა მინისტრი) დაპირისპირება იმდენად იყო გამწვავებული, რომ მილიცია არ ერიდებოდა ქუჩაში ოდნავ ფეხარეულად მიმავალი უშიშროების ოფიცრის დაკავებას, განყოფილებაში წაყვანას, კა-გე-ბეს მორიგე ოფიცრის გამოძახებას და მისთვის ოფიციალურად, „საზეიმო" ვითარებაში უკვე გამოფხიზლებული კა-გე-ბეშნიკის გადაცემას. თანაც, უფროსობისთვის პატაკის სასწრაფოდ წარდგენას. ამ დაკავების შესახებ ინფორმაცია მომენტალურად გადაეცემოდა ქვემოდან ზემოთ და სულ რაღაც ნახევარ საათში „ოპერატიული ცნობა" შს მინისტრ შჩოლოკოვის მაგიდაზე იდო. ესეც ასე, ხელებს მოიფშვნეტდა კმაყოფილი ლეონიდ ბრეჟნევის ფავორიტი შჩოლოკოვი და კიდევ ერთი პატარა ქვა ანდროპოვის ბოსტანში გადასაგდებად მზად იყო.

საქართველოში ლეგენდები დადიოდა კა-გე-ბეს შეფის, ალექსი ინაურის სიმკაცრეზე, მის „კომუნისტურ თავმდაბლობასა" და „მოუსყიდველობაზე". მას მართლაც ბევრი თანამშრომელი გაუთავისუფლებია რესტორანში ქეიფის, „კომუნისტის ქცევის ნორმათა დარღვევის", მექალთანეობისა და სხვა ამგვარი რეალური

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ მოგონილი მიზეზების გამო. თუმცა ყველა ამ „ამაღლებული კომუნისტური“ თვალთმაქცობის მიღმა, სულ სხვა ინტერესები იმალებოდა. ინაური დესპოტი ხელმძღვანელი იყო და სხვა აზრს, მით უფრო, შეკამათებას, თანაც თათბირზე, ვერ იტანდა. განსაკუთრებით უყვარდა ჭორების მოსმენა და საოცრად მალე უჯერებდა დამსმენებს. სწორედ ამის შემდეგ იწყებოდა კომპრომატების ძებნა ამ თანამშრომელზე და მისი ბედი გადაწყვეტილი იყო — უკეთეს შემთხვევაში, ოდეერობა, ცუდ ვარიანტში კი – პენსია.

ალექსი ინაური ოთხმოცი წლის იყო, როცა 1988 წელს პოსტი დატოვა. ბოლო წლებში ცკ-ს ბიუროს სხდომებსა და მრავალსაათიან პარტიულ თათბირებზე ბერიკაცი ჩათვლემდა ხოლმე, თუმცა მისი მაინც ეშინოდათ. „როცა ინაურს სძინავს, მაშინაა ყველაზე საშიში“, – მხოლოდ ამ დროს და ისიც ზურგს უკან თუ გაიხუმრებდნენ საქართველოს კომპარტიის ბოსები.

## „ღვინო, დუდუკი, ქალები“ დათრობის საწინააღმდეგო ქიმიური პრეპარატები

სპეციალური ოპერაციის ჩატარებისას, როგორც წესი, ყველა წვრილმანი უნდა იყოს გათვალისწინებული. მეორე დილას კი აგენტთან შეხვედრის ანგარიშია სასწრაფოდ დასაწერი, არ გინდა ამის გაკეთება ნაბახუსევზე, როდესაც თავი გისკდება?

სპეცსამსახურის თანამშრომლისთვის მთავარია, სხვა დაათროს, თვითონ კი ფხიზელი დარჩეს. მაგრამ აქ ტრივიალური ფანდები – სასმლის ჭიქაში დატოვება ან „ბორჯომით“ გაზავება არ გამოდგება. ამიტომაც „ჯეიმს ბონდები“ და „შტირლიცები“ იძულებული არიან, არ დააეჭვონ ოპერატიული დამუშავების ობიექტი და თავადაც არ ჩამორჩნენ სმაში. ამ დროს კი ფხიზელი მდგომარეობისა და ნათელი გონების შენარჩუნება ყოველთვის პრობლემატურია.

როგორ უნდა გაანეიტრალო ალკოჰოლის მოქმედება ისე, რომ დალიო, მაგრამ არ დათვრე ან მეორე დილას ნაბახუსევზე „სიცოცხლისუნარიანობა“ შეინარჩუნო?

გამოსავლის ძიება „ჭრელო პეპელას“ მდგომარეობიდან შპიონაჟის ისტორიის დასაბამიდანვე იღებს სათავეს. არსებობს ჩვენი წინაპრების გამოცდილი ბახუსთან ბრძოლის მრავალი მეთოდი, თუმცა მათ ჩამოთვლას აქ არ შევუდგებით. გაცილებით საინტერესოა თრობის საწინააღმდეგო ქიმიური პრეპარატები, რომლებსაც სპეცსამსახურები იყენებენ.

ანეკდოტურ შემთხვევას ჰქონდა ადგილი 70-იან წლებში, როცა კა-გე-ბეს გენერალი, შორეული აღმოსავლეთის განყოფილების უფროსი, დიპლომატის საფარქვეშ სპეციალურად ჩავიდა ბირმაში ადრე გადმობირებული ჩინელი აგენტის შესამოწმებლად. სადილზე მოსკოველმა სტუმარმა აგენტს შეუმჩნევლად ჩაის ფინჯანში „სიმართლის ფხვნილი“ ჩაუყარა, რათა მას თვითკონტროლი დაეკარგა და რაც იცოდა თუ არ იცოდა ყველაფერზე ელაპარაკა. მაგრამ „სიმართლის“ დასადგენი ოპერაცია ჩაიშალა — ალბათ, კა-გე-ბეს ქიმიური ლაბორატორიის „შამანებს“ დოზა ძლიერი მოუვიდათ და ექიმებმა აგენტი ძლივს გამოსტაცეს სიკვდილს. საერთაშორისო სკანდალის თავიდან ასაცილებლად საბჭოთა „დიპლომატი“ თავქუდმოგლეჯილი გაიქცა აეროპორტში და ბირმა სასწრაფოდ დატოვა.

## კა-გე-ბეს ტაბლეტები – მითი თუ სინამდვილე?

ლეგენდა კა-გე-ბეს საიდუმლო სპეცლაბორატორიებში დამზადებულ ჯადოსნურ პრეპარატზე, რომელსაც ბახუსის „ძლევა“ შეეძლო, მრავალი ათეული წელია, რაც არსებობს. გასული საუკუნის 70-80-იან წლებში გავრცელებული შეხედულებით ყველა საბჭოთა მზვერავი „აღჭურვილი“ იყო განსაკუთრებული „იარაღით“ – თრობის საწინააღმდეგო სპეციალური აბებით, რომელთა მიღების შემდეგ თვითონ ფხიზელნი რჩებოდნენ, თანამეინახეებს კი ისე ათრობდნენ, რომ ისინი ყველა საიდუმლოებას „ფქვავდნენ“.

ეს მედიკამენტი საოცარი საშუალებაა. იგი ორგანიზმში წყვეტს იმ ფერმენტის გამომუშავებას, რომელიც ალკოჰოლს აცეტალდეჰიდად გარდაქმნის, ეს უკანასკნელი კი მომწამვლელი ნივთიერებაა და ადამიანის დათრობას იწვევს.

კა-გე-ბეს ვეტერანებიდან ზოგს საერთოდ არ სმენია ამ პრეპარატის შესახებ, ზოგი კი პირიქით ირწმუნება, რომ ეს ტაბლეტები ნამდვილად გამოიყენებოდა საბჭოთა სპეცსამსახურების მიერ.

ზოგი ვეტერანი, რომელიც საზღვარგარეთ მუშაობდა და უკვე დიდი ხანია პენსიაზეა, გაკვირვებით იჩეჩს მხრებს. მათ შორისაა ყველასთვის კარგად ნაცნობი იური კობალაძე, საბჭოთა და რუსეთის დაზვერვის გენერალ-მაიორი. მისი მტკიცებით, ამგვარი ტაბლეტები არ არსებობს და მას ისინი პრაქტიკაში არ გამოუყენებია, ხოლო დათრობის საწინააღმდეგო ყველაზე ეფექტურ საშუალებად ჩვეულებრივ კარაქიან ბუტერბროდს, მეორე დილისთვის კი პრეპარატ ალკოზელცერს ან „ხალხურ საშუალებებს“ — კეფირისა და მწნილის წვენის მიღებას გვთავაზობს.

საბჭოთა დაზვერვის მეორე ვეტერანი გრიგორი სამარინი კი ამტკიცებს, რომ მსგავსი პრეპარატი ნამდვილად არსებობდა. მისი თქმით, ის თავად შეესწრო ასეთ ფაქტს 1953 წელს, როცა კა-გე-ბეს კონტრდაზვერვის ერთ-ერთ ხელმძღვანელს ორი ოპერატიული თანამშრომლისთვის, რომელთაც საზეიმო ვახშამზე ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე უნდა გადაებირებინათ, სპეციალური ტაბლეტები გადაუცია. თან დაუყოლებია, ყოველი 100 გრამი არყის დალევის შემდეგ ეცადეთ, შეუმჩნევლად ერთი ტაბლეტი მიაყოლოთ, ამერიკელი გაითიშება, თქვენ კი ფხიზლები დარჩებითო.




**ბესიკ ალადაშვილი**

# კავკასიური მოვლენების მიმოხილვა...



აზერბაიჯანი 50 წლის წინანდელი T-55-ებისათვის ახალი სიცოცხლის შთაბერვას ცდილობს

## აზერბაიჯანი

● მიმდინარე წელს აზერბაიჯანი ისრაელის Israel Military Industries-სა და ორ თურქულ კომპანიასთან T-55-ის ტიპის ტანკის ბაზაზე სხვადასხვა სახის სამხედრო ტექნიკის შექმნის თაობაზე მოლაპარაკების დასრულებას აპირებს. სერიული წარმოებისათვის საუკეთესო ნიმუშები ტესტირებით შეირჩევა. პირველ ეტაპზე შეიქმნება მუხლუხა გამწევები, მსუბუქი შეიარაღებით აღჭურვილი საბრძოლო მანქანა, გამნაღმავი ტრალი, მექანიზებული ხიდგამდები და სხვ.

● სახელმწიფო სასაზღვრო სამსახურის ინფორმაციით, დეკემბერში საზღვრის უკანონო გადაკვეთისათვის დაკავებულია 24 კაცი. მათ შორის — 8 საქართველოს, 5 — აზერბაიჯანის, 4 — პაკისტანის, 4 — რუსეთის ფედერაციისა და 3 ირანის მოქალაქე იყო.

● უკრაინა აპირებს აზერბაიჯანს მიჰყიდოს ხარკოვში წარმოებული უახლესი ტანკი T-84 Оплот-ი, მოლაპარაკება დიდი ხანია მიმდინარეობს.

● 2010 წელს ხელმოწერილი ოქმით აზერბაიჯანმა ერთ-ერთ ამერიკულ კომპანიას 82-მმ-იანი ნაღმსატყორცნები M5 Ashirim-ი და საბრძოლო მასალები უნდა მიაწოდოს. ამერიკელები აზერბაიჯანული შეიარაღების შეტანას ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთ სახელმწიფოში აპირებენ.

● 28 დეკემბერს აზერბაიჯანმა და თურქეთმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ცეცხლსასროლი იარაღის, საავიაციო, საარტილერიო სისტემების სხვადასხვა სახის ჭურვებისა და ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემების რაკეტების წარმოებაზე. მსხვილკალიბრიანი ჭურვები დამზადდება როგორც აზერბაიჯანის, ასევე თურქეთისათვის. არ არის გამორიცხული მესამე ქვეყნებში ექსპორტიც.

● ასტარინის რაიონში სახელმწიფო სასაზღვრო სამსახურის საგუშაგოზე 4 იანვარს ინციდენტი მოხდა — ერთმა მესაზღვრემ ავტომატის ჯერით მეორე მესაზღვრე — 19 წლის იდრის ისმაილოვი მოკლა.

● რუსეთის შეიარაღებული ძალების გაბალის რადიოლოკაციურ სადგურზე რუსი ოფიცერი მოკლეს. სადგურის მომსახურე 47 წლის მაიორი სერგეი გრაჩოვი 24-სა და 31 დეკემბერს შორის არის მოკლული. აზერბაიჯანის სამხედრო პროკურატურამ საქმე აღძრა და ერთი აზერბაიჯანელი დააკავა.

● ყარაბაღში დაპირისპირებულ მხარეთა შეტების ხაზთან 6 იანვარს 8:15 საათზე სომხური ქვედანაყოფების მიერ გახსნილი ცეცხლის გამო 1991 წელს დაბადებული ჰუსეინ ულვი იფთიჰარ ოღლი მძიმედ დაიჭრა.

● 10 იანვარს ღამის 3 საათზე ალსტაფის რაიონში სამი შეიარაღებული ჯარისკაცი თავს დაესხა ავტოგასამართ სადგურს. ჯარისკაცებმა ავტომატის ცეცხლით ოპერატორი მოკლეს, მაგრამ ფულის წაღება ვერ მოახერხეს. სამივე თავდამსხმელი დაკავებულია.

● გასულ წელს ANAMA-მ ნაღმებისა და აუფეთქებელი საბრძოლო მასალებისაგან 29717406 კვმ ტერიტორია გაასუფთავა. განადგურებულია 64448 ნაღმი და აუფეთქებელი საბრძოლო მასალა. მოხდა 5 უბედური შემთხვევა, რასაც 1 სამხედროს დაღუპვა და ოთხის დაჭრა მოჰყვა. 1998 წლიდან 2011 წლისათვის ANAMA-ს ქვეყნის ტერიტორიის 640151820 კვმ ტერიტორია აქვს გასუფთავებული, ხოლო 640589 ნაღმი და აუფეთქებელი საბრძოლო მასალა კი განადგურებულია.

## სომხეთი

● 10 იანვარს თავდაცვის მინისტრმა სეირან ოგანიანმა ხელი მოაწერა ბრძანებას, რომლითაც თანამდებობიდან გაათავისუფლა იჯევანის პოლკის მეთაური პოლკოვნიკი სერგეი კარაპეტიანი და ორი ოფიცერი. ამის მიზეზი ერთი ინციდენტი გახდა. 31 დეკემბერს, 23:50 საათზე, ახალგაზრდებმა სამხედრო სამსახურში მყოფ თავიანთ მეგობართან ერთად ახალი წლის აღნიშვნა დააპირეს, რასაც პოლკის საკონტროლო-გამშვებ პუნქტთან პოლკოვნიკ კარაპეტიანთან შეკამათება მოჰყვა. სამხედროებმა ახალგაზრდები დააკავეს და პოლკის მეთაურის კაბინეტში აიყვანეს, სადაც ამ უკანასკნელმა სროლა ატეხა. შეშინებული ორი ახალგაზრდა მეორე სართულზე მდებარე კაბინეტის ფანჯრიდან გადმოხტა. 20 წლის ტარონ ენგიბარიანმა მძიმე ტრავმა მიიღო და 3 იანვარს სამედიცინო ცენტრში გარდაიცვალა. სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილი პოლკოვნიკის წინააღმდეგ კი საქმე ხულიგნობის ბრალდებით აღიძრა.

● უშიშროების საბჭოს მდივნის არტურ ბაღდასარიანის განცხადებით, სამხედრო-სამრეწველო სფეროში სომხეთ-რუსეთის ცხრა ერთობლივი საწარმო შეიქმნება. რამდენიმე სომხური საწარმო რუსული მსხვილი სამრეწველო-საფინანსო ჰოლდინგის შემადგენლობაში უნდა შევიდეს, რაც ადგილობრივი წარმოების განვითარებასთან ერთად ახალი სამუშაო ადგილების შექმნით სოციალურ გარემოს გააუმჯობესებს.

● არტურ ბაღდასარიანის თქმით, 2011 წლის სექტემბერ-ოქტომბერში სომხეთი უმასპინძლებს კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის (მასში გაერთიანებულია — ბელორუსია, რუსეთი, სომხეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი, ყაზახეთი და ყირგიზეთი) ოპერატიული რეაგირების კოლექტიურ ძალებს, რომელიც ამჟამად 6 ქვეყნის (უზბეკეთის გამოკლებით) 20 ათასამდე სამხედრო მოსამსახურეს ითვლის.



2011 წლის 1-ელ იანვარს ერთ-ერთი სომხური ნაწილის ტერიტორიაზე ტრაგედია დატრიალდა

## ჩრდილო კავკასია

● ახალი წლის მომდევნო დღეები ჩრდილო კავკასიაში ახალ-ახალი ბრძოლებითა თუ ტერაქტებით აღინიშნა — 3 იანვარს დაღესტანში მახაჩყალის გარეუბანში სპეცოპერაციის დროს 2 ბოევიკი მოკლეს, 5 იანვარს ჩეჩნეთში ხასავიურთში ბრძოლების დროს — 4 ბოევიკი, 5 იანვარს ვლადიკავკაზში დანაღმული ავტომობილის აფეთქებისას მძიმედ დაიჭრა ერთი სამხედრო, 9 იანვარს ინგუშეთში საავადმყოფოს მახლობლად მძლავრი ბომბის გაუვნებლება დროულად მოხერხდა, 9 იანვარს გროზნოში თავდასხმის დროს 2 სამხედრო დაიღუპა და 5 დაიჭრა, 10 იანვარს მახაჩყალაში გამნაღმველებმა თვითნაკეთი ბომბი გააუვნებლეს.



ჩრდილო კავკასიაში მორიგი სპეცოპერაცია მიმდინარეობს

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კონფლიქტური რეგიონები

### ოკუპირებული აფხაზეთი

● სეპარატისტულმა ხელისუფლებამ 5 იანვარს გუმისთის ხიდთან ომში დაღუპული მესანგრეთა ბატალიონის მებრძოლთა უკვდავსაყოფი მემორიალური დაფა გახსნა. ბატალიონის პირველი 7 მებრძოლი 1993 წლის იანვარში სოხუმზე შეტევის დროს დაიღუპა. დაფაზე 14 მესანგრის გვარია ამოკვეთილი.

### ყარაბაღი

● 28 დეკემბერს პრესკონფერენციაზე თვითაღიარებული თავდაცვის მინისტრის, გენერალ-ლეიტენანტ მოვსეს აკოფიანის შეფასებით, აზერბაიჯანის მიერ სხვადასხვა სახის შეიარაღების შესყიდვა ერთ მიზანს — ომის განახლებას ემსახურება. ეს ყარაბაღის შეშფოთებას იწვევს და ამიტომაც მიმდინარეობს არმიის მოდერნიზაცია, რომელიც 2011 წელსაც გაგრძელდება. მინისტრის ვარაუდით, ომი შეიძლება 2011 წელს დაიწყოს.

* მოვსეს აკოფიანის თქმით, 2010 წელს აზერბაიჯანმა ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი დაარღვია და ყარაბაღელთა პოზიციებს ცეცხლი 5871-ჯერ გაუხსნა, რაც 2009 წლის მაჩვენებელს 53%-ით აღემატება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „უმანისა“ და „თბილისის“ არასაბრძოლო სიკვდილი




ჩამოწერილი სარაკეტო კატარღა „უმანი“

გასული წლის ბოლო დღეები უკრაინის სამხედრო-საზღვაო ძალებისათვის მნიშვნელოვანი მოვლენით აღინიშნა — დასრულდა ერთადერთი და მრავალტანჯული წყალქვეშა ნავის U01 „ზაპოროჟიეს“ (ყოფილი Б-435) 13-წლიანი რემონტი და გემთსაბმელი გამოცდის დროს ადგილზე შემოწმდა ძრავების, დიზელ-გენერატორების, დამხმარე თუ სხვა მექანიზმების მუშაობა.

გამოცდა სევასტოპოლში, შავი ზღვის ფლოტის მე-13 ქარხნის აკვატორიაში ჩატარდა და შედეგით კმაყოფილმა უკრაინის თავდაცვის მინისტრმა, თადარიგის ვიცე-ადმირალმა მიხაილ ეჟელმა წყალქვეშა ნავის გარემონტებაში გაწეული დახმარებისათვის რუსეთის შავი ზღვის ფლოტის სარდლობას მადლობა გადაუხადა.

ახლა „ზაპოროჟიემ“ 31 მაისამდე ღია ზღვაში სავალი გამოცდის მთელი პროგრამა უნდა ჩააბაროს, სადაც წყალქვეშა ნავის სამოქმედო შესაძლებლობები და ბრძოლისუნარიანობა შემოწმდება.

უკრაინელი სამხედრო მეზღვაურების საახალწლო ამაღლებული განწყობა ოდნავ დაჩრდილა ერთმა საგანგებო შემთხვევამ, რომელიც 2 იანვარს სევასტოპოლში, სტრელეცკაიას ყურის დასავლეთ სანაპიროზე მოხდა.

სამხედრო-საზღვაო ძალებიდან 2008 წელს ჩამოწერილი და ერთ-ერთ კერძო ფირმისთვის ჯართში ჩასაბარებლად მიყიდული სარაკეტო კატარღა U-152 „უმანი“ (ყოფილი P-260) გემთსადგომთან ჩაიძირა.

10 მ სიღრმეზე ჩაძირულ კატარღაზე უახლოეს დღეებში საავარიო-სამაშველო სამუშაოების დაწყება იგეგმება.

ასეთი შემთხვევა იშვიათი არ არის და, როგორც წესი, ძველ ხომალდებს მოსდით, როცა დაჟანგული კორპუსი წყალს ატარებს და დაშლა-დაჭრის სამუშაოებიც დაუდევრად მიმდინარეობს.

ეს ამბავი ყურადღებასაც არ მიიქცევდა, რომ არა ერთი კომენტარი, რომელიც უკრაინის ქალაქ უმანის ადმინისტრაციამ გააკეთა, — თურმე სევასტოპოლში ჩაძირული კატარღა საქართველოს სამხედრო-საზღვაო ძალების კუთვნილება ყოფილა.

ქართული ფლოტის შემადგენლობაში მართლაც შედიოდა „უმანის“ მსგავსი 206MP პროექტის „თბილისი“ (ყოფილი U-152 „კონოტოპი“, ყოფილი P-15), რომელიც საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ უკრაინისაგან 1998 წელს იყიდა.

მაშინ განიხილებოდა მეორე კატარღის ყიდვაც და გამორიცხული არ არის, სწორედ „უმანზე“ იყო ლაპარაკი.

206MP პროექტის წყალქვეშა ფრთებიანი სარაკეტო კატარღების შექმნის იდეა საბჭოთა კავშირში გასული საუკუნის 70-იან წლებში გაჩნდა და მიზანს — სწრაფსვლიანი კატარღების (სიჩქარე 42 კვანძი) ხომალდსაწინააღმდეგო ფრთოსანი რაკეტებით მოწინააღმდეგის მსხვილი საბრძოლო ხომალდების განადგურება შეადგენდა, მაგრამ იდეას იმთავითვე გამოეცალა საფუძველი, — ორივე რაკეტის გასროლის შემდეგ კატარღას თავდაცვა მხოლოდ ერთი 76 მმ-იანი ქვემეხით შეეძლო.

1998 წელს ჯართში ჩასაბარებლად მომზადებული „კონოტოპით“ ქართველი სამხედრო მეზღვაურები დაინტერესდნენ და მარტენის ღუმლის ნაცვლად კატარღა ბალაკლავაში გემსარემონტო ქარხანაში გაიგზავნა.

გარიგების ფინანსური მხარე უცნობია, სავარაუდოდ, 150-200 ათასი დოლარი იქნებოდა.

1999 წლის 30 ივნისს გარემონტებულ „თბილისზე“ საქართველოს დროშა აღიმართა და 4 ივლისს ფოთში შემოვიდა, მაგრამ მთავარი იარაღის — ხომალდსაწინააღმდეგო „ტერმიტების“ გარეშე.

პრობლემად იქცა კატარღის მოძველებული და რესურსგამოცლილი აგრეგატების თუ მექანიზმების მწყობრიდან ხშირი გამოსვლა და ა.შ. ერთმა ოფიცერმა კორპუსიდან ჩამოტეხილი ალუმინის შენადნობისგან დამზადებული წყალქვეშა ფრთები ჯართში ჩააბარა, კორპუსში კოროზიით გაჩენილი ღრიჭო ბეტონით დაიგმანა, 76 მმ-იან ქვემეხზე ჭურვების მიწოდების ავტომატი არ მუშაობდა და სხვ.

2005 წლიდან „თბილისი“ ტექნიკურად ძალზე გაუმართავი იყო და ზღვაში თითქმის აღარც გადიოდა და გამორიცხული არ არის, იმ პერიოდში უკრაინასთან მეორე სარაკეტო კატარღის შესაძენად მოლაპარაკება მართლაც შედგა.

ცნობილია, რომ ყოფილი თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი ლიტვისგან ორი კორვეტის ყიდვას ცდილობდა, მაგრამ ლიტველები ხომალდების შეიარაღების გარეშე გადმოცემას სთავაზობდნენ და ამის გამო შეთანხმება არ მოხერხდა. ქართველმა სამხედროებმა უკრაინელებისაგანაც, ალბათ, მსგავსი პასუხი მიიღეს.

1997 წლის მაისში რუსეთმა და უკრაინამ შავი ზღვის ფლოტი გაინაწილეს. კიევმა ბევრი გამოუსადეგარი ხომალდი თუ კატარღა ჩამოწერა-განაიარაღა და ნაწილი კერძო ფირმებს მიჰყიდა.

ქართული ფლოტის „თბილისი"




1997-98 წლებში უკრაინიდან საქართველოში ასეთი სახის ათამდე მცურავი საშუალება შემოვიდა. მათ სამხედრო მეზღვაურების მომზადებაში დიდი როლი ითამაშეს, თუმც ამ ძველ ტექნიკას პრობლემები არ აკლდა.

უკრაინაში ნაყიდი მცურავი საშუალებებისგან 1997 წლის ივნისში სამხედრო-საზღვაო ძალებმა მიიღო: 360-ე პროექტის №101 „წყალტუბო" (კატარღა „მერკური", ყოფილი КСВ-9), 368Т პროექტის №102 „ახმეტა" (ყოფილი ტორპედმჭერი), სასაზღვრო-საპატრულო 1400М პროექტის №103 (ყოფილი „ანასტასია") და №104.

1998 წლის დასაწყისში ფლოტს უკრაინაში ნაყიდი სასაზღვრო-საპატრულო 205П პროექტის №301 „ბათუმი" (ყოფილი ПСКР-638) დაემატა.

უკრაინაში განიარაღებული კატარღები ფოთში იმპროვიზებული შეიარაღებით — 37 მმ-იანი ქვემეხებით (70-К), 23 მმ-იანი ავტომატებით (ЗУ-23-2) და მცირეკალიბრიანი ტყვიამფრქვევებით აღიჭურვა. „ახმეტა" ერთხანს „გრადის" დანადგარს ატარებდა.

1998 წლის დასაწყისში საქართველოს საზღვრის დაცვის დეპარტამენტმა უკრაინიდან დახმარების სახით ბუქსირი „ფოთი", ორი 1400М პროექტის (ერთ-ერთი ყოფილი ПСКА-518-ია) და ერთი 205П პროექტის Р 21 „გიორგი თორელი" (ყოფილი ПСКР-629) მიიღო.

ძველი კატარღების სამსახური ხანმოკლე გამოდგა. „ახმეტა" 2001 წელს ჩამოიწერა, „ბათუმი" 2000 წლის თებერვლიდან ბალაკლავაში გასარემონტებლად იდგა და 2007 წელს იქვე ჩამოიწერა.

„თბილისმა" რუსულ სპექტაკლში, სახელწოდებით „XXI საუკუნის პირველი საზღვაო ბრძოლა", ერთ-ერთი მთავარი როლი შეასრულა და ამის შემდეგ რუსმა დივერსანტებმა ფოთის პორტში გემსადგომთან აფეთქებით ჩაძირეს.

იგივე ბედი გაიზიარა „წყალტუბომ" და სანაპირო დაცვის „ორბმა" (საზღვაო ძალების ყოფილი №104). ჩამოწერილია ბუქსირი „ფოთი".

დანარჩენი კატარღები სამსახურს სანაპირო დაცის შემადგენლობაში ისევ განაგრძობენ.

**თემურ ჩაჩანიძე**

„უმანს" ჩაძირვის წინ ზედნაშენი მთლიანად მოჭრილი ჰქონდა და მხოლოდ კორპუსი იყო დარჩენილი



# ქურთისტანის მუშათა პარტია (ქმპ)

## მაოს მცირეაზიელი მიმდევრები




„ქურთისტანის მუშათა პარტიის“ აქტივისტთა დემონსტრაცია ლონდონის ცენტრში, 2007 წელი

„ქურთისტანის მუშათა პარტია" (ქმპ) მცირე აზიის რეგიონში მოქმედი ერთ-ერთი უმსხვილესი, მემარცხენე-რადიკალური ქურთული დაჯგუფებაა, რომლის მიზანია ქურთისტანის ერთიანი, დამოუკიდებელი და სოციალისტური სახელმწიფოს შექმნა. ქურთულ დაჯგუფებებს შორის ქმპ ყველაზე მარგინალურ ძალად მიიჩნევა და თურქეთის გარდა, მსოფლიოს 39 ქვეყანაში (მათ შორის — შეერთებულ შტატებში, კანადაში, ევროკავშირში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში და ა.შ.) ტერორისტულ ორგანიზაციად არის აღიარებული; თუმცა, მისი მესვეურების აზრით, მათ ბრძოლის მეთოდს ტერორიზმთან საერთო არაფერი აქვს — ისინი ერის თვითგამორკვევისათვის მებრძოლი პარტიზანები არიან.

„ქურთისტანის მუშათა პარტია" ძირითადად, თურქეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედებს, მაგრამ თავს ერთიანი ქურთი ერის ინტერესების დამცველად მიიჩნევს, ისევე, როგორც სხვა ქურთული ორგანიზაციები, რომლებიც დამოუკიდებელი და ერთიანი ქურთისტანის შესაქმნელად იბრძვიან, მაგრამ ერთიმეორისგან კარდინალურად განსხვავებული მსოფლმხედველობა და მიმართულება აქვთ. თურქეთის მთავრობის გარდა, ქმპ ზოგ არამემარცხენე ქურთულ პარტიასაც უპირისპირდება.

### ქურთული პრობლემა, მაოიზმი და „სეროქ აპო“

ქურთები მცირე აზიის ერთ-ერთი უძველესი და მრავალრიცხოვანი ერია. ენობრივად ინდოევროპული ოჯახის ირანულ ჯგუფს განეკუთვნებიან, რელიგიით კი უმეტესობა მუსლიმანია (ძირითადად — სუნიტები, ნაკლებად — შიიტები); ქურთთა უძველეს რწმენას — იეზიდიზმს დღეს შედარებით ცოტა მიმდევარი ჰყავს. ქურთთა სამშობლო შუამდინარეთის ჩრდილოეთით მდებარეობს და XIV საუკუნიდან „ქურთისტანის“ სახელით არის ცნობილი. ამჟამად მისი ტერიტორია ოთხი სახელმწიფოს: თურქეთის, სირიის, ირანისა და ერაყის შემადგენლობაში შედის. ამათგან თურქეთის კონტროლქვეშ მოქცეულია ქურთული მიწების 50%, მაგრამ ქურთისტანის საერთო ფართობი ჯერჯერობით დაზუსტებული არ არის და სხვადასხვა წყარო (როგორც ქურთული, ასევე უცხოური) სხვადასხვა მონაცემს მიუთითებს. დაუზუსტებელია ქურთების რიცხოვნობაც. დასავლური წყაროების მიხედვით, მათი რიცხვი 30 მილიონ კაცს უნდა აღწევდეს.

ანტიკური ხანიდან ქურთისტანის ტერიტორიაზე რამდენიმე სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი არსებობდა. მათ შორის ყველაზე ძლიერი შედადიანების სასულთნო იყო, რომლის მესვეურები ჯერ კიდევ XII საუკუნიდან ცდილობდნენ ქურთული მიწების გაერთიანებას, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწიეს. XV საუკუნეში, როცა ქურთისტანი დასავლეთიდან ოსმალების, აღმოსავლეთიდან კი სპარსელების ექსპანსიის ობიექტად იქცა, ქურთულ სასულთნოთა და სახანოთა დინასტიები უკვე სამკვდრო-სასიცოცხლოდ იყვნენ გადაკიდებულნი ერთმანეთს; ამიტომაც მომხდურებს მათი დამარცხება არ გასჭირვებიათ. ქურთისტანის

პირველი გაყოფის თარიღად ითვლება 1639 წლის 17 მაისი, როდესაც ოსმალეთსა და სეფიანთა სპარსეთს შორის ზოჰაბის ზავი დაიდო. ოსმალეთს წილად ხვდა ამ ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთი, სპარსეთს კი — სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი. სწორედ ამ ზავის შედეგად წარმოიშვა „ქურთული პრობლემა“, რომელსაც ოსმალეთი და სპარსეთი იმთავითვე იყენებდნენ ერთმანეთის საწინააღმდეგოდ — სტამბოლი ხალისით უჭერდა მხარს სპარსეთის ქვეშევრდომ ქურთებს მაშინ, როცა საკუთარ საზღვრებში მათ თანამოძმეებს დაუნდობლად ჟლეტდა. ასეთივე სტრატეგიითვე მოქმედებდა სპარსეთიც და საბოლოოდ მხოლოდ ქურთები ზარალდებოდნენ. სხვათა შორის, სწორედ ეს გახდა ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი იმისა, რომ ქურთთა შორის ძლიერი და ერთიანი ეროვნული თვითშეგნება დღემდე ვერ ჩამოყალიბდა; ვერც ერთიანი სალიტერატურო ენა შეიქმნა — თურქეთისა და სირიის ქურთები იყენებენ ქურმანჯის დიალექტს, რომლის დამწერლობაც ლათინურ გრაფიკას ემყარება, ხოლო მათი ერაყელი და ირანელი თანამოძმეები კი — სორანის დიალექტზე, არაბული ანბანით წერენ. ქურმანჯი და სორანი ერთმანეთისაგან ისევე განსხვავდება, როგორც გერმანული და ჰოლანდიური ენები.

ერთიანი და დამოუკიდებელი ქურთისტანის შესაქმნელად მოძრაობა პირველად XIX საუკუნის 80-იან წლებში, ოსმალეთის ტერიტორიაზე დაიწყო. მისი ხელმძღვანელი იყო შეიხ საიდ უბეიდულლაჰ შემდინანი — ქურთი წარჩინებული, რომელმაც 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შე-




ოთხი სახელმწიფოს შემადგენლობაში შესული ქურთისტანი, როგორც ის ქურთისტანის მუშათა პარტიას წარმოუდგენია

მდეგ (როდესაც სტამბოლმა ევროპულ სამფლობელოებს — ალბანეთს, რუმელიასა და მაკედონიას საერთაშორისო საზოგადოებრიობის ზეწოლით თვითმმართველობა მიანიჭა), „500 ათასი ქურთი ოჯახის სახელით“ ოსმალეთის სულთანს ჯერ ავტონომია მოსთხოვა, მერე კი, როცა მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, სრულიად ქურთისტანს აჯანყებისაკენ მოუწოდა. მოწოდებას მრავალი ქურთი გამოეხმაურა და 1880 წელს ოსმალეთის ქურთისტანი ცეცხლის ალში გაეხვია. მართალია, ოსმალებმა აჯანყება ჩაახშვეს, მაგრამ ეროვნული გათავისუფლებისა და გაერთიანების იდეა ქურთთა შორის ოსმალეთსა და სპარსეთშიც მეტად პოპულარული გახდა.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, როცა ოსმალეთის იმპერია დაიშალა, იქაურმა ქურთებმა დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა გააქტიურეს. სწორედ მაშინ ქურთისტანის ტერიტორიაზე ფრანგული და ინგლისური კოლონიური არმიებიც გამოჩნდნენ. 1920 წელს „ერთა ლიგამ“ ინგლისსა და საფრანგეთს შორის დადებული საიქს-პიკოს ხელშეკრულება დაამტკიცა და ამ ქვეყნებს ოსმალეთის არაბული სამფლობელოების სამართავად მანდატები გადასცა. ლონდონს წილად ხვდა ერაყი, პალესტინა, ჰიჯაზი, იემენი და ჰადრამავთი, ხოლო პარიზი სირიასა და ლიბანს დასჯერდა. ამ დროს ქურთისტანის სამხრეთი ნაწილიც ინგლისურ და ფრანგულ ზონებად დაიყო და ერაყისა და სირიის შემადგენლობაში შევიდა. ევროპელები თავს ქურთების მოკავშირეებად აცხადებდნენ, რის გამოც ეს უკანასკნელები სამხრეთ ქურთისტანის გაყოფას იმდენად არ შესწინააღმდეგებიან, ქურთული ეროვნული მოძრაობის მესვეურებმა მიიჩნიეს, რომ დამოუკიდებელი, ერთიანი ქურთისტანის შექმნით ლონდონიც და პარიზიც დაინტერესებულნი იყვნენ; მათივე აზრით, სამხრეთ ქურთისტანში კოლონიური ჯარების შემოყვანა განპირობებული იყო იმით, რომ ოსმალებს ქურთთა წინააღმდეგ სამხედრო ძალა არ გამოეყენებინათ.

მართლაც, ინგლის-საფრანგეთის აშკარა თუ ფარული მხარდაჭერით ქურთისტანის ჩრდილოეთი ნაწილი ქურთებმა მალე საკუთარ კონტროლს დაუქვემდებარეს და, რა თქმა უნდა, აშკარად დაუპირისპირდნენ თურქეთის რესპუბლიკის დამაარსებელს — მუსტაფა ქემალ ათათურქს; „თურქთა მამა“, 20-იანი წლების შუახანებამდე ქურთების მიმართ გარკვეულწილად ლოიალურად იყო განწყობილი,



ერაყელი ქურთები ქურთისტანის დროშით

ეროვნული ბიბლიოთეკა



ყაზი მუჰამედი (მარცხნივ) და მუსტაფა ბარზანი, გასული საუკუნის 40-იანი წლები

მაგრამ მათთვის ფართო ავტონომიის მინიჭებისგან მაინც თავს იკავებდა. 1926 წლის 16 მაისს ჰესენანის, ჯიბრანის, ჰაიდარანისა და ჯალალის ქურთულმა ტომებმა აღრის, ყარსისა და ვანის ვილაიეთთა ტერიტორიაზე წამოიწყეს ანტითურქული აჯანყება, რომელსაც სათავეში იჰსან ნური და იბრაჰიმ ჰესქი ედგნენ. აჯანყებულებმა თურქული არმია მალე შეავიწროეს და 1927 წლის 28 ოქტომბერს ე.წ. „არარატის ქურთული რესპუბლიკაც“ კი გამოაცხადეს (ცენტრი — სოფ. ქურდავა, ამჟამად თურქმენჩიფთლიღი, დოღუბაიაზეთის ილში), რომელიც 1930 წლამდე, აჯანყების ჩახშობამდე არსებობდა. 1931 წელს თურქეთის ქურთისტანში შეიარაღებული გამოსვლები შეწყდა, რადგან მუსტაფა ქემალ ათათურქმა ევროპაში პოზიციები გაიმყარა და ინგლისმაც და საფრანგეთმაც ქურთებს დახმარება შეუწყვიტეს. არარატის თვითაღიარებული რესპუბლიკა თურქულმა არმიამ აიღო; მისი პრეზიდენტი იბრაჰიმ ჰესქი ირანში გაიქცა და აჯანყების ბაირაღი ახლა იქ აიფრიალა, თუმცა შაჰის არმიამ ქურთები დაამარცხა და თავად ჰესქიც გაანადგურა.

1941 წელს „ქურთული პრობლემის“ სათავისოდ გამოყენება იოსებ სტალინმა სცადა. მაშინ წითელი არმია ომის გამოუცხადებლად შეიჭრა ირანში და ამ ქვეყნის ჩრდილო ნაწილის, მათ შორის — ირანის ქურთისტანის ოკუპირება მოახდინა, შაჰს ჰიტლერისათვის მხარი რომ არ დაეჭირა. სტალინის ბრძანებით, საბჭოთა დაზვერვამ სომხეთის სსრ-ის ქურთული წარმოშობის პარტიული ფუნქციონერების აქტიური მონაწილეობით კონტაქტი დაამყარა ირანისა და ერაყის ქურთებთან. მოსკოვში აზერბაიჯანის სსრ-სთან ირანის აზერბაიჯანის მიერთებას გეგმავდნენ და სურდათ, ამ პროცესის პარალელურად, ქურთებს თეირანისთვის პრობლემა შეექმნათ. 1943 წელს ირანის ქურთისტანის ერთ-ერთ მხარეში — მუკრიში სტალინის ფარული მხარდაჭერით იფეთქა ანტიირანულმა აჯანყებამ, რომელსაც არალეგალური მემარცხენე-რადიკალური პარტია „ჟინა ქურდისთანეს“ („ქურთისტანის ცხოვრება“) მესვეურები ედგნენ სათავეში. აჯანყებულებმა ირანული არმია ქურთისტანიდან წელიწად-ნახევარში განდევნეს.

1945 წელს ერაყელ ქურთთა ლიდერი მუსტაფა ბარზანი, რომელიც 1930-1931 წლებში იჰსან ნურისა და იბრაჰიმ ჰესქის მხარდამხარ იბრძოდა, ირანის ქურთისტანში გადავიდა და იქ 1946 წლის 22 იანვარს ქ. მეჰაბადში (რომელიც ირანის საბჭოთა საოკუპაციო ზონაში მდებარეობდა) „ჟინე ქურდისთანის“ ლიდერ ყაზი მუჰამედთან ერთად ე.წ. „ქურთისტანის სახალხო რესპუბლიკა“ გამოაცხადა. რესპუბლიკის პრეზიდენტი ყაზი მუჰამედი გახდა, შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი კი ბარზანი. მათთან ერთად მთავრობის შემადგენლობაში ზოგიერთი საბჭოთა პარტიული ფუნქციონერიც შევიდა.

ქურთების სამწუხაროდ „ქურთისტანის სახალხო რესპუბლიკას“ აღსასრული ძალიან მალე — 1946 წლის აგვისტოს დასაწყისში დაუდგა. მაშინ საბჭოთა კავშირს ქურთ მეამბოხეთა დახმარება უკვე აღარაფერში სჭირდებოდა, ამიტომაც ყაზი მუჰამედისა და მუსტაფა ბარზანის წერილობით თხოვნას, დაგვეხმარეთო, სტალინმა მრავლისმთქმელი და ლაკონიური რეზოლუცია დაადო: „Самое время для побега!“. არადა, სწორედ მაშინ, როცა „დიდი ბელადი“ ამას წერდა, ერაყის დედაქალაქ ბაღდადში ქურთ მემარცხენეთა სხდომა მიმდინარეობდა; ამ სხდომაზე დაფუძნდა ქურთისტანის დემოკრატიული პარტია, რომლის ხელმძღვანელად მუსტაფა ბარზანი დაუსწრებლად აირჩიეს, მან სტალინის „რჩევით“ ისარგებლა და თავი საბჭოთა კავშირს შეაფარა; ყაზი მუჰამედმა ემიგრაციაში წასვლა არ მოისურვა და სიცოცხლე გმირულად დაასრულა — 1947 წლის 30 მარტს იგი, მეჰაბადში შესულმა ირანელებმა რესპუბლიკის რამდენიმე მესვეურთან ერთად ჩამოახრჩვეს.

საბჭოთა კავშირიდან მუსტაფა ბარზანი ერაყის ქურთისტანში 1958 წელს დაბრუნდა და ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობას შეუდგა. ის განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ევროპის ქურთულ სათვისტომოებთან კავშირს ანიჭებდა, თან საბჭოთა სპეცსამსახურებთან ფლირტზედაც არ ამბობდა უარს. მისმა პარტიამ არა მარტო ერაყში ან ირანში, არამედ თურქეთში, სირიასა და ევროპაში მცხოვრებ ქურთთა შორისაც მალე მოიხვეჭა პოპულარობა. დასავლეთ ევროპის ქვეყნებში: საფრანგეთში, ჰოლანდიაში, გერმანიაში, იტალიაში, ბელგიასა და შვეციაში ქურთმა დემოკრატებმა საკმაოდ ნაყოფიერი პროპაგანდისტული მუშაობა გააჩაღეს; იქვე ბეჭდავდნენ ჟურნალ-გაზეთებსა და წიგნებს ქურთულ ენაზე ქურთისტანში გასავრცელებლად. გარდა ამისა, მათ საბჭოთა კავშირიც მეტად აქტიურად უჭერდა მხარს; დროთა განმავლობაში ქურთისტანის დემოკრატიული პარტია ახლო აღმოსავლეთში ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ძალად იქცა.

ამ დროს თურქეთის ქურთისტანში,



„მეჰაბადის რესპუბლიკის“ დამცველთა რიგებში ქალებიც იბრძოდნენ



„ქურთისტანის მუშათა პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ბუზან დუქინი (შარუჯვნივ)

რომელიც ყველაზე ჩამორჩენილი რეგიონი იყო, მემარცხენე-რადიკალიზმის იდეები სწრაფად იკიდებდა ფეხს, თუმცა ერთი შეხედვით „მშვიდობიან“ ლენინიზმზე უფრო მეტად იქაურებს მაო ძედუნისა და ერნესტო „ჩე“ გევარას მარგინალური შეხედულებანი უფრო ხიბლავდათ. ამის მიზეზი კი ისიც იყო, რომ ირანთან, ერაყსა და სირიასთან შედარებით, თურქეთში მთავრობა ქურთებთან ნაკლებ ლმობიერებას იჩენდა. შესაბამისად, თურქეთის ქურთების დიდი ნაწილი უკიდურესად მეამბოხური სულისკვეთებით იყო განმსჭვალული და აქედან გამომდინარე „ქურთისტანის დემოკრატიული პარტიის“ მოქმედების ფორმა — მშვიდობიანი პროტესტი — აღარ აკმაყოფილებდა.

70-იან წლებში, თურქეთის ქურთისტანიდან გერმანიაში ემიგრირებულმა იმ ქურთებმა, რომლებიც ქდპ-ს „არაეფექტურ მოქმედებაში“ ადანაშაულებდნენ, დაიწყეს ჟურნალ „რია ქარქერეს“ („მუშის გზა“) გამოცემა, რომლის მეშვეობით მაოისტური იდეების პროპაგანდას ეწეოდნენ. ქურთ ემიგრანტთა ამ ჯგუფს მიაჩნდა, რომ ქურთისტანის დამოუკიდებლობის მოპოვება უპირატესად რევოლუციური გზითა და პარტიზანული ომის მეშვეობით უნდა მომხდარიყო. შემდგომში მის ბაზაზე ჩამოყალიბდა „ქურთისტანის რევოლუციური პარტია“ („ფართია შორეშა ქურდისთან“), რომელიც ახლაც არსებობს და „ქურთისტანის მუშათა პარტიის“ ერთ-ერთი მოკავშირეა.

1973-1974 წლებში ანკარის უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტმა, აბდულლაჰ ოჯალანმა, რომელიც ქურთულ რეალობას მორგებულ მაო ძედუნისა და „ჩე“ გევარას მოძღვრებას ემიგრანტული გამოცემების წყალობით გაეცნო, თანამოაზრეებთან ერთად არალეგალური პოლიტიკური წრე დააარსა. ვინაიდან ის ამხანაგთა შორის ასაკით ყველაზე უფროსი იყო და ღონითაც გამოირჩეოდა, პარტიზანულ მეტსახელად „სეროქ აპო“, ანუ „ბიძა-თავმჯდომარე“ შეარქვეს.

ამავდროულად, ერაყის ქურთისტანში მუსტაფა ბარზანიმ, რომელიც უწინ რადიკალურ შეხედულებებს ნაკლებად იზიარებდა, სრულიად მოულოდნელად, ოფიციალური ბაღდადის წინააღმდეგ შეიარაღებული აჯანყება წამოიწყო. მალე დასავლურ მასმედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ერაყელ ქურთებს არაბული პარტია „ბაასის“ მიერ ორგანიზებული ე.წ. „უსისხლო გადატრიალების“ (1968 წლის 17 ივლისი) სათავისოდ გამოყენება სურდათ და ამას, სხვათა შორის, მოსკოვიც მიესალმებოდა. მაშინ ბაღდადში ქურთებისთვის მართლაც არავის ეცალა, რადგან ერაყის ხელისუფლებაში მოსული პარტია „ბაასის“ მესვეურები გავლენის მოსაპოვებლად ერთმანეთს ებრძოდნენ. ამგვარად, 1974 წლის ბოლოს, ქურთმა პარტიზანებმა ერაყის ქურთისტანზე კონტროლის დამყარება იოლად შეძლეს და ალყა შემოარტყეს ნავთობმრეწველობის ცენტრს — ქალაქ ქირქუქს. ამ ყველაფერმა კი მეზობელი თურქეთი უკიდურესად აღაშფოთა.

ანკარელი ექსპერტების ვარაუდი, ერაყელ ქურთებს თურქი ქურთებიც მალე შეუერთდებიანო, რამდენიმე თვეში გამართლდა: სამხრეთ-აღმოსავლეთ თურქეთის დიდ ქალაქებში ადგილობრივ მოსახლეთა საპროტესტო გამოსვლები გახშირდა. „ჩვენ ქურთები ვართ!“ — ასეთი იყო მათი ძირითადი ლოზუნგი. აქტივისტები უკმაყოფილებას აშკარად გამოხატავდნენ იმის გამო, რომ ანკარა ქურთებს დამოუკიდებელ ეროვნებად არ ცნობდა და, შესაბამისად, ქურთულ ენას ცხოვრების ყველა სფეროში კრძალავდა. „სეროქ აპო“ და მისი თანამოაზრეები იმ დროს, როგორც იტყვიან, მოვლენათა შუაგულში იყვნენ და ხალხს პარტიზანული ომის წამოსაწყებად რაზმავდნენ — თურქეთის ჟანდარმერიამ 1978 წელს სანდო ინფორმატორებისაგან პირველად მიიღო შეტყობინებები იმის თაობაზე, რომ მანამდე უცნობი დაჯგუფება, რომელიც თავის თავს „ქურთ მუშათა პარტიას“ უწოდებდა, თურქეთის ქურთისტანში შეიარაღებულ აჯანყებას ამზადებდა.

სხვათა შორის, ქურთების საპროტესტო გამოსვლებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაზე უდიდესი გავლენა მოახდინა. არეულობა თავიდან რომ აეცილებინათ, თურქეთის არმიამ, გენერალ აჰმეთ ქ. ევრენის მეთაურობით 1980 წლის 12 სექტემბერს სამხედრო გადატრიალება მოაწყო; ამან ქურთების საპროტესტო მოძრაობა მხოლოდ ოთხი წლით შეაჩერა — აბდულლაჰ ოჯალანი მომხრეების ჯგუფთან ერთად სირიაში გადავიდა, იქაური თანამემამულეები აიყოლია და 1984 წლის აგვისტოში კვლავ თურქეთში დაბრუნდა. ნაპოლეონის დაბადების დღეს („სეროქ აპო“ ბონაპარტეს დიდი თაყვანისმცემელია) — 15 აგვისტოს ჰაქარისა და შირნაქის ილებში „ქურთ მუშათა პარტიის“ აქტივისტებმა თურქულ არმიას ერთდროულად შეუტიეს. ასე დაიწყო აბდულლაჰ ოჯალანმა ომი, რომელიც თურქეთის ქურთისტანში დღემდე გრძელდება.

**მიხეილ ლაბაძე**

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



ქურთი პარტიზანები


უკვე ხარ 18 წლის?
ხარ გამორჩეული მებრძოლის სულისკვეთებით?!
გინდა იყო ფორმაში, მიიღო ადრენალინი?!
საქართველოს აირსოფტის ფედერაცია წარმოგიდგენთ საომარ სიმულატორს რეალურ დროში! ბრძოლა სადაც ემოცია, განცდა რეალური ომის დონეზეა, ბრძოლა რომელშიც უნდა იფიქრო როგორ გადარჩე, ომი რომლიდანაც ყოველთვის ცოცხალი ბრუნდები! დაგაინტერესა? მობრძანდი და შენ ჩვენი დიდი ოჯახის წევრი გახდები!
AIRSOFT SHOP
თბილისი, ზაქარიაძის ქ. №15/1
ტელ: 890 30 10 19
www.airsoftshop.ge

# აფხაზეთში ღალატისთვის დახვრეტილი 10 წლის შემდეგ უდანაშაულოდ ცნეს

აფხაზეთის ომის დროს 1992 წლის შემოდგომიდან სოხუმში სამხედრო-საველე სასამართლომ დაიწყო მუშაობა. სასამართლოს შექმნაზე ინფორმაცია გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნდა. თავიდან ეს არავის გაუპროტესტებია, პირიქით, ბევრმა მოიწონა კიდეც, მაგრამ მოგვიანებით გაკეთდა დასკვნა, რომ ამ ტიპის სასამართლო კანონსა და კონსტიტუციას ეწინააღმდეგებოდა.

1992 წლის 6 ნოემბრის პარლამენტის დადგენილებაში გარკვევით წერია, რომ „საქართველოს რესპუბლიკაში მართლმსაჯულებას მხოლოდ სასამართლო ახორციელებს, მოსამართლეები დამოუკიდებელნი არიან და მხოლოდ კანონს ემორჩილებიან. დაუშვებელია რაიმე სპეციალური და საგანგებო სასამართლოების შექმნა. აგრეთვე სასამართლო ფუნქციების განხორციელება არასასამართლო ორგანოების მიერ“...

ამის მიუხედავად, სამხედრო-საველე სასამართლო შეიქმნა და ორ კაცს უმძიმესი განაჩენი — დახვრეტა — გამოუტანა. განაჩენის აღსრულებას მაშინ ბევრი თვითმხილველი ჰყავდა, მათ შორის — ჟურნალისტებიც, რომლებმაც ფაქტი ფირზე აღბეჭდეს. ინფორმაცია ტელევიზიითაც გადაიცა, რასაც საერთაშორისო გამოხმაურება მოჰყვა და ამ უკანონობის გამო ხელისუფლებას სასწრაფოდ რეაგირება მოსთხოვეს. საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევამ ნაყოფი გამოიღო და საველე სასამართლომ ფუნქციონირება შეწყვიტა. სამწუხაროდ, ამ დროისთვის მას ორი პირისთვის დახვრეტა ჰქონდა გამოტანილი ისე, რომ საქმის განხილვაში არც პროკურორს მიუღია მონაწილეობა, არც ადვოკატს და არც მოწმეები დაუკითხავთ.

სამხედრო-საველე სასამართლოს გვარდიის პოლკოვნიკი თავმჯდომარეობდა, სასამართლოს შემადგენლობაში კიდევ 4 წევრი იყო. იურიდიული განათლება მხოლოდ ორ მათგანს ჰქონდა, მაგრამ სასამართლოში მათაც არასდროს უმუშავიათ. უფრო მეტიც, სასამართლოს თავმჯდომარე და კიდევ ერთი წევრი ადრე ნასამართლევი იყვნენ. ასეთმა შემადგენლობამ გაასამართლა 28 წლის თბილისელი ახალგაზრდა, რომელსაც სამშობლოს ღალატი დასდეს ბრალად.

გია ხაჩირაშვილი აფხაზეთის ომში მოხალისედ წავიდა ერთ-ერთ საძმოსთან ერთად და 102-ე ბატალიონში ჩაირიცხა. მისი ბატალიონის დისლოკაციის ადგილი შრომა-ახალშენის მიდამოები იყო. ორ კვირაში გია ხაჩირაშვილი სამშობლოს მოღალატედ შერაცხეს და საველე სასამართლომ 1992 წლის 9 ნოემბერს დახვრეტა მიუსაჯა.

ერთგვერდიან განაჩენში ვკითხულობთ: „...სასამართლომ დაადგინა, რომ 1992 წლის 25 ოქტომბერს გია ხაჩირაშვილი მოხალისედ სოხუმში ჩავიდა და ჩაირიცხა 102-ე ბატალიონში... იგი ლევანს და ვინმე ლაშას დაუკავშირდა. წინასწარი შეთანხმებით გადაწყვიტეს, გადასულიყვნენ მოწინააღმდეგეებთან... როგორც თავად ბრალდებულმა აღნიშნა, თითქოსდა თაფლის მოსატანად. მოლაპარაკების სისრულეში მოსაყვანად 1992 წლის 2 ნოემბერს, დაახლოებით 12 საათზე, თვითნებურად მიატოვეს საგუშაგო და საათნახევრიანი სიარულის შემდეგ მოწინააღმდეგის მხარეს ერთ სოფელს მიადგნენ. ერთ-ერთ ბინაში შევიდნენ, სადაც ოჯახის წევრები არ იყვნენ, იქ 10-15 წუთი დაისვენეს და გააგრძელეს მოძრაობა მოწინააღმდეგე მხარის სიღრმეში. ბრალდებულის ახსნა-განმარტებით, სახლიდან გამოსულებს, ერთი საათის სავალზე, გაურკვეველი ფორმირების მებრძოლები შემოხვდათ. უცნობი ფორმირების მებრძოლებმა მათ ცეცხლი გაუხსნეს. ამის შემდეგ ბრალდებული გია, ლევანი და ვინმე ლაშა ნებაყოფლობით ჩაბარდნენ, მათზე განპიროვნებული ავტომატური იარაღით და სავსე მჭიდებით. ბრალდებულმა და მისმა მეგობრებმა მოწინააღმდეგის შტაბში მიყვანა მოითხოვეს. შტაბში მათ გასცეს სამხედრო საიდუმლოება, რაც გამოიხატა შემდეგში: მოწინააღმდეგის შტაბში მათ წარადგინეს აფხაზეთის ტოპოგრაფიული რუკა, სადაც აღნიშნული იყო საქართველოს შეიარაღებული ძალების განლაგება. ბრალდებულმა და მასთან ერთად მტრის ბანაკში მყოფებმა მტრის მიერ წარმოდგენილ რუკაზე საქართველოს შეიარაღებული ძალების განლაგება აღნიშნეს, რუკაზე უჩვენეს ზუსტად გამაგრებული ადგილები, საიდანაც მტრის შემოპარვა შეიძლებოდა. მოწინააღმდეგემ მათი სიმხდალე და სულმოკლეობა გამოიყენა და 1992 წლის 3 ნოემბერს, ბრალდებული გამოიყენეს რა მეგზურად, წამოიყვანეს 600-700 კაცი სოფელ შრომის მიმართულებით, სუსტად გამაგრებული ადგილის გავლით... საქართველოს რესპუბლიკის აფხაზეთის რეგიონში მოქმედმა სამხედრო-საველე სასამართლომ განიხილა მოქალაქე გია ხაჩირაშვილის საქმე, რომელსაც ბრალად ედება სამშობლოს ღალატი, რაც გამოიხატა ნებაყოფლობით ტყვედ ჩაბარებაში, მტრის მეგზურობაში, სამშობლოსა და ერის ღალატში. სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის 7 აგვისტოს დადგენილებით, სამხედრო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ სისხლის სამართლის კოდექსის 65-ე, 66-ე და 281-ე მუხლებით, დაადგინა, გია ხაჩირაშვილი ცნობილ იქნეს დამნაშავედ და მიესაჯა სასჯელის უმაღლესი ზომა — სიკვდილით დასჯა“ (სტილი დაცულია).



**აფხაზეთის ომში საველე სასამართლოს არაკანონიერი განაჩენით დახვრეტილი გია ხაჩირაშვილი**

განაჩენს ხელს აწერენ საველე სასამართლოს თავმჯდომარე, გვარდიის

ეროვნული ბიბლიოთეკა



ომს ყოველთვის თან ახლავს ძალადობა და უკანონობა

პოლკოვნიკი და სასამართლოს წევრები.

მეორე დღეს ზღვის სანაპიროზე სასამართლოს თავმჯდომარის ბრძანებით დაჭრილი გია სოხუმის საავადმყოფოდან სიცხიანი გამოიყვანეს. მალე მოსამართლის შეძახილიც გაისმა: „ცეცხლი მოღალატეს!“— რასაც ავტომატების ჯერი მოჰყვა. გია ხაჩირაშვილი იქვე, ხალხის თვალწინ დახვრიტეს. მას ტყვიამ თავის ქალა ახადა.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, გიორგი ხაჩირაშვილის დახვრეტიდან ერთ კვირაში მისი ბედი გაიზიარა რუსმა ვიტალი გლადკიხმაც. საოცარია, რუსეთის მოქალაქე სამშობლოს ღალატის მუხლით გაასამართლეს. როცა სასამართლოს წევრები შეეწინააღმდეგნენ თავმჯდომარეს და ჰკითხეს, სამშობლოს ღალატის ბრალდებით როგორ გამოუტან განაჩენსო, უთქვამს, არა უშავს, ჯაშუშობის მუხლით გავასამართლებო. ვიტალის ბრალად ედებოდა საქართველოს შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ სამხედრო ძლიერების საზიანო ქმედების ჩადენა. მის დახვრეტასაც ჰყავდა თვითმხილველები. როგორც ამბობდნენ, ბრალდებულს თავისი ხელით ამოათხრევინეს ორმო, იქ ჩააყენეს და ისე დახვრიტეს.

ამ ორ ფაქტს მაშინ საერთაშორისო სკანდალი მოჰყვა. გიას ოჯახმაც ტელევიზიით შეიტყო შვილის დახვრეტა. გამწარებული დედა სასწრაფოდ სოხუმში ჩავიდა დეტალების გასარკვევად, მაგრამ მხოლოდ ასეთი პასუხი მიიღო, შენი შვილი სამშობლოს მოღალატეაო. ოჯახისთვის ძალიან მძიმე იყო ამ სახელის ტარება. მაშინ გიას მშობლები სამსახურიდანაც დაითხოვეს. მას შემდეგ გაუთავებლად სხვადასხვა ინსტანციაში ჩიოდნენ და სიმართლის დადგენას ითხოვდნენ.

## გამამართლებელი განაჩენი



როგორც იქნა, თბილისის სამხედრო რეგიონულმა პროკურატურამ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღძრა და დეტალური გამოძიება ჩაატარა. საქმეს პროკურორი ზურაბ ქსოვრელი იძიებდა.

გამოძიებით გაირკვა, რომ იმ დღეს შუბარიდან ტრაქტორის ხმა ისმოდა, სავარაუდოდ, აფხაზებს გზა გაჰყავდათ. ამიტომ 2 ნოემბრის ღამით მეთაურმა ხუთკაციანი ჯგუფი, გია და მისი 4 თანამებრძოლი, დასაზვერად გაგზავნა. გზაზე ისინი მტრის დაჯგუფებას გადაეყარნენ. ატყდა ორმხრივი სროლა. მათ დასახმარებლად ქართველებმა ახალი ჯგუფებიც გაგზავნეს, ბრძოლის დროს ერთი მებრძოლი დაიღუპა, მეგზური დაიჭრა, ხოლო სამი მზვერავი, მას შემდეგ, რაც ტყვია-წამალი გამოელიათ, ტყვედ ჩავარდა. მოგვიანებით გიას ორი თანამებრძოლი სამთავრობო მოლაპარაკებით ტყვეებში გაიცვალა, თავად გიამ კი მტრის ბანაკიდან გამოპარვა მოახერხა და შემთხვევით ნახეს ქართველებმა. თანაუბნელებმა იცნეს, ჯერ თავიანთ ნაწილში წაიყვანეს, შემდეგ კი საავადმყოფოში გადაიყვანეს, რადგან დაჭრილი იყო.

საქმეში მოიპოვება გიასთან ერთად ტყვედ ჩავარდნილი ბიჭების ჩვენებებიც.

ლევანის ჩვენებიდან: ***„დავალებაზე წასულები პირდაპირ ათკაციან ჯგუფს შევეჩეხეთ და ცეცხლი გაგვიხსნეს. ვლადიმერმა დაიყვირა, გზას გავასუფთავებო და ახალშენისკენ წავიდა, მას გია და მეგზური გაჰყვნენ. მე და ლაშა ვისროდით. უკანა მხრიდანაც სროლა რომ ატყდა, იძულებულნი გავხდით, გზის პირას მდგარი სახლისთვის შეგვეფარებინა თავი. მეგზურმა მოირბინა და მანიშნა, დაჭრილი ვარო. მას ჭრილობა შევუხვიე. ამ დროს გიაც მოვიდა. თავის ავტომატთან ერთად ვლადიმერის ავტომატიც მოიტანა, მასზე ნატყვიარი გვაჩვენა და გვითხრა, ვლადიმერი მოკლესო. ძალიან შეშინებული და დაბნეული იყო. ისტერიკა ეწყებოდა. თავისი ავტომატით ჭერში სროლა დაიწყო, რის გამოც სახლის სახურავს ცეცხლი გაუჩნდა. დავუყვირე, რას შვრები-მეთქი, მიპასუხა, იქნებ ასე ჩვენებს გავაგებინოთ და დაგვეხმარონო. გარეთ რომ გამოვედით, აფხაზებმა ტყვედ აგვიყვანეს. ამის შემდეგ გია აღარ მინახავს“.***

ასეთივე შინაარსის იყო მეორე ახალგაზრდის ჩვენებაც. საქმეში არ არსებობდა ის აღიარებაც, რომელიც ვითომდა ბრალდებულისგან მიიღო სასამართლომ. განაჩენში ნათქვამი იყო, რომ გიამ გზა უჩვენა აფხაზებს და რუკა გაშიფრა. პროკურატურამ დაადგინა, რომ გია ტყვედ ღამის 11 საათზე აიყვანეს და დილის 4-5 საათზე აფხაზებმა შემოგვიტიეს. პროკურატურის მტკიცებით, ასეთ მოკლე დროში 500-600 კაცის მობილიზაცია შეუძლებელი იყო და შეტევა უფრო ადრე იყო დაგეგმილი. პროკურორმა მეგზურობის ფაქტიც ეჭვქვეშ დააყენა. მართლაც, საიდან უნდა სცოდნოდა ომში ერთი კვირის ჩასულ თბილისელ ბიჭს აფხაზეთის გზები. რაც შეეხება რუკას, გაირკვა, რომ მხოლოდ რამდენიმე მებრძოლს შეეძლო რუკის წაკითხვა. პროკურატურის მტკიცებით, საქმის მასალებში არანაირი სამხილი არ იყო გია ხაჩირაშვილის ბრალის დასამტკიცებლად. ის პროკურატურის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილებით უდანაშაულოდ ცნეს და 2002 წელს მისი რეაბილიტაცია მოხდა. უფრო მეტიც, პროკურორი იმის თქმასაც არ მოერიდა, რომ სასამართლომ ორი უდანაშაულო კაცი დახვრიტა. თურმე პროკურატურის თანამშრომლებს იმასაც სთხოვდნენ, გამოძიებული საქმეები საველე სასამართლოსთვის გადაეცათ და დამნაშავეები მათ გაესამართლებინათ. ამ სკანდალს უკანონოდ შექმნილი სასამართლოს გაუქმება მოჰყვა.

გიას მშობლებმა ვერა და ვერ მიაღწიეს დამნაშავეების დასჯას. პროკურატურამ საველე სასამართლოს თავმჯდომარე რამდენჯერმე დაჰკითხა. როგორც ამბობდა, ის მხოლოდ და მხოლოდ ბრძანებას ასრულებდა. სასამართლოს წევრები კი აცხადებდნენ, თავმჯდომარეს არ ვეთანხმებოდით, მან ერთპიროვნულად მიიღო გადაწყვეტილება, განაჩენზე ხელი ძალით მოგვაწერინაო.

გიას დედაც დაჰკითხა გამოძიებამ. მას ბრძოლის ველიდან შვილმა დაურეკა და არ დაუმალავს, რომ სრული ქაოსი სუფევდა.

— დედა, ისეთი არეულობაა... ხალხი აქ საომრად არ არის ჩამოსული... უკან უნდა წამოვიდეო, — ეს უთქვამს შვილს. ეს მისი ბოლო ზარი იყო. რამდენიმე დღეში დედამ მეზობლისგან შეიტყო, რომ მისი შვილი სოხუმში დახვრიტეს. სოხუმში ჩასულ გამწარებულ ქალს სასამართლოს თავმჯდომარისთვის უკითხავს, როგორ გაარკვიეთ, ჩემი შვილი მოღალატე რომ არისო და ასეთი პასუხი მიუღია:
— არაფრის გარკვევა არ იყო საჭირო, არც მოწმე მჭირდებოდა და არც საბუთები, შენი შვილი მოღალატეაო. ამის შემდეგ დედას დანომრილი ფურცელი გადასცეს, სადაც შვილის ხელით დაწერილი რამდენიმე წინადადება იყო:

*„ჩემი შვილი წერდა, ვისთან ერთად წავიდა დაზვერვაზე, შემდეგ ტყვედ რომ ჩავარდა და ხელს აწერდა. ღალატზე იქ არაფერი ეწერა. როცა მოვითხოვე შვილის ცხედარი ეჩვენებინათ, მითხრეს, ნუ გეშინია, ქართული წესით ბაბუშერაშია დასაფლავებული, ახლა არეულობაა და ერთ კვირაში ჩამოდიო. დათქმულ დროს მეუღლესთან ერთად ისევ ჩავედი სოხუმში, მაგრამ სასამართლოს თავმჯდომარესთან შეხვედრა ვერ მოვახერხე. მთელი თვე იქ ვიყავით. ბოლოს დავადგინეთ ადგილი, სადაც ჩემი შვილი უნდა ყოფილიყო დასაფლავებული. იქაურებმა და ბავშვებმაც მიგვითითეს, აქ დახვრიტესო. ზემოდან მიწა იყო მიყრილი, ცალი ფეხი უჩანდა. ჩემმა მეუღლემ მიწა ამოთხარა, ცხედარი რომ ამოვიღეთ, თავი მოჭრილი ჰქონდა, მუცელი — გაფატრული. სამხედრო ტანსაცმელი ეცვა. რატომღაც ვგრძნობდი, ეს ჩემი შვილი რომ არ იყო, მაგრამ მეუღლე მარწმუნებდა, ჩვენი იქნებაო. ჩასაცმელი გავჭერი, მაინტერესებდა, ეცვა თუ არა ის მაისური, რითაც სახლიდან გავუშვი. ამ დროს ხელზე სვირინგი ვუნახეთ — „ვიტალი“, მეორე ხელზე კი ციფრები ეწერა, ალბათ, დაბადების წელი. მერე გავიგეთ, რომ სხვაც დაუხვრეტიათ. ცხედარი ღრმად დავმარხეთ და წამოვედით“.*

მშობლებმა შვილის ცხედარს ვეღარ მიაგნეს. მაშინ სხვადასხვა ინფორმაცია გავრცელდა. ერთი ვერსიით, როცა ზღვის სანაპიროზე გია ხაჩირაშვილი გაიყვანეს დახვრიტეს, მერე ექიმს გაასინჯეს, და დარწმუნდნენ, მკვდარი იყო, იქვე, თხრილში ჩააგდეს და მიწა მიაყარეს. მეორე ვერსიით, ცხედარი ზღვის ტალღამ მოთხარა და წაიღო. იმასაც ამბობდნენ, ცხედარი ღორებმა შეჭამესო; კიდევ ერთი ვერსიით, მოკლული ტომარაში ჩადეს და როგორც „მოღალატის გვამი“ აეროპორტში ყუმბარსატყორცნით ააფეთქეს.

ფაქტი ერთია: განაჩენი არაკანონიერი იყო. დაირღვა ყველა საპროცესო ნორმა და კოდექსის მუხლი, ამ უმძიმესი დანაშაულისთვის არავინ დასჯილა. არადა, საქმე ჯერ კიდევ 1994 წელს აღიძრა, მოგვიანებით კი ის აფხაზეთში შეიარაღებული ძალების დამარცხების მიზეზების გამო აღძრულ საქმეს გააერთიანეს. იმ პერიოდში ძალოვნებმა საქმე საველე სასამართლოს შემქმნელი გენერლის წინააღმდეგაც აღძრეს ხელისუფლების ბოროტად გამოყენების, სამსახურებრივი დაუდევრობისა და თანამდებობის გადამეტების ბრალდებით, მაგრამ იგი ერთ-ერთი მეომარი გენერალი იყო და ამიტომ აარიდეს პასუხისმგებლობა, მის სახელს გაუფრთხილდნენ.

ამასობაში საქმეში მონაწილე ზოგიერთი პირი გარდაიცვალა და საქმეც შეწყდა. ერთადერთი, რაც პროკურატურამ გააკეთა, ის არის, რომ გია ხაჩირაშვილი უდანაშაულოდ ცნეს — 2002 წლიდან ის რეაბილიტირებულია.

**თეა ხურცილავა**



აფხაზეთის ომს ბევრი უდანაშაულო ადამიანი შეეწირა

# არსენალი 2011

**იანვარი**

| ორშ | სამ | ოთხ | ხუთ | პარ | შაბ | კვ |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 1 | 2 |
| 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
| 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 |
| 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 |
| 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 |
| 31 | | | | | | |

**თებერვალი**

| ორშ | სამ | ოთხ | ხუთ | პარ | შაბ | კვ |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
| 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
| 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 |
| 28 | | | | | | |

**მარტი**

| ორშ | სამ | ოთხ | ხუთ | პარ | შაბ | კვ |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
| 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
| 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 |
| 28 | 29 | 30 | 31 | | | |

**აპრილი**

| ორშ | სამ | ოთხ | ხუთ | პარ | შაბ | კვ |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 1 | 2 | 3 |
| 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
| 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 |
| 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 |
| 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 | |

**მაისი**

| ორშ | სამ | ოთხ | ხუთ | პარ | შაბ | კვ |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | 1 |
| 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 |
| 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 |
| 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
| 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 |
| 30 | 31 | | | | | |

**ივნისი**

| ორშ | სამ | ოთხ | ხუთ | პარ | შაბ | კვ |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 |
| 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 |
| 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 |
| 27 | 28 | 29 | 30 | | | |

**ივლისი**

| ორშ | სამ | ოთხ | ხუთ | პარ | შაბ | კვ |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 1 | 2 | 3 |
| 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 |
| 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 |
| 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 |
| 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 | 31 |

**აგვისტო**

| ორშ | სამ | ოთხ | ხუთ | პარ | შაბ | კვ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 |
| 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 |
| 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 |
| 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 | 28 |
| 29 | 30 | 31 | | | | |

**სექტემბერი**

| ორშ | სამ | ოთხ | ხუთ | პარ | შაბ | კვ |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 1 | 2 | 3 | 4 |
| 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 |
| 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
| 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 |
| 26 | 27 | 28 | 29 | 30 | | |

**ოქტომბერი**

| ორშ | სამ | ოთხ | ხუთ | პარ | შაბ | კვ |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | 1 | 2 |
| 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 |
| 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 |
| 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 | 23 |
| 24 | 25 | 26 | 27 | 28 | 29 | 30 |
| 31 | | | | | | |

**ნოემბერი**

| ორშ | სამ | ოთხ | ხუთ | პარ | შაბ | კვ |
|---|---|---|---|---|---|---|
| | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 |
| 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 |
| 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
| 21 | 22 | 23 | 24 | 25 | 26 | 27 |
| 28 | 29 | 30 | | | | |

**დეკემბერი**

| ორშ | სამ | ოთხ | ხუთ | პარ | შაბ | კვ |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | 1 | 2 | 3 | 4 |
| 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 |
| 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
| 19 | 20 | 21 | 22 | 23 | 24 | 25 |
| 26 | 27 | 28 | 29 | 30 | 31 | |



ეროვნული ბიბლიოთეკა

# შვეულმფრენები



## კორეული დებიუტი

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „არსენალი“ N25, 2010 წელი)

საბრძოლო მოქმედებებში შვეულმფრენთა გამოჩენიდან სულ რაღაც ორი ათწლეულის შემდეგ, ამ სახეობის საავიაციო საბრძოლო ტექნიკამ ეფექტურობით თანამედროვე არმიების შეიარაღებაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი დაიკავა და სახმელეთო ჯარების დამოუკიდებელ სახეობას — საარმიო ავიაციასაც კი ჩაუყარა საფუძველი. სწორედ შვეულმფრენებით მოხერხდა ბრძოლის დროს მიღებული მძიმე და საშუალო სიმძიმის ჭრილობებისგან სიკვდილიანობის 8-9 ჯერ შემცირება.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, შვეულმფრენთმშენებლობაში აშშ დაწინაურდა. 1944 წელს ამ ქვეყანაში 144 შვეულმფრენი აშენდა, ხოლო ერთი წლის შემდეგ — დაახლოებით 275. ყველა მათგანი ფირმა „სიკორსკიმ“ გამოუშვა.

1946 წლისთვის ფირმის კონვეიერი სამხედრო შეკვეთების შემცირების გამო თითქმის გაჩერდა, მიუხედავად იმისა, რომ ომის უკანასკნელ ორ წელიწადში შვეულმფრენთა გამოყენებისათვის მრავალი სფერო მოინახა. მაგრამ ომის შემდგომ სამხედრო ბიუჯეტი შემცირდა და აშშ-ის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობა შვეულმფრენებს აღარ სწყალობდა. თავის მხრივ, შვეულმფრენების ფართო გავრცელებას არც მათი ტექნიკური მახასიათებლები უწყობდა ხელს.

მოდიფიკაცია — **R-5**
მზიდი ხრახნის დიამეტრი – 14.63მ
სიგრძე — 12.55მ
სიმაღლე — 3.92მ
მასა: ცარიელის — 1715კგ
მაქსიმალური ასაფრენი — 2220კგ
ძალური დანადგარი — **1xPratt Whitney R-985-AN-5**
სიმძლავრე — 450 კვტ
მაქსიმალური სიჩქარე — 145კმ/სთ
კრეისერული სიჩქარე — 130კმ/სთ
ფრენის მანძილი — 370კმ
პრაქტიკული ჭერი — 4300მ
ეკიპაჟი — 1 კაცი
სასარგებლო დატვირთვა — 3 მგზავრი.



შვეულმფრენი **H-5** სანიტარულ ვარიანტში



სიკორსკის UH-19 პირველი შვეულმფრენი იყო, რომელიც სადესანტო ოპერაციებში გამოიყენეს

იგივე ვითარება იყო სამოქალაქო შეკვეთების საქმეშიც. რეკლამა ამ საფრენი აპარატების სხვადასხვა სამშვიდობო სფეროში გამოყენებას არ აკლდა, მაგრამ ბიზნესმენები პილოტირებაში რთულ და თვითმფრინავებზე უფრო ძვირად ღირებული აპარატების შეძენას არ ჩქარობდნენ. მათ აზრს შვეულმფრენების დაბალი საიმედოობაც ამყარებდა.

მეორე მსოფლიო ომის დასრულებისთვის შვეულმფრენებზე აშშ-ში თითქმის 300 წვრილი და მსხვილი ფირმა მუშაობდა, მაგრამ ბაზრის მთავარი სეგმენტის დასაკავებლად, ძირითადად, Sikorsky და Bell-ი იბრძოდნენ. ამ უკანასკნელის მთავარი კონსტრუქტორი არტურ იანგი ძალ-ღონეს არ იშურებდა ისეთი შვეულმფრენის შესაქმნელად, რომელიც პოპულარული იქნებოდა როგორც სამხედრო, ასევე სამოქალაქო სექტორში.

ასეთი გამოდგა 1946 წელს შექმნილი Bell-47 და ამით „ბელმა“ „სიკორსკის“ ფირმას სამოქალაქო სექტორის შვეულმფრენთა ათვისებაში გაუსწრო, ხოლო იანგის შვეულმფრენმა მსოფლიო პრაქტიკაში პირველად საფრენოსნო ვარგისიანობის სამოქალაქო სერტიფიკატი მიიღო.

მთავარი კონსტრუქტორის ტალანტმა „ბელის“ წინსვლაში გადამწყვეტი როლი ითამაშა, მაგრამ 1946 წელს ნაჩქარევად გამოშვებული 500 შვეულმფრენისგან, გაყიდვების სიმცირის გამო, დაახლოებით 400 ცალი საწყობებში დაბრუნდა.

მაგრამ მალე შვეულმფრენებმა არნახული პოპულარობა მოიპოვეს და ამის მიზეზი იყო 1950 წელს კორეაში გაჩაღებული ომი, სადაც ბრძოლაში შვეულმფრენთა მასობრივად გამოყენება დაიწყეს.

კორეის ომის თავისებურებებმა: მთიანმა რელიეფმა, ამინდის მკვეთრმა ცვლილებებმა, გზებისა და ნორმალური რუკების არარსებობამ და მოწინააღმდეგის პარტიზანულმა ტაქტიკამ ისეთი სპეციალური საჰაერო საშუალებები მოითხოვა, რომლებიც არ იქნებოდა დამოკიდებული ასაფრენ-დასაფრენი ბილიკისა თუ მოედნის არსებობაზე და მანამდე სკეპტიკურად განწყობილი სამხედროები უცბად იქცნენ შვეულმფრენების თავგამოდებულ მხარდამჭერებად. კორეის ომში მონაწილე ათასობით ამერიკელი ჯარისკაცისთვის გადარჩენის უკანასკნელ იმედად სწორედ შვეულმფრენი გადაიქცა.

1950 წლის სექტემბერში აშშ-ის საზღვაო ქვეითების შტაბის უფროსმა გენერალმა შეფერდმა განაცხადა: „ძალ-ღონე არ უნდა დავიშუროთ და შვეულმფრენს სხვა იარაღთან შედარებით მაქსიმალური პრიორიტეტი უნდა მივანიჭოთ. კორეაში რაც შეიძლება მეტი ასეთი საფრენი აპარატი უნდა გავგზავნოთ“.

1946 წელს სიკორსკის შექმნილი S-51 პირველი შვეულმფრენი იყო, რომელიც კორეის ომში მონაწილეობდა. თავდაპირველად ამ აპარატს სამოქალაქო ავიაციაში იყენებდნენ და 1947 წელს აშშ-ის საჰაერო არმიის კორპუსმა მხოლოდ 11 ცალი შეუკვეთა. მომდევნო წელს, როცა აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების ფორმირება დასრულდა, შეკვეთების რაოდენობამ მკვეთრად მოიმატა.

შვეულმფრენების გამოყენება სამაშველო ოპერაციებშიც დაიწყეს. იგორ სიკორსკიც შვეულმფრენთა გამოყენების მთავარ სფეროდ ადამიანისათვის სამედიცინო დახმარების აღმოჩენას მიიჩნევდა.

ბორტზე დაჭრილთა აყვანის გასაადვილებლად 1948 წელს შეკვეთილ 39 შვეულმფრენს სპეციალური ჯალამბრები ჰქონდა.

კორეის ომის დაწყებისათვის აშშ-ის საჰაერო ძალების განკარგულებაში 161 S-51 იყო და კიდევ 53 — ექსპლუატაციას სამოქალაქო სფეროში გადიოდა.

მაგრამ ომმა შვეულმფრენებზე მოთხოვნა იმდენად გაზარდა, რომ აპარატების სადამკვირვებლოდან სანიტარულად გადაკეთება პირდაპირ ფრონტზე ხდებოდა.

ბრძოლის ველიდან დაჭრილთა ევაკუაციაში შვეულმფრენებმა ნამდვილი რევოლუცია მოახდინეს, მრავალ ადამიანს სიცოცხლე ამ აპარატების ოპერატიულმა და სწრაფმა მოქმედებამ შეუნარჩუნა.

მას შემდეგ, რაც H-5-ებმა (S-51-ის სამხედრო ნიშნული) ერთ-ერთი ბრძოლის დროს ჩრდილოკორეელთა ალყაშემორტყმული სიმაღლიდან რამდენიმე მძიმედ დაჭრილი ამერიკელი სამხედრო გამოიყვანეს, შვეულმფრენთა პოპულა-



კორეის ომში შვეულმფრენებმა ბრძოლის ველიდან დაახლოებით 25 ათასი კაცის ევაკუაცია მოახდინეს

ეროვნული ბიბლიოთეკა





**ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ ამ პატარა შვეულმფრენმა მხოლოდ კორეის ომის პირველ წელს 1200-ზე მეტი კაცი გადაარჩინა**

მოდიფიკაცია — **H-13**
მზიდი ხრახნის დიამეტრი — 11.3მ
სიგრძე — 9.2მ
სიმაღლე — 2.95მ
მასა: ცარიელის — 701კგ
მაქსიმალური ასაფრენი — 1066კგ
ძალური დანადგარი — **1xLycoming TVO-435-A1A**
სიმძლავრე — 194 კვტ
მაქსიმალური სიჩქარე — 169კმ/სთ
კრეისერული სიჩქარე — 135კმ/სთ
ფრენის ხანგრძლივობა — 1.9სთ
პრაქტიკული ჭერი — 3840მ
ეკიპაჟი — 1 კაცი
სასარგებლო დატვირთვა — 1 მგზავრი ან ორი დაჭრილი საკაცით.

რობა იმდენად გაიზარდა, რომ პენტაგონმა ყოველ ქვეითთა დივიზიას თითო საშვეულმფრენო ჯგუფი გადასცა.

მეორე დღესვე კორეაში აშშ-ის სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლის გენერალ-მაიორ ერლ პარტრიჯის ბრძანებით შვეულმფრენების გამოყენება მხოლოდ დაჭრილების ძებნა-ევაკუირებისთვის დაიშვა.

განსაკუთრებული ყურადღება ჩამოგდებული მფრინავების გადარჩენას დაეთმო. ყოველ პილოტს ავარიულ კომპლექტში პორტატიული რადიოშუქურა და პატარა სარკეც კი ჰქონდა. სიგნალზე სამაშველო შვეულმფრენი მოდიოდა, ხოლო სარკით მფრინავი თავის ადგილსამყოფელს უჩვენებდა.

ომის პირველივე წელს სიკორსკის შვეულმფრენებმა 1200-ზე მეტი კაცი გადაარჩინეს. აქტიური გამოყენების მიუხედავად, დანაკარგი მინიმალური იყო — შვეულმფრენი საკმაოდ სიცოცხლისუნარიანი გამოდგა.

H-5-ების სერიული წარმოება 1951 წლამდე გაგრძელდა და 379 აპარატის გამოშვებით დასრულდა.

მეორე შვეულმფრენი, რომელიც კორეის ომში მონაწილეობდა, არტურ იანგის H-13 (Bell-47-ის სამხედრო ვარიანტი) იყო. ალბათ, ბევრს ნანახი აქვს ძველი ამერიკული სერიალი „MASH ანუ „სამხედრო-საველე ჰოსპიტალი". ფილმი ასახავს კორეაში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებს, სადაც ბრძოლის ველიდან საველე ჰოსპიტალში დაჭრილების ევაკუაცია შვეულმფრენით ხდება. ეს სწორედ არტურ იანგის H-13-ია.

პროტოტიპი ჰაერში პირველად 1945 წლის 8 დეკემბერს აფრინდა და ერთი წლის შემდეგ კომპანიამ მისი სერიული წარმოება დაიწყო. შვეულმფრენის კონსტრუქცია იმდენად მარტივი იყო, რომ მისი ორკაციანი (შემდგომ სამადგილიანი) კაბინის ზომა მხოლოდ სავარძლებითა და მართვის ხელსაწყოების




ადგილით განისაზღვრა. ეს ყველაფერი გამჭვირვალე, ბურთის ფორმის, კარგი გარსშემოდენის მქონე კაბინაში იყო განთავსებული.

პირველ ვარიანტებზე იმპროვიზებულ კაბინას კარებიც კი არ გააჩნდა. ძრავა, რედუქტორი და ტრანსმისია მაგრდებოდა ფერმულ კონსტრუქციაზე, რომელსაც შემონაკერი არ ჰქონდა. ასევე იყო შესრულებული კუდის ძელიც.

სპეციალურად დაჭრილების გადასაყვანად, შვეულმფრენის განიერ ორ თხილამურზე თითო-თითო სანიტარული კაფსულა იყო დამაგრებული, დაჭრილს კაფსულაში ათავსებდნენ და მისი სახურავი შემხვედრი ჰაერის ნაკადისგან იცავდა. ყოველ რეისზე შვეულმფრენი 2-3 დაჭრილის ევაკუაციას ახერხებდა.

Bell-47 იმდენად პოპულარული გამოდგა, რომ მისი სერიული წარმოება 1974 წელს 5300-ზე მეტი შვეულმფრენის დამზადების შემდეგ დასრულდა.

კერძო საკუთრებაში დარჩენილი ამ მფრინავი მაშველის ნახვა დღესაც კი შეიძლება.

შვეულმფრენის სამხედრო ვერსიები არგენტინის, ავსტრალიის, ავსტრიის, ბრაზილიის, კანადის, ჩილეს, კოლუმბიის, კუბის, დანიის, ეკვადორის, საფრანგეთის, გაბონის, გერმანიის, საბერძნეთის, ისლანდიის, ინდონეზიის, ინდოეთის, ისრაელის, იტალიის, იამაიკის, იაპონიის, ლიბიის, მალაიზიის, მექსიკის, ახალი ზელანდიის, აშშ-ის, პაკისტანის, პარაგვაის, პერუს, ფილიპინების, სენეგალის, ესპანეთის, თურქეთის, ტაილანდისა და შვედეთის სამხედრო-საჰაერო ძალებსა თუ საარმიო ავიაციაში მსახურობდა. ჩამოთვლილი ქვეყნებიდან ზოგიერთი კი მას საზღვაო შვეულმფრენადაც კი იყენებდა.

ომის დროს ნათელი გახდა, რომ შვეულმფრენებს კავშირის, დაზვერვისა თუ დაჭრილების ევაკუაციის გარდა სხვა ამოცანების შესრულებაც შეეძლოთ და სამხედროები მალე დარწმუნდნენ, რომ ეს საფრენი აპარატი სადესანტო ოპერაციებსაც გაართმევდა თავს. შვეულმფრენს ბორტზე სრული ეკიპირების მქონე მინიმუმ 10 მედესანტის აყვანა უნდა შესძლებოდა. კორეის ომის სიმძიმის დიდი ნაწილი საზღვაო ქვეითებზე მოდიოდა და ასეთი შვეულმფრენი ყველაზე მეტად მათ სჭირდებოდათ.

1951 წლის აგვისტოს ბოლოს 18 S-55-ის ტიპის შვეულმფრენისგან შექმნილი ჯგუფი სამხრეთ კორეის პორტ პუსანთან დაჯდა და შემდგომ ვულკან პანჩბოულის მახლობლად გადაფრინდა.

აქ 13 სექტემბერს მსოფლიო პრაქტიკაში პირველად შვეულმფრენები სატრანსპორტო-სადესანტო დანიშნულებით გამოიყენეს — საფრენი აპარატები 11-კილომეტრიანი არაკონტროლირებად ზოლში ჩინელების ალყაშემორტყმულ ამერიკელ საზღვაო ქვეითთა 1-ელი პოლკის დასახმარებლად გადაისროლეს.

ასე დაიწყო ოპერაცია, რომელიც ისტორიაში „უინდმილის“ (ქარის წისქვილი) სახელით შევიდა. შვეულმფრენებმა 28 რეისი შეასრულეს, გადაიტანეს 8168 კგ ტვირთი და 84 დაჭრილი გამოიყვანეს.

ორი დღის შემდეგ საზღვაო ქვეითთა შვეულმფრენებზე ყველა ამერიკული გაზეთი წერდა. შვეულმფრენებს მე-8 სამხრეთკორეული დივიზია უნდა ჩაენაცვლებინათ და სიმაღლე დამხმარე ძალების მოსვლამდე ჰაერიდან დაეცვათ. ოთხი საათის განმავლობაში 65 რეისით შვეულმფრენებმა 224 ჯარისკაცი და 8 ტონა ტვირთი გადაიტანეს.

ამ შვეულმფრენის პროტოტიპი ჰაერში 1949 წლის 10 ნოემბერს აფრინდა, ერთი წლის შემდეგ კი ის სერიულ წარმოებაში ჩაუშვეს. ახალი შვეულმფრენისთვის სიკორსკის მიერ შერჩეული შეთანწყობა დღესაც გენიალური და შეუცვლელია. ამიერიდან სატვირთო კაბინა უშუალოდ მზიდი ხრახნის ქვეშ იყო განთავსებული და ტვირთის სიდიდე და განლაგება აღარ მოქმედებდა სიმძიმის ცენტრის ცვლილებაზე, ეკიპაჟის კაბინა კი უკეთესი ხედვისთვის სატვირთო ნაკვეთურის თავზე მოთავსდა.

შვეულმფრენს იმდენად კარგი მახასიათებლები აღმოაჩნდა, რომ ცენტრალური სადაზვერვო ბიურო არ დაელოდა სერიული წარმოების დაწყებას. ერთ-ერთი პროტოტიპი „ჯაშუშურად“, შავად შეღება და გაგზავნა კორეაში, სადაც ჩრდილოელთა კონტროლირებად ტერიტორიაზე სპეცქვედანაყოფი რამდენიმეჯერ გადასხა.

იყო სხვა უჩვეულო ოპერაციებიც. მაგალითად, 1952 წლის ზაფხულში UH-19-მა (S-55-ის სამხედრო ვერსია), ღამით მოწინააღმდეგის ტერიტორიიდან ჩამოგდებული საბჭოთა МиГ-15-ის ფრაგმენტები ნაწილ-ნაწილ გამოიტანა.

1953 წლის მარტისთვის კორეაში მოქმედი ყველა შვეულმფრენის ბორტი წარწერა USA Army-მ დაამშვენა.

ომის მთელ მანძილზე UH-19-ის მთავარი ამოცანა ალყაში მოყოლილი ჯარებისთვის ტყვია-წამლისა და ცოცხალი ძალის მიწოდება იყო.

აპრილში შვეულმფრენების მიერ მე-8 არმიისთვის გადაზიდული ტვირთის მოცულობამ 15 ათას ტონას გადააჭარბა.

1952 წლის ზაფხულში UH-19-მა მსოფლიოში პირველად ატლანტის ოკეანეს გადაუფრინა. იმ დროისათვის ოკეანეზე თვითმფრინავების ფრენა ახალი ამბავი არ იყო და გერმანიაში მყოფ ამერიკის ჯარებს, როცა სამძებრო-სამაშველო შვეულმფრენები დასჭირდათ, მათი გაგზავნა ევროპაში მათივე სვლით გადაწყდა.

აშშ-ის გარდა, ამ შვეულმფრენს ლიცენზიით საფრანგეთსა და იაპონიაშიც (შესაბამისად, 87 და 44 აპარატი) აშენებდნენ.

არსებობდა UH-19-ის ერთი უცნაური „მოდიფიკაცია“, რომელიც 1987 წლის მარტში აშშ-ის არმიამ „ორლანდო ჰელიკოპტერს“ შეუკვეთა. სწავლებებზე საბჭოური Ми-24-ების განსახიერებისათვის სიკორსკის საფრენ აპარატებს რეაქტიული ძრავების ყალბი ჰაერმიმღებები დაუყენეს, ბორტებზე ფრთები დაუმაგრეს და ფიუზელაჟზე წითელი ვარსკვლავები დაახატეს. ასეთი „მოდერნიზაცია“ 15 შვეულმფრენს ჩაუტარდა და „აგრესორად“ მონათლული პირველი აპარატი ჰაერში პირველად 1988 წელს აფრინდა.

სხვათა შორის S-55, როგორც რა-



კორეის ომის კიდევ ერთი მონაწილე — Hiller OH-23



ხრუშჩოვის მიერ აშშ-ისგან ნაყიდი ერთ-ერთი V-44 დღესაც მონინოს მუზეუმში ინახება

დიაციული დაზვერვის საშუალება, ბირთვული იარაღის გამოყენებასთან დაკავშირებულ სწავლებებშიც მონაწილეობდა. 1952 წელს მათ აფეთქების ეპიცენტრთან რადიაციული დაზვერვის ჯგუფები მიჰყავდათ. ამერიკელი გენერლების აზრით, ატომური შეტევის დროს დანაკარგის შესამცირებლად ჯარების სწრაფ გადაჯგუფებაში შვეულმფრენები მთავარი სატრანსპორტო საშუალება იქნებოდა.

კორეის ომმა შვეულმფრენთა გაუმჯობესებას დიდი სტიმული მისცა. გენერლები, რომლებიც მანამდე ამ საფრენ აპარატში მხოლოდ მეკავშირეს ან მაშველს ხედავდნენ, მიხვდნენ, რომ საბრძოლო ოპერაციებში ის შეუცვლელი იყო.

ომის დროს ამერიკის სამხედრო-საჰაერო ძალების შემადგენლობაში შემავალი საარმიო ავიაცია ცალკე სტრუქტურად ჩამოყალიბდა და პირველს მხოლოდ სამაშველო შვეულმფრენები დარჩა.

საკუთარი ავიაციის მიღების შემდეგ სახმელეთო ჯარებმა შესყიდვების რაოდენობა მკვეთრად გაზარდეს. თუ ომის დაწყებისათვის, 1950 წელს, მას 1186 თვითმფრინავი და 56 შვეულმფრენი ჰყავდა, 1954 წლისთვის შესაბამისად, 2518-მდე და 1140-მდე გაიზარდა.

კორეის ნახევარკუნძულზე S-55-ის ეფექტურმა გამოყენებამ ამგვარი საფრენი აპარატების წარმოებისკენ საბჭოთა კავშირსაც უბიძგა. 1951 წლის სექტემბერში სტალინმა კრემლში გამართულ თათბირზე საბჭოთა კონსტრუქტორებს უმოკლეს დროში (არა უმეტეს ერთი წლისა) სამხედრო-სატრანსპორტო შვეულმფრენების შექმნა დაავალა.

1952 წლის 3 ივნისს ჰაერში მილის საკონსტრუქტორო ბიუროს Ми-4 აფრინდა. მართალია, გაბარიტებით ის ამერიკელ „თანამოძმეზე“ დიდი იყო, მაგრამ სიკორსკის S-55-ს გაჭრილი ვაშლივით თუ არა, იერით ძალიან ჰგავდა.

1961 წელს კუბელებმა Ми-4 პლაია-ჰირონთან ბრძოლაში პირველად ქვეითების უშუალო მხარდაჭერისთვის გამოიყენეს. ანალოგიურ ფუნქციას ასრულებდნენ საბჭოთა კავშირის სამხედრო-საჰაერო ძალების ეს შვეულმფრენები 1969 წელს კუნძულ დამანსკზე ჩინელებთან კონფლიქტის დროს.

სხვათა შორის, 1959 წელს ნიკიტა ხრუშჩოვის აშშ-ში ვიზიტისას, ამერიკის პრეზიდენტმა დუაიტ ეიზენჰაუერმა საბჭოთა ლიდერს ექსკურსია მოუწყო და დედაქალაქი S-58-ის ტიპის შვეულმფრენის ბორტიდან დაათვალიერებინა. ხრუშჩოვი აღტაცებული იყო. ეიზენჰაუერმა ხრუშჩოვს ხუმრობით ამერიკული შვეულმფრენების შესყიდვა შესთავაზა, რაზეც ამ უკანასკნელმა მაშინვე თანხმობა განუცხადა. მართლაც, ხრუშჩოვმა აშშ-ისგან ორი S-58-ისა და ამდენივე V-44-ის ტიპის შვეულმფრენი შეიძინა. სხვათა შორის, ერთ-ერთი მათგანი დღესაც მოსკოვში, მონინოს საავიაციო მუზეუმში ინახება.

**თემურ კულუხაშვილი**

**მიუხედავად იმისა, რომ Ми-4 ამერიკულ „კოლეგაზე“ უფრო დიდი და მძიმეც იყო, მათი ფოტოების ერთად დანახვისას ძალაუნებურად გახსენდება გამოცანა – იპოვეთ ათი განსხვავება**




UH-19B




Ми-4A

| მოდიფიკაცია | UH-19B | Ми-4A |
|---|---|---|
| მზიდი ხრახნის დიამეტრი, მ | 16.15 | 21 |
| სიგრძე, მ | 12.88 | 16.8 |
| სიმაღლე, მ | 4.07 | 4.4 |
| მასა: ცარიელის, კგ | 2177 | 5100 |
| მაქსიმალური ასაფრენი, კგ | 3587 | 7550 |
| ძალური დანადგარი | 1xWright R-1300-3 | АШ-82B |
| სიმძლავრე, კვტ | 522 | 1250 |
| მაქსიმალური სიჩქარე, კმ/სთ | 163 | 185 |
| კრეისერული სიჩქარე, კმ/სთ | 148 | 140 |
| ფრენის მანძილი, კმ | 652 | 500 |
| პრაქტიკული ჭერი, მ | 3200 | 5500 |
| ეკიპაჟი | 2 | 2 |
| სასარგებლო დატვირთვა | 12 ჯარისკაცი ან 8 დაჭრილი საკაცით ან 2268 კგ ტვირთი | 12-16 ჯარისკაცი ან 8 დაჭრილი საკაცით ან 1200 კგ ტვირთი |

# სიმაღლეთა დამპყრობი



პილოტ სიკორსკის ლიცენზია

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „არსენალი“ N1, 2011)

დეკემბრის დასაწყისში C-3-მა პირველი სწორი მიმართულების გაფრენა შეასრულა. თვითმფრინავი წინამორბედებთან შედარებით უდავოდ სრულყოფილი იყო: ადვილად სწყდებოდა მიწას, კარგად რეაგირებდა მართვის საშუალებებზე და სიმძლავრის მარაგიც ჰქონდა. მისი საშუალებით სიკორსკი პირველად აფრინდა 15 მ სიმაღლეზე, მაგრამ 1910 წლის 13 დეკემბერს წრიული გაფრენის ცდისას აეროპლანი გაყინულ ტბორზე დავარდა და მისი შემქმნელი ლამის ნამსხვრევებში დაიხრჩო. სასოწარკვეთილების საფუძველი მართლაც იყო, მაგრამ გონს მოეგო თუ არა დეკემბრის ყინულოვან წყალში ნაბანავები კონსტრუქტორი, მაშინვე შეუდგა ახალი სამუშაო გეგმის შედგენას. უკვე გაზაფხულზე მზად ჰქონდა C-4 და C-5. თუ პირველი C-3-ის თითქმის ასლი იყო, C-5-ს კონსტრუქტორის ჩანაფიქრით ავიაციაში ახალი სიტყვა უნდა ეთქვა. მასზე პირველად გაკეთდა შტურვალი, გამოყენებული იყო ოდნავ მძიმე, მაგრამ გაცილებით საიმედო ძრავა „არგუსი“, რომელსაც 50 ცხენის ძალა და წყლის გამაგრილებელი ჰქონდა. გარდა ამისა, სიკორსკიმ შეცვალა ფრთების კონფიგურაცია და შიდა კონსტრუქცია, აგრეთვე საგანგებოდ დაამუშავა ისინი, რამაც გააუმჯობესა საფრენი აპარატის აეროდინამიკური თვისება. სიახლე იყო C-5-ზე საწვავის დამატებითი ავზის დაყენება, რომელზე გადართვაც პირდაპირ ფრენის დროს შეიძლებოდა. C-5-ზე პილოტის სავარძლის გარდა, კიდევ ერთი მგზავრის სავარძელიც იყო დამონტაჟებული.

საცდელი ფრენები 1911 წლის აპრილში დაიწყო, რომლის დროსაც კონსტრუქტორი შეეცადა თავისი თხუთმეტწუთიანი ფრენისა და ორჯერ ჩამოვარდნისას მიღებული გამოცდილების მაქსიმალურად გამოყენებას. აფრენის რამდენიმე ცდის შემდეგ, სიკორსკიმ 17 მაისს C-5-ით შეასრულა მართლაც რომ შთამბეჭდავი გაფრენა: ჰაერში ოთხ წუთზე მეტი დაყო 100 მ სიმაღლეზე, წრე დაარტყა და აღტაცებული კიეველი მაყურებლების თვალწინ მშვიდობიანად დაეშვა სტარტის ადგილას. ეს უკვე ტრიუმფი იყო. პირველს, C-5-ით უფრო ხანგრძლივი და დიდ სიმაღლეზე ფრენები მოჰყვა. მას უკვე შეეძლო ჰაერში ოცდაათი წუთი დაეყო და 300 მ სიმაღლეზე ასულიყო. 12 ივნისს მან ბორტზე მგზავრი აიყვანა და მასთან ერთად რამდენიმე გაფრენა შეასრულა. 18 აგვისტოს სიკორსკიმ პილოტ-ავიატორის წოდების მოსაპოვებელი გამოცდა ჩააბარა. საიმპერიო აეროკლუბმა საერთაშორისო საავიაციო ფედერაციის სახელით მას პილოტის N64-ე მოწმობა გადასცა. აღფრთოვანებულმა სიკორსკიმ მომდევნო დღეებში რამდენიმე ადგილობრივი რეკორდი დაამყარა: მიაღწია 500 მ სიმაღლეს, მიწაზე დაუშვებლად იფრინა 854 კილომეტრი, რომლის დროსაც ჰაერში 52 წუთი დაყო, მარშრუტის ერთ-ერთ მონაკვეთზე კი 125 კილომეტრი განავითარა საათში.



იმპერატორი ნიკოლოზ II სიკორსკისთან ერთად თვითმფრინავ „გრანდს“ ეცნობა

პირველ სექტემბერს იმპერიაში უკვე სახელგანთქმული ავიაკონსტრუქტორი კიევის მახლობლად სამხედრო მანევრებზე მიიწვიეს. სადემონსტრაციო ჩვენებისას C-5-მა თანამედროვე უცხოური მარკის თვითმფრინავებთან შედარებით უკეთესი თვისებები გამოავლინა. სიკორსკიმ თავისი აეროპლანის ბორტზე გენერალური შტაბის მაღალჩინოსანი ოფიცრები აიყვანა რიგრიგობით და რამდენიმე წრე შემოუარა მანევრების არეალს. შტაბის ოფიცრები აღფრთოვანდნენ: ზემოდან ადგილმდებარეობა და მასზე ჯარების მოძრაობა მოჩანს, როგორც ხელისგულზე“, — დაასკვნეს მათ. ასე განისაზღვრა იმპერიაში აეროპლანის პირველი სამხედრო დანიშნულება — მზვერავი-თვითმფრინავი.

წლის ბოლომდე სიკორსკიმ კიდევ

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბომბდამშენ „ილია მურომეცის“ კაბინა

ერთი, ამჯერად C-6 თვითმფრინავის აწყობა და გამოცდა მოასწრო. მასზე პირველად გამოჩნდა ფიცრით შემოკერებული ფიუზელაჟი და პილოტსა და ორ მგზავრზე გათვლილი დახურული კაბინა. 1911 წლის 29 დეკემბერს სიკორსკიმ ამ აეროპლანით კიდევ ერთი ადგილობრივი რეკორდი დაამყარა: C-6-მა აეროპლანმა, რომლის ბორტზეც სამი კაცი იყო და 111 კილომეტრი სიჩქარე განავითარა საათში. სამი თვის შემდეგ, 1912 წლის 12 მარტს, სიკორსკის გაუმჯობესებულმა იმავე აეროპლანმა C-6-მა უკვე ხუთი კაცი აიყვანა ჰაერში. ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს, რომ ამ დღეს დაიბადა სამგზავრო ავიაცია. განათლებადაუმთავრებელი სტუდენტი იგორ სიკორსკი კი სწორედ იმ წელს შესრულდა 23 წლის.

## „სიკორსკების“ საჰაერო არმადა

კიევური მანევრების შემდეგ სიკორსკის აეროპლანებით სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სამინისტრო დაინტერესდა. მალე მან სამი საფრენი აპარატის სახელმწიფო შეკვეთა მიიღო, ხოლო 1912 წელს უდიპლომო ინჟინერს რუსეთ-ბალტიის სავაგონო ქარხნის საავიაციო განყოფილების მთავარი კონსტრუქტორის თანამდებობა შესთავაზეს. სიკორსკი უყოყმანოდ დათანხმდა წინადადებას და ხუთწლიანი ხელშეკრულება გააფორმა, რომლის თანახმად ქარხანას C-6-ისა და მის მოდიფიკაციების წარმოების, ასევე, სიკორსკის ყველა გამოთვლასა და გამოგონებაზე განსაკუთრებული უფლებები ენიჭებოდა. სამაგიეროდ, ავიაკონსტრუქტორმა წელიწადში ერთი ახალი საფრენი აპარატის ქარხნის ხარჯზე აგებისა და სპეციალისტების შერჩევისა და დასაქმების უფლება მიიღო. ახალგაზრდა ავიაკონსტრუქტორის წინ ფართო სამოქმედო ასპარეზი გადაიშალა. მის ხელში აღმოჩნდა საწარმოო და საფინანსო ბაზა, რომელზე დაყრდნობითაც შეეძლო მთლიანად გადართულიყო შემოქმედებით მუშაობაზე. გამომგონებლის ცხოვრებაში ახალი ეტაპი იწყებოდა. მაისში სიკორსკი ექვს ახლო მეგობარსა და თანამოაზრესთან ერთად სანქტ-პეტერბურში ჩავიდა და საქმეს შეუდგა. ორი წლის განმავლობაში კონსტრუქტორმა და მისმა ჯგუფმა შექმნეს ოცზე მეტი საცდელი მოდელი, რომელთა შორისაც ინჟინრული გადაწყვეტით უნიკალურებიც იყო.

ზაფხულის დასაწყისში მზად იყო C-8 „მალიუტკა“, სასწავლო ბიპლანი, რომლის ორადგილიან კაბინაში მანქანის მართვის მოწყობილობები ცალცალკე გადიოდა პილოტ-ინსტრუქტორისა და მფრინავ-კურსანტის მხარეს. პარალელურად მზადდებოდა C-6B და C-7. პირველ მათგანზე გათვალისწინებული იყო პილოტ-დამკვირვებლის საშტატო ადგილი. ეს იყო მზვერავი-თვითმფრინავი. C-7 თავიდან იქმნებოდა როგორც ჩქაროსნული გამანადგურებელი. მალე, გამოცდის გავლის შემდეგ, ის ბულგარელებს მიჰყიდეს, სადაც მან კარგი თვისებები გამოავლინა ბალკანეთში საომარ მოქმედებებში. ზაფხულის ბოლომდე ჰაერში აფრინდა C-9 მონოპლანი. მსუბუქი მზვერავი C-11 და საპილოტო-საწვრთნელი C-12, ხოლო იგორ სიკორსკის საინჟინრო აზროვნება ამ დროს წყაროსავით ჩქეფდა. მან ჩაიფიქრა მრავალძრავიანი საჰაერო გიგანტების შექმნა, ქარხნის დირექტორთა საბჭოსა და რუსეთ-ბალტიის სააქციო საზოგადოების თანხმობაც მიიღო და 1912 წლის სექტემბერში თავისი იდეების ხორცშესხმას შეუდგა.

1913 წლის თებერვალში მზად იყო პირველი თვითმფრინავი, რომელსაც სიდიდის გამო „გრანდი“ უწოდეს. „გრანდი“ ზომებითა და მასით თითქმის ორჯერ მეტი იყო იმ დროს მსოფლიო ავიაციაში არსებულ ყველაზე დიდ საფრენ აპარატებზე. მისი ფრთების სიგრძე 27 მეტრი იყო, ასაფრენი მასა კი — 4 ტონა, ჰქონდა 100 ცხენის ძალის მქონე „არგუსის“ ოთხი ძრავა, რომლებიც ქვედა ფრთაზე ტანდემურ რეჟიმში იყო განლაგებული ფიუზელაჟის ახლოს. თვითმფრინავის ცხვირთან, ღია აივნის უკან, იყო კაბინა, რომლის სიგრძე 5,75 მეტრი, სიმაღლე კი 1,85 მეტრი იყო. კაბინის წინა მხარეს პილოტებისათვის განკუთვნილი ორი სავარძელი იდგა. მათ უკან მინის ტიხარი, რომელსაც სამგზავრო სალონში შესასვლელი კარი ჰქონდა. სალონის ბოლოში ხელსაბანი და ტუალეტი იყო. ბუმბერაზის მოთვინიერებას ორი თვე დასჭირდა. 30 აპრილს „გრანდმა“ პირველი წრიული ფრენა შეასრულა, ექვს მაისს კი მეორეჯერ მოსწყდა მიწას, რითაც საბოლოოდ მოიპოვა არსებობის უფლება. ამის შემდეგ სიკორსკიმ პეტერბურგის გარეუბნებსა და თვით ქალაქის თავზე განაგრძო ფრენა. გიგანტი თვითმფრინავის შესახებ ხმები მთელ ქვეყანაში გავრცელდა. მოულოდნელად „ახალი სასწაულის“ ხილვა მეფემ იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ მოინდომა. თვითმფრინავი ცარსკოე სელოში გადაიტანეს და 25 ივნისს იმპერატორი კონსტრუქტორის თანხლებით საჰაერო ხომალდის ბორტზე ავიდა. სამეფო კარის ფოტოგრაფმა სურათი იმ დროს გადაიღო, როცა კმაყოფილი თვითმპყრობელი ავიაკონსტრუქტორს ჯილდოდ ოქროს საათს გადასცემდა.

„გრანდის“ შექმნისათვის სახელმწიფო დუმამ სიკორსკის ჯილდო გამოუყო — 75 ათასი ოქროს რუბლი. სწორედ ამ თვითმფრინავით შეასრულა სიკორსკიმ პირველი „ბრმა“ გაფრენა მაჩვენებელთა მიხედვით. ფრენა კოკისპირული წვიმის დროს მიმდინარეობდა და 1 საათსა და 54 წუთს გაგრძელდა. თვითმფრინავის ბორტზე რვა კაცი იყო.

„გრანდის“ ბიოგრაფია კურიოზულად შეწყდა. ერთხელ, როცა ანგარიდან გამოაგორეს, მას დიდი სიმაღლიდან ჩამოვარდნილი თვითმფრინავ-გამანადგურებლის ძრავა დაეცა. კონსტრუქტორმა მის აღდგენას ახლისა და უფრო სრულყოფილის აგება ამჯობინა. რუსეთ-ბალტიის სააქციო საზოგადოებამ და სამხედრო სამინისტრომ მხარი დაუჭირეს სიკორსკის. ასე იქცა „გრანდი“ 1913-1917 წლებში გამოშვებული მძიმე, მრავალძრავიანი თვითმფრინავების კლასის საფუძვლის ჩამყრელად, რომლებსაც მოგვიანებით საერთო სახელი „ილია მურომეცი“ ეწოდა (იგივე C-22). პირველი მათგანი აეწყო და აფრინდა 1913 წლის დეკემბერში, ხოლო 1914 წლის 12 თებერვალს პირველი მსოფლიო რეკორდი დაამყარა: აფრენისას მის ბორტზე 12 კაცი და აეროდრომის გოშია შარიკი (უკანასკნელი კომისიამ რატომღაც მგზავრად არ ჩათვალა) იყო. თვითმფრინავის ჰაერში ატანილმა ტვირთმა 1290 კილოგრამს მიაღწია, რაც, რა თქმა უნდა, დიდი მიღწევა იყო. აპრილში ჰაერში აიჭრა მეორე „ილია მურომეცი“. მისი „უფროსი ძმა“ კი სამხედრო-საზღვაო უწყების დაჟინებული თხოვნით სიკორსკიმ ჰიდროპლანად გადააკეთა და ის 1917 წლამდე ყველაზე დიდი თვითმფრინავი ამფიბია იყო მსოფლიოში. 1914 წლის 4 ივნისს იგორ სიკორსკიმ თავისი „მურომეცი“ სახელმწიფო დუმის დეპუტატებით გაავსო და 2000 მეტრზე აფრინდა. შედეგად არა მარტო რეკორდი დამყარდა, არამედ მიღებულ იქნა ათეულობით შეკვეთა და მათი, როგორც მძიმე ბომბდამშენების, არმიაში მიღების გადაწყვეტილება. ამ მანქანის დიდ შესაძლებლობებში ყველას დასარწმუნებლად სიკორსკი თავის ჯგუფთან ერთად სანქტ-პეტერბურგიდან კიევში და კიევიდან ისევ პეტერბურგში გადაფრინდა. მიუხედავად


„ილია მურომეცი“ ფრენის დროს

იმისა, რომ ამ გადაფრენების დროს არაერთი რეკორდი დამყარდა, დამტკიცდა ხანგრძლივი ფრენების მრავალძრავიანი მანქანების უპირატესობაც. გზა გაეხსნა სატრანსპორტო ავიაციას, მოპოვებულ იქნა მოწყობილობების მიხედვით თვითმფრინავის მართვის ძვირფასი გამოცდილება, მაგრამ პირველი მსოფლიო ომის დაწყებამ ყველაფერს ხელი შეუშალა.

ომის წლებში სიკორსკიმ შექმნა ერთადგილიანი გამანადგურებლები C-13 და C-14 საზღვაო ავიაციისთვის განკუთვნილი ორადგილიანი ტუტუვისებური, მსუბუქი ბომბდამშენი C-15, ჩქაროსნული გზაგადამჭრელ-გამანადგურებელი C-16, ორადგილიანი მზვერავი C-17, რომელიც მოიერიშე C-19-ისა და თანხლების გამანადგურებლის — C-18-ის წინამორბედი იყო. ეს უკანასკნელი შეიარაღებული იყო პროპელერთან სინქრონიზებული ორი ტყვიამფრქვევით და უკანა ნახევარსფეროში ცეცხლის მწარმოებელი მოძრავი ტყვიამფრქვევით. გარდა ამისა, სიკორსკიმ ამ წლებში შექმნა მძიმე ბომბდამშენების მთელი არმადა. „ილია მურომეცი“ კონსტრუქტორის საყვარელ პირმშოდ იქცა. სხვათა შორის, მან პირველმა გამოთქვა მძიმე ბომბდამშენების მეშვეობით მცირერიცხოვანი, მაგრამ კარგად მომზადებული ჯარისკაცთა ჯგუფების მტრის ღრმა ზურგში გადასხმის იდეა, ანუ რუსეთის იმპერიაში მტრის ზურგში სადესანტო-სადივერსიო ჯგუფების გადასროლის ინიციატორი იგორ სიკორსკი იყო. ამ იდეას მხარი არავინ დაუჭირა. სამაგიეროდ, ბომბდამშენს, რომელსაც ჰაერში 500 კილოგრამი ასაფეთქებელი მასალის ატანა შეეძლო, ყველა ემადლიერებოდა. სწორედ სიკორსკის ხელმძღვანელობით დამუშავდა და ბომბდამშენებზე დამონტაჟდა ელექტროჩამომგდებები, ბომბსატყორცნის სამიზნეები და კარადა-კასეტები ბომბების ზალპურად ჩამოსაყრელად. მან პირველმა აღჭურვა ბომბდამშენები ფოტოკამერებით სადაზვერვო ფოტოგადაღებებისას და დაბომბვის შედეგის დასაფიქსირებლად. პირველად სწორედ სიკორსკიმ დაიწყო აეროპლანების სუსტი ადგილების შეჯავშნა (პილოტთა კაბინის ფსკერსა და საწვავის ავზებს ლითონის ფირფიტები აფარა). საკუთარი კონსტრუქციის აეროპლანებზე პირველმა დააყენა ჭახრაკებზე მბრუნავი ტყვიამფრქვევები, რითაც „ილია მურომეცი“ მფრინავ ციხესიმაგრედ გადააქცია. შემთხვევითი არ არის, რომ 75 მძიმე ბომბდამშენისგან, რომლებიც პირველ მსოფლიო ომში მონაწილეობდნენ, მოწინააღმდეგემ მხოლოდ ერთის ჩამოგდება მოახერხა, დაზიანდა სამი მათგანი, რომელთაგან სამივემ მოახერხა აეროდრომამდე მიფრენა და უსაფრთხოდ დაჯდომა. „ილია მურომეცის“ პილოტებმა თერთმეტი გერმანული ავსტრიული თვითმფრინავი გაანადგურეს.


თხილამურებიანი ავიაგამანადგურებელი C-16

(დასასრული შემდეგ ნომერში)

# არაბული ტანკები



„არსენალში“ მოსული წერილებისა და კითხვების პასუხად ჟურნალი აქვეყნებს პუბლიკაციების ციკლს, რომელიც ეძღვნება ტანკების განვითარებას, ტენდენციებსა თუ პერსპექტივებს, შეიარაღებისა და დაცვის ელემენტების თავისებურებებს, სხვადასხვა ქვეყნის ტანკების კონსტრუქციულ სიახლეებს, ტანკმშენებლობის დღევანდელ მდგომარეობასა და ა.შ.

ჩვენ უკვე განვიხილეთ ჰოლანდიის, ბრაზილიის, არგენტინის, ირანის, ინდოეთის, პაკისტანის, ავსტრალიის, სამხრეთ აფრიკის, კანადის, იაპონელთა ტანკმშენებლობის ისტორია, ამ ნომერში არაბული ქვეყნების მიღწევებზე გიამბობთ...

ტანკების შექმნის იდეა ინგლისში პირველი მსოფლიო ომის დროს, 1915 წლის ზაფხულში დაიბადა, როცა გერმანელთა კარგად დაცული პოზიციების გარღვევა ცოცხალი ძალის უზარმაზარ დანაკარგს იწვევდა. ამიტომაც მსხვერპლის შესამცირებლად სამხედროები მექანიკური, მუხლუხებიანი, დაჯავშნული საშუალების შექმნის საჭიროებამდე მივიდნენ.

იდეის ხორცშესხმამ ერთ წელზე ცოტა მეტი მოითხოვა და 1916 წლის 15 სექტემბერს მდინარე სომის მახლობლად, სოფელ ფლერთან ბრძოლებში ბრიტანელთა ტანკებმა მოწინააღმდეგის პოზიციებს პირველად შეუტიეს.

ახალი ტექნიკა სხვა ქვეყნების სამხედროებსაც მოეწონათ და მალე საკუთარი კონსტრუქციის ტანკების წარმოების ორგანიზება გერმანიამ და საფრანგეთმა შეძლეს, ხოლო ომის შემდგომ წლებში ამ ქვეყნებს შეუერთდნენ იაპონია, იტალია, პოლონეთი, საბჭოთა კავშირი, ჩეხოსლოვაკია, შვედეთი და სხვ.



„როლს-როისი“ M1920



იაფაში აწყობილი „არაბული ლეგიონის“ ჯავშანავტომობილი

ახლო აღმოსავლეთის არაბული ქვეყნებიდან დამოუკიდებლობას პირველად, 1922 წელს, ეგვიპტემ მიაღწია, მაგრამ ქვეყანაზე კონტროლი დიდმა ბრიტანეთმა მაინც შეინარჩუნა.

იმ პერიოდში ახალგაზრდა სახელმწიფოს საპოლიციო ქვედანაყოფებს ბრიტანელებმა „როლს-როისის“ M1920/M1924 მოდელის რამდენიმე დაჯავშნული ავტომობილი გადასცეს, ხოლო 1937-38 წლებში ეგვიპტის მთავრობამ არმიისათვის მცირე რაოდენობით Vickers-ის მსუბუქი ტანკი MkIII, ტანკეტი MkVIB და საშუალო ტანკი MKIA/MKII იყიდა.

1954 წელს ხელისუფლებაში გენერალ გამალ აბდელ ნასერის მოსვლით ეგვიპტე საბჭოთა კავშირსა და სოციალისტურ ქვეყნებს დაუახლოვდა და არმია თითქმის მთლიანად საბჭოთა ჯავშანტექნიკით შეივსო.





ეროვნული ბიბლიოთეკა

# განახლებული ძველი ტექნიკა

მომდევნო პრეზიდენტმა ანვარ სადათმა პოლიტიკური ორიენტაცია დასავლეთზე აიღო და არმიაც ნელ-ნელა ამერიკულ ჯავშანტექნიკაზე გადავიდა.

ისრაელთან ომების დროს ახლანდელმა სატანკო პარკმა შესყიდვების წყალობით შთამბეჭდავ რიცხვს — 3500-ზე მეტ ერთეულს მიაღწია და მისი მომეტებული ნაწილი მოძველებული საბჭოთა და ჩინური ტანკებია.

შეზღუდული ტექნიკური შესაძლებლობების გამო ეგვიპტის მთავრობამ ძველი ჯავშანტექნიკის თანამედროვე მოთხოვნებთან ასე თუ ისე, შესაბამისობისათვის დასავლურ კომპანიებს მიმართა.

პირველი პროექტი საბჭოთა T-54-ის საცეცხლე ძალისა და მობილურობის გაუმჯობესებით ამერიკული M60A3-ის დონეზე დაყვანას ითვალისწინებდა.

საპროექტო სამუშაოები ამერიკულმა კომპანია Teledyne Continental Motors-მა შეასრულა და 1985 წლის ნოემბერში ერთი T-54 ეგვიპტიდან კომპანიის მიჩიგანის შტატის ქარხანაში გაიგზავნა.

ამერიკელმა სპეციალისტებმა ტანკი საფუძვლიანად გადააკეთეს. ახალმა, უფრო ძლიერმა დიზელის ძრავამ და გადაცემათა კოლოფმა მეტი სივრცე მოითხოვა, რის გამოც ტანკმა სიგრძეში მოიმატა და მეექვსე საყრდენი გორგოლაჭიც დაემატა, თუმცა გორგოლაჭების დიამეტრი შემცირდა. დაკიდების სისტემაში ტორსიონები ჰიდროპნევმატურმა ამორტიზატორებმა შეცვალა.

განახლდა მძღოლ-მექანიკოსის სამუშაო პანელი და საწვავის ავზების მოცულობის გაზრდით სვლის მარაგმა მოიმატა.

ტანკზე სტაბილიზატორიანი ახალი 105 მმ-იანი ქვემეხი დაიდგა. პრიმიტიული ცეცხლის მართვის სისტემის ადგილი ამერიკულმა (ლაზერული მანძილმზომი, ღამის ხედვის ფარა, ატმოსფერული გადამწოდები და სხვ.) დაიკავა. მოდერნიზებული ტანკის წონა გაიზარდა, მაგრამ ძლიერმა ძრავამ საკმარისი გამავლობა მაინც შეუნარჩუნა.



ამერიკულ-ეგვიპტური მოდერნიზაციის შედეგი — Ramses II

1987 წლის იანვარში ტანკი გამოსაცდელად ეგვიპტეს დაუბრუნდა. გამოცდა მალე დამთავრდა, მაგრამ კომპანია Abu Zaabal-ის კაიროს გარეუბანში მდებარე ქარხანა №200-ის საწარმოო ხაზების მომზადებას რამდენიმე წელი დასჭირდა.

1000-ზე მეტი ტანკის განახლება იგეგმებოდა, მაგრამ 260 ტანკის დამზადების შემდეგ 2005 წელს წარმოება შეჩერდა. ეგვიპტემ ამერიკული M1A1 Abrams-ის დამზადების ლიცენზია შეიძინა და მოძველებული ტანკების მოდერნიზაციის აუცილებლობამ აზრი დაკარგა.

მოდერნიზებულ ტანკს თავიდან აღნიშვნა T-54E (Egyptian) მიენიჭა, რომელიც შემდეგ Ramses II-ით შეიცვალა.



ჯავშანავტომობილი Fahd-ი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ანტიტერორისტული Al-Jawad-ი

**Ramses II**: მასა — 48 ტონა, ეკიპაჟი — 4 კაცი, დიზელის ძრავა — 910-ცხ.ძალიანი, სიჩქარე — 70 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 530 კმ, შეიარაღება — 105 მმ-იანი ქვემეხი და შეწყვილებული 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი, 12,7 მმ-იანი საზენიტო ტყვიამფრქვევი.

**EIFV**: მასა — 17,7 ტონა, ეკიპაჟი — 3 კაცი, დესანტი — 7 კაცი, დიზელის ძრავა — 400-ცხ.ძალიანი, სიჩქარე — 66 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 482 კმ, შეიარაღება — 25 მმ-იანი ქვემეხი **M 242** და შეწყვილებული 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი FN MAG, ტანკსაწინააღმდეგო კომპლექსი **TOW**-ს გამშვები მილები.

M1A1 Abrams-ის პროგრამა 1996 წელს დაიწყო. ტანკისათვის აუცილებელი აგრეგატებისა თუ დეტალების დიდ ნაწილს კომპანია Abu Zaabal-ის ქარხანა ამერიკიდან იღებდა, ხოლო დანარჩენს თავად ამზადებდა.

აშშ-ისგან მიღებული პირველი 25 „აბრამსის" შემდეგ ეგვიპტემ საკუთარი ძალებით 850-ზე მეტი ტანკიააწყო და ახლა დამატებით კიდევ 125 ტანკის ასაწყობი კომპლექტის შეძენის საკითხი განიხილება.

1995 წელს ეგვიპტის მთავრობამ კომპანია BAE Systems-ს M113 ტიპის ჯავშანტრანსპორტიორის სამოდერნიზაციო პროექტი შეუკვეთა.

მოდერნიზებულმა ჯავშანტრანსპორტიორს (EIFV) უფრო ძლიერი ძრავა დაუყენეს, რის გამოც კორპუსი 40 სმ-ით დაგრძელდა და სავალ ნაწილს მეექვსე საყრდენი გორგოლაჭი დაემატა.

ალუმინის ჯავშანფურცლებით დამზადებული კორპუსი წვრილკალიბრიანი ცეცხლსასროლი იარაღისა და ჭურვების ნამსხვრევებისგან დაცვაზეა გათვლილი, ხოლო დასაკიდი ფოლადის ჯავშნის გამოყენების შემთხვევაში კორპუსი 23 მმ-იან ჭურვებსაც კი უძლებს.

საბჭოთა კავშირიდან მიღებული მრავალრიცხოვანი ჯავშანტექნიკის მიუხედავად, არმია მსუბუქად დაჯავშნული ტექნიკის ნაკლებობას მაინც განიცდიდა და სამხედროები გამოსავალს საკუთარი კონსტრუქციის ჯავშანტრანსპორტიორების წარმოებაში ხედავდნენ.

დახმარებისათვის სამხედრო უწყებამ გერმანელ სპეციალისტებს მიმართა. გერმანელებმა სატვირთო ავტომობილი Nasr-ის შასი ჯავშანფურცლებით შემოსეს და მიიღეს ჯავშანავტომობილი, რომელიც გარეგნულად საბჭოურ БТР-40-ს ძალიან ჰგავდა.

1960 წელს კომპანია Kader Factory სამხედრო-საპოლიციო დანიშნულების Walid (4X4)-ის წარმოებას შეუდგა.

მომდევნო ეგვიპტური დაჯავშნული ავტომობილი Fahd-ი ისევ გერმანელებმა შექმნეს, ოღონდ ბაზად სატვირთო „დაიმლერ-ბენცის" შასი გამოიყენეს.

„ფაჰდს" ფოლადის ჯავშნისაგან დამზადებული პონტონისმაგვარი ფორმა და შუბლის მხარეს ტყვიაგაუმტარი დიდი საქარე მინები აქვს, რომელიც ბრძოლის დროს ჯავშანპანელებით იფარება. ძრავა კორპუსის ცენტრალურ ნაწილშია, ხოლო უკან კი ათკაციანი სადესანტო განყოფილებაა.

ქვეყნისა და გარე ბაზრისთვის „ფაჰდის" სხვადასხვა მოდიფიკაცია შეიქმნა: უიარაღო ჯავშანტრანსპორტიორი, შეიარაღებული ჯავშანტრანსპორტიორი (საბჭოთა БМП-2-ის 30 მმ-იანი ქვემეხი, ან 12,7 მმ-იანი და 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევები), დაჯავშნული სამეთაურო, საკომანდო პუნქტის, სამედიცინო, სარემონტო-საევაკუაციო, დამნაღმველი (კორპუსში 240 ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი თავსდება), საპოლიციო ავტომობილი და სხვ.

**Fahd 240**: მასა — 10,9 ტონა, ეკიპაჟი — 2კაცი, დესანტი — 10 კაცი, დიზელის ძრავა — 168-ცხ. ძალიანი, სიჩქარე — 90 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 800 კმ, შეიარაღება — სამი 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი.

ეგვიპტელთა პირველი ჯავშანავტომობილი Walid-ი



ეროვნული ბიბლიოთეკა



იორდანიელთა ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარი — Nimr II

თვითმავალი არტილერიის პარკის შესავსებად კომპანია United Defense-მა ამერიკული თვითმავალი ჰაუბიცა M109-ის შასითა და ეგვიპტეში წარმოებული საბჭოური 122 მმ-იანი ჰაუბიცა Д-30-ით ორიგინალური კონსტრუქციის დანადგარი Sp 122 დაამზადა.

ალუმინის შენადნობისაგან დამზადებულ ამერიკული დანადგარის კოშკურაში Д-30-ის მოქანავე ნაწილი, ჭურვების მარაგი (86 გასროლა) და დამიზნების მექანიზმი მოთავსდა. ჰაუბიცის მაღალი საბრძოლო მახასიათებლები შეუნარჩუნდა და მას კარგი მობილურობა დაემატა.

მსგავსი დანადგარი სირიაშიც არის შექმნილი, ოღონდ მეორე მსოფლიო ომისდროინდელ T-34-85-ის შასიზე Д-30 ღიად არის დამაგრებული და ეფექტურობით Sp 122-ს გაცილებით ჩამორჩება.

ბოლო დროს ჯავშანტექნიკის წარმოებაში პროგრესს კიდევ ერთმა არაბულმა სახელმწიფომ — იორდანიამ მიაღწია.

ჯერ კიდევ დამოუკიდებლობის მიღწევამდე ბრიტანელებმა 1923 წელს ტრანსიორდანიაში წესრიგის დასაცავად და სტრატეგიული მნიშვნელობის ამან-იერუსალიმის გზის დასაცავად ე.წ. „არაბული ლეგიონი“ ჩამოაყალიბეს. უდაბნოებში პატრულირებისათვის ლეგიონის განკარგულებაში რამდენიმე დაჯავშნული „როლს-როისი“ და აქლემები იყო.

1939 წელს მოძველებული „როლს-როისების“ ადგილი ქალაქ იაფაში ვაგნერის მექანიკურ ქარხანაში დაჯავშნულმა ექვსმა სატვირთო ავტომობილმა დაიკავა. ჯავშანავტომობილი 5-6 კაცს იტევდა და ერთი 7,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევით იყო შეიარაღებული.

დღეისათვის იორდანიის მეფე აბდულა II-ის ხელშეწყობით თავდაცვითი მრეწველობა აღმავლობის გზაზე დგას და სამუშაოებს კოორდინაციას აბდულა II-ის სახელობის საპროექტო-განვითარების კომიტეტი (KADDB) უწევს.

საქმიანობის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება მუხლუხა-ბორბლებიანი ჯავშანტექნიკის დამზადება-მოდერნიზაციაა.

ამერიკული კომპანიების მონაწილეობით მიმდინარეობს ძირითადი ტანკის M 60A1/M60A3 Patton-ის (იორდანიული დასახელება Phoenix-ი) მოდერნიზაცია. იორდანიულ „ფენიქსს“ ახალი ძრავა-ტრანსმისია, დინამიკური დაცვა და ცეცხლის მართვის ლაზერული სისტემა აქვს, ხოლო სატანკო 105 მმ-იანი ქვემეხი 120 მმ-იანით არის შეცვლილი.

მნიშვნელოვან პროექტად რჩება ბრიტანული Challenger 1-ის (იორდანიული დასახელება Al-Hussein-ი) მოდერნიზაცია. „ალ-ჰუსეინს“ სატანკო 120 მმ-იანი გლუვლულიანი ქვემეხი, ქვემეხის დატენის, სტაბილიზაციისა და ცეცხლის მართვის ახალი სისტემები აქვს.

KADDB-ებმა სამხრეთაფრიკულ (MDB), ამერიკულ (L3 communications) და იორდანიულ (CLS Jordan) კომპანიებთან ერთობლივად მოამზადა მოძველებული ინგლისური Centurion-ის (იორდანული აღნიშვნა Temsah-ი)

საპატრულო დანიშნულების დაჯავშნული ავტომობილი Stallion-ი



ეროვნული ბიბლიოთეკა




იორდანიელთა მოდერნიზებული M60 – Phoenix-ი

ბაზაზე მძიმე ქვეითთა საბრძოლო მანქანა Tariq (AB-14)-ის პროექტი.

„თარიქი" მრავალმხრივი დანიშნულების დაჯავშნულ პლატფორმად განიხილება და მის ბაზაზე დამზადდება პირადი შემადგენლობის გადასაყვანი ჯავშანტრანსპორტიორი, სამეთაურო-საშტაბო, სამედიცინო, კავშირის, საბრძოლო-სადაზვერვო და საბრძოლო სარემონტო-საევაკუაციო დაჯავშნული მანქანები.

გამოფენებზე უკვე წარადგინეს ათკაციან დესანტზე გათვლილი ჯავშანტრანსპორტიორი, ორი 81 მმ-იანი ნაღმსატყორცნით და 20 მმ-იანი ქვემეხით აღჭურვილი საბრძოლო მანქანები, მაგრამ პროექტის სერიულ წარმოებამდე მიყვანა საკმაოდ ნელი ტემპით მიდის.

KADDB-აში შემავალი ერთ-ერთი საწარმო არაბთა გაერთიანებულ საამიროსთან ერთობლივად უდაბნოში პატრულირებისათვის დაუჯავშნავი მაღალი გამავლობის ავტომობილებს Desert Iris (4X4) ამზადებს. ბაზად გამოყენებულია Toyota Hilux-ი, ორიგინალური კონსტრუქციის პლატფორმა საშუალებას იძლევა ავტომობილზე დაიდგას ორი ტანკსაწინააღმდეგო მართვადი რაკეტა, ან 12,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევი, ან უპილოტო საფრენი აპარატის გასაშვები მოწყობილობა.

1999 წელს „ჰამერის" ალტერნატიული მაღალი გამავლობის ავტომობილის პროექტმა რუსეთისა და იორდანიის კომპანიები გააერთიანა, მაგრამ ორწლიანი მუშაობის შემდეგ მუშაობა ცალ-ცალკე განაგრძეს.

2005 წელს მუშაობა დასრულდა და ჯავშანავტომობილ Nimr-ის საჯარო დემონსტრირება ამანის იარაღის საერთაშორისო გამოფენაზე შედგა.

„ნიმრი" სამხედრო-საპოლიციო დანიშნულების მაღალი გამავლობის დაჯავშნული ავტომობილია, მისი მასა-გაბარიტული ზომები სატრანსპორტო თვითმფრინავებით გადატანის საშუალებას იძლევა.





ქვეითთა მძიმე საბრძოლო მანქანა Tariq-ი

**Nimr**: ტვირთამწეობა — 2,2 ტონაა ეკიპაჟი — 2 კაცი, დესანტი — 6 კაცი, დიზელის ძრავა — 250-ცხ.ძალიანი, სიჩქარე — 140 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 700 კმ, შეიარაღება — 12,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევი.

მომდევნო Nimr II მოდელს გაუმჯობესებული ჯავშანდაცვა, 2,5 ტონამდე გაზრდილი ტვირთამწეობა და ახალი 350-ცხ.ძალიანი ძრავა აქვს.

საბრძოლო Nimrad-ისა (აღჭურვილია 4 საზენიტო რაკეტა Mistral-ით) და Nimrat-ის (აღჭურვილია 4 ტანკსაწინაალმდეგო რაკეტა Milan 3-ით) დასამზადებლად გამოყენებულია ავტომობილის შასი 4X4, ხოლო თავად შასიზე (6X6) 107 მმ-იანი ზალპური ცეცხლის რეაქტიული სისტემის 48-პაკეტიანი დანადგარია დაყენებული.

ინგლისში იორდანიის შეკვეთით სასაზღვრო-საპატრულო სამსახურისათვის დაპროექტდა გაზრდილი სვლის მარაგის (საწვავის ერთი გაწყობით გარბენი 1500 კმ-ია) მქონე მაღალი გამავლობის ავტომობილი Al-Thalab-ი (4X4), რომლის ძარა მსუბუქი, კომპოზიტური მასალების საფუძველზე დამზადებული ჯავშნის (საერთო წონა 140 კგ) მოდულებით არის დაფარული. დაზიანების შემთხვევაში ასეთი ჯავშნის ელემენტები ადვილი შესაცვლელია.

ანტიტერორისტული და სპეცდანიშნულების ქვედანაყოფთა განკარგულებაშია Ford F-450-ის ბაზაზე აგებული დაჯავშნული Al-Jawad-ი, რომელზეც საიერიშო კიბეების, 106 მმ-იანი უკუგორებო ქვემეხის ან სხვა საშუალებათა დაყენება შეიძლება.

2009 წელს KADDB-მ სამშვიდობო ოპერაციებისათვის, ანტიტერორისტული და საპატრულო სამსახურებისათვის განკუთვნილი ჯავშანავტომობილი Stallion-ი წარმოადგინა.

მოძველებული Ferret-ის საფუძვლიანი მოდერნიზაციით თანამედროვე დიზაინის ჯავშანავტომობილი შეიქმნა და კონკრეტული ამოცანიდან გამომდინარე „სტალიონზე" 5,56 მმ-იანი, ან 7,62 მმ-იანი, ან 12,7 მმ-იანი ტყვიამფრქვევის დაყენება შეიძლება.

იორდანიულ ჯავშანტექნიკას მეზობელი არაბული ქვეყნები ყიდულობენ, დაინტერესებულია ჩვენი მეზობელი აზერბაიჯანიც.

სადამ ჰუსეინის მმართველობისას ერაყში ტანკების საბრძოლო მახასიათებელთა გასაუმჯობესელი რამდენიმე პროექტი განხორციელდა.

ირანთან მრავალწლიანმა ომმა ჯავშანტექნიკის ერაყელ სპეციალისტებს გამოცდილება შესძინა, რომელიც შემდგომში საბჭოთა წარმოების მოძველებული ტანკების სამოდერნიზაციოდ გამოიყენეს.

ბაღდადის ჩრდილოეთით, ქალაქ თაჯში, მდებარე ქარხანაში დაზიანებული ტანკების შეკეთებასთან ერთად ჯავშანტექნიკის საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები მიმდინარეობდა.

1989 წელს ქარხნის კონვეიერიდან საბჭოთა T-72M1-ს შესაბამისი ერაყული მოდელი Asad Babilon-ი ჩამოვიდა. ტანკი პოლონეთიდან მიღებული აგრეგატებით არის აწყობილი და შუბლის მხარეს ჯავშანდაცვა გააძლიერა. გამოშვებული ერაყული „ასად ბაბილონის" ზუსტი რაოდენობა უცნობია.

ერაყის არმიას დიდი რაოდენობით ჰყავდა საბჭოთა T-55-ები და მისი ჩინური ანალოგები. მოძველებული ტექნიკის გასაახლებლად საკონსტრუქტორო სამუშაოები ჩატარდა. 1989 წელს ბაღდადში სამხედრო გამოფენაზე წარადგინეს T-55-ის მოდერნიზებული ნიმუში. ტანკის შუბლი და ნაწილობრივ ბორტები 4,6 ტონა მრავალშრიანი დამატებითი ჯავშანფილებით იყო დაცული. კოშკურაში 125 მმ-იანი გლუვლულიანი ქვემეხი (ერაყში 125 მმ-იან 2A46 ტიპის ქვემეხებიც მზადდებოდა) და T-72-დან აღებული დამტენი მექანიზმი იყო დაყენებული, რის გამოც კოშკურის კიჩოს ნაწილმა სიგრძეში მოიმატა. ცვლილებებმა ტანკის წონა გაზარდა და წონასწორობის შესანარჩუნებლად კორპუსის კიჩოს ნაწილს საპირწონეები დასჭირდა.

მართალია, მოდერნიზებული ტანკის ეკიპაჟი ერთი წევრით შემცირდა, მაგრამ წონის მომატებამ საექსპლუატაციო მახასიათებლები გააუარესა. გადაულახავ პრობლემად დარჩა სატანკო ქვემეხის ლულების ხარისხი — 120 გასროლის შემდეგ სიზუსტე შესამჩნევად მცირდებოდა.

**შალვა გოგიბერიძე**



ერაყელთა მოდერნიზებული T-55

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უძველესი ქართველური ტომების პირველი მტრები




ქართული ტომების მეზობლები ქრისტესშობამდე II-I ათასწლეულებში

დაახლოებით 31 საუკუნის წინ, ქრისტესშობამდე 1121 წელს, ასურეთის მეფე ტიგლათფილესერ I ტრაბახით აღწერს უძველესი ქართველი ტომის, დაიანების ქვეყანაში ლაშქრობას. ჩვენი წინაპრები რომ მანამდეც იბრძოდნენ, არქეოლოგიური მასალიდანაც ჩანს, თუმცა ეს არის ქართველი ხალხის სამხედრო ისტორიის პირველი ოფიციალური „დოკუმენტი".

მას შემდეგ ვინ არ გაილაშქრა საქართველოზე: სკვითებმა თუ კიმერიელებმა, ასურელებმა თუ ურარტუელებმა, რომაელთა ლეგიონებმა თუ ბერძენმა მეომრებმა, ძველმა სპარსელებმა და არაბებმა, მომთაბარე თურქ-სელჩუკებმა თუ მონღოლებმა, ბიზანტიელებმა, ირანელებმა, ოსმალ-ასკერებმა, რუსულმა არმიებმა და ა.შ.

ახალი რუბრიკის შემოღებით შევეცდებით სამხედრო-ისტორიული კუთხით მიმოვიხილოთ იმ ქვეყნების სამხედრო საქმე და არმიები, ვისთანაც ჩვენს სახელოვან წინაპრებს ბრძოლა უწევდათ.

## ქართველთა პირველი ბრძოლები

ქართველ ხალხს სამართლიანად მიიჩნევენ უძველეს ეთნოსად. ადამიანის არსებობის უძველესი კვალი საქართველოს ძველი ქვის ხანით მილიონ შვიდასი ათასი წლით თარიღდება. აქედან მოყოლებული, ქართველმა ეთნოსმა განვითარების ყველა ეტაპი გაიარა. დაბეჯითებით ძნელია მტკიცება, პირველად როდის აიღეს ჩვენმა წინაპრებმა ხელში იარაღი მტერთან საბრძოლველად, რადგან საბრძოლო იარაღის არსებობა ყველა პერიოდში დასტურდება.

ქვის ხანის იარაღი — საბრძოლო ხელშუბები, ბრინჯაოს ეპოქის — შუ-



ურარტუს მეფე არგიშტის ლურსმული წარწერა დიაოხში ლაშქრობის შესახებ



ასურელთა იერიში ციხესიმაგრეზე

ბისა და ისრისპირები, კოლხური ცულები — ჩვენი სამხედრო ისტორიის უტყვი მოწმეა.

პირველი ოფიციალური საბუთები, სადაც ქართველთა ბრძოლებია აღწერილი, ბიბლია და ლურსმული ტექსტები.

ქართული ეთნოსი უშუალოდ მეზობლობდა სამხრეთით მყოფ უძველეს ცივილიზაციებთან, რომლებთანაც მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ.

ეს სახელმწიფოები ყოველთვის როდი გამოირჩეოდნენ კეთილმეზობლობით და ხშირად ჩვენს წინააღმდეგ ლაშქრობებს აწყობდნენ.

„...იმ დროს ღვთაება ასურის ჩემი მეუფის დიადი ძალით... მე, რომელსაც არ მყავს მძლევი ომში, და ტოლი ბრძოლაში, გავემართე შორეულ მეფეთა ქვეყნისაკენ, რომლებიც ცხოვრობენ ზემო ზღვის (შავი ზღვის) ნაპირას, რომელთაც არ იცოდნენ, რა არის მორჩილება."

ტიგლათფილესერ I-ის წარწერა. ქრისტესშობამდე, 1121 წელი

ძველი აღმოსავლეთის სახელმწიფოები იყვნენ პირველნი, რომლებმაც შექმნეს სახელმწიფო სტრუქტურა, პირველი ქალაქები, მართვის აპარატი, დამწერლობა, საფუძველი ჩაუყარეს კულტურისა და ხელოვნების ბევრ დარგს, ამასთან, სამხედრო საქმესაც. ისინი არა მარტო კულტურის განვითარების უმაღლესი დონით, არამედ უძლიერესი სამხედრო სტრუქტურითაც გამოირჩეოდნენ.

**ასურული, აქადური, ურარტული და ხეთთა არმიები შიშის ზარს სცემდნენ მაშინდელ აღმოსავლეთის ტომებსა და სახელმწიფოებს.** სწორედ მათთან მოუხდათ უძველეს ქართულ ტომებს პირველი ოფიციალურად დადასტურებული ომების გადახდა.

**ძველი აღმოსავლეთი და ანატოლია იყო აკვანი როგორც პირველი ცივილიზაციის, ასევე სამხედრო ხელოვნებისა.** ძველ აღმოსავლეთში ჩამოყალიბდა სამხედრო სტრუქტურა და სტრატეგია, ტაქტიკური ერთეულები, სარდლების და სამეთაურო რგოლების ინსტიტუტები. შესამჩნევი გახდა ტექნიკური წინსვლაც — მძლავრი მშვილდები (შედგენილი მშვილდები), საფორტიფიკაციო ნაგებობები, სამხედრო წყობები, მეომართა იერარქია, ჯარების წვრთნა და ოფიციალური მობილიზება, საბრძოლო ეტლები სწორედ აქედან იღებს სათავეს.

**ხეთების იმპერია, ასურეთი, ურარტუს, აქადების, სპარსეთის სახელმწიფოები უშუალოდ ემეზობლებოდნენ უძველეს ქართულ ტომობრივ გაერთიანებებს — მუშქებს, ქაშქებს, დაიანებს (დიაოხელებს), თუბალებს, კოლხებს და მათთან უწევდათ ბრძოლა.**

ძველი აღმოსავლეთის არმიები (ხეთები, ასურები...) აღჭურვილი იყვნენ საბრძოლო ცულებით, ტყავის ჯავშნით, სხვადასხვა მასალისაგან დამზადებული ფარით, ბრინჯაოსა და უფრო გვიან რკინის შუბებითა და ხმლებით, შედგენილი, რთული შუბებით.

**ძველ აღმოსავლეთში შეიქმნა საბრძოლო ეტლი, იმდროინდელი ტანკი.** ორთვლიან ეტლში ორი ან სამი მეომარი თავსდებოდა. ერთი ეტლს მართავდა, ხოლო დანარჩენები კი შუბებით ან მშვილდ-ისრებით იბრძოდნენ.

ასურეთისა და ხეთების სახელმწიფოებს შეეძლოთ ბრძოლის ველზე რამდენიმე ათეული ათასი მეომრის გამოყვანა. ისინი სხვადასხვა დროს რამდენიმე მიმართულებით იბრძოდნენ. ერთ-ერთ უძველეს კადეშის ბრძოლაში ხეთების მეფემ ხათუსალმა ეგვიპტის ფარაონ რამსეს II-ის წინააღმდეგ ათეულათასობით მეომარი და რამდენიმე ასეული საბრძოლო ეტლი გამოიყვანა.



ქართველთა საბრძოლო იარაღი აღნიშნულ პერიოდში

**ხეთების ლურსმულ ტექსტებშიც**

ღვთაება ხალდი გაემართა სალაშქროდ თავისი იარაღით დიაოხის ძლიერი ქვეყნის დასალაშქრად.

ურარტუს მეფე მენუას წარწერა. ქრისტესშობამდე, მე-8 საუკუნე

**არაერთხელ არის ნახსენები უძველესი ქართველი ტომები — ქაშქები და მუშქები, მათი ბრძოლები.** ხეთებმა ერთ-ერთმა პირველებმა შემოიტანეს რკინის იარაღი, რაც მათ ბრინჯაოს იარაღით აღჭურვილ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში უპირატესობას აძლევდა, რადგან რკინის იარაღი ბრინჯაოსაზე ბევრად მტკიცე იყო.

ძველი მსოფლიოს უპირველეს სამხედრო სახელმწიფოდ კი ასურეთი იქცა. ასურებმა სამხედრო საქმეში ერთ-ერთმა პირველებმა გამოიყენეს დატყვე-



ურარტუელთა კავალერია

ეროვნული ბიბლიოთეკა



ურარტუელთა ჯარისკაცები

ვებული მონები საჭურველმტვირთველებად.

ჯარის ორგანიზაციასა და რეგულირებასთან ერთად ასურეთში საბრძოლო და საალყო იარაღიც დაიხვეწა. მათ ჯარებში პირველად გამოჩნდა საალყო მანქანები, კედლის სანგრევი ტარანები, ციხის ასაღები კონსტრუქციები, სამხედრო ინსტრუქციები და სხვ.

ასურები მდინარის გადასალახავად ტივებსა და ტიკებს იყენებდნენ.

ლურსმულ წარწერებში ნახსენებია და ბარელიეფებშიც არის გამოსახული მუზარადები და ახალი ტიპის აბჯრები, რომლებიც ტყავის ნაცვლად ლითონის ფირფიტებისაგან შედგებოდა.

მაღალი დონით გამოირჩეოდა ურარტუს სამხედრო სტრუქტურა.

**ურარტუელთა ლაშქარს დიდ მანძილზე ლაშქრობა შეეძლო და კარგი საალყო ტექნიკაც ჰქონდა.**

ურარტუს ჯარები ერთ-ერთი პირველნი იყვნენ, ვინც შორსმსროლელ ისრებსა და კატაპულტებს იყენებდა. ამასთან, ურარტუელი მეფეები თავიანთი ჯარის სიძლიერით ტრაბახობდნენ და შესამოწმებლად აღლუმებსაც აწყობდნენ. როგორი იყო იმ დროს ქართველი ტომების სამხედრო საქმის დონე?

**უამრავი არქეოლოგიური მასალა ამტკიცებს, რომ ქართველი ტომები სამხედრო საქმის ცოდნითა თუ იარაღით ხეთების, ურარტუსა და ასურეთის სახელოვან ჯარებს არაფრით ჩამოუვარდებოდნენ.**

ხეთი მეფეების წერილების მიხედვით, მუშქებისა და ქაშქების ტომები იმდენად ძლიერნი იყვნენ, რომ ხეთების ტერიტორიაზე არაერთი ლაშქრობა მოაწყვეს.

ამის გამო ხეთებმა სასაზღვრო რეგიონში თავდაცვის მთელი სისტემა შექმნეს. იყო პერიოდები, როცა ქართველური ტომები და ხეთები ზავდებოდნენ. ცნობილ კადეშის ბრძოლაში, სადაც ორი უძლიერესი არმია ებრძოდა ერთმანეთს, ეგვიპტელთა წინააღმდეგ ხეთების არმიის რიგებში ქაშქებიც არიან ნახსენები.

ზოგიერთ ლურსმულ წარწერაში ხეთები ქაშქების ბელად ფიხუნიას უკვე პატარა მეფედ მოიხსენებენ.

ასურეთის სახელოვანი მეფის ტიგლათფილესერ I-ის ცნობით, იგი მუშქების ხუთი მეფის დაქვემდებარებაში მყოფ ოცი ათას მეომარს ებრძოდა და ერთ-ერთი ლაშქრობისას ხელთ ასოცი საბრძოლო ეტლი ჩაიგდო.

ურარტუს მეფეები არგიშთი და მენუა თავიანთ ლაშქრობებზე ტრაბახობენ და ერთ-ერთის შესახებ წერენ, რომ დაანგრიეს 105 ციხესიმაგრე, ხელთ იგდეს 15 ათასი კაცი, ათასობით ცხენი, ათეულათასობით მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვი.

> გავემართე სალაშქროდ კულხას ქვეყანაში, დავანგრიე და დავიპყარი იგი. სარდურ I
>
> ნაწყვეტი ურარტუს მეფე სარდურის წარწერიდან. ქრისტესშობამდე, მე-8 საუკუნე

მსგავსი შინაარსის ტექსტები სხვა ურარტუელ მეფეთა აღწერილობაშიც მეორდება.

მენუა იმდენად ამაყობდა დიაოხში ლაშქრობით, რომ ერთ-ერთ ბარელიეფზე წერდა: „ვინც ამ წარწერას მოსპობს, ვინც მას გატეხს, ვინც მას გადააკეთებინებს, დაე, მოსპონ იგი ღვთაებებმა".

რა დასკვნის გამოტანა შეიძლება ამ წარწერებიდან? ჯერ ერთი, თავის მოწონება სუსტი მოწინააღმდეგის დამარცხებით სატრაბახო ნამდვილად არ არის, და მეორე — გასათვალისწინებელია ძველი ქართველური ტომების ფინანსური შესაძლებლობები.

ციფრები როგორი გაზვიადებულიც უნდა იყოს, მათთან სალაშქროდ საკმაოდ დიდხანს ემზადებოდნენ და უაზრო ლაშქრობას კი არავინ აწყობდა.

**იმ დროს ქართველურ ტომებს არ ჰქონდათ ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფო, თუმცა სამხედრო საქმე და იარაღის წარმოება მაინც მაღალ დონეზე იყო და დაქსაქსვის მიუხედავად, უძლიერეს სახელმწიფოებთან ბრძოლას ახერხებდნენ.**

ამას ამტკიცებს როგორც არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩენილი იარაღი, ასევე იმდროინდელი ლურსმული წარწერები.

ახლო აღმოსავლეთი და ანატოლია ყოველთვის ეთნოსთა მიგრაციის ადგილი იყო. ასურეთის, ხეთებისა და ურარტუს სახელმწიფოები ერთმანეთთან დაპირისპირებამ, შიდა და გარე ომებმა დაასუსტა. საბოლოოდ კი ისინი გარედან შემოჭრილი ტომების მსხვერპლნი გახდნენ.

ერთ დროს ძლევამოსილი იმპერიები აღიგავნენ პირისაგან მიწისა, მათ შესახებ მხოლოდ წარწერები და ნივთები მოგვითხრობენ.

ქართველური ტომები გადარჩნენ. მათ შეძლეს ხალხთა დიდი გადასახლების პერიოდში თავის გადარჩენა, მათში თანდათან გამოიკვეთა გაერთიანებისა და ერთ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების გზა.

*გიორგი ბერიძე*

მდინარის ფორსირება ასურელთა მიერ



# რევოლუციური პროექტები

*გამარჯობა. მე ვარ ჟურნალ „არსენალის“ ერთგული მკითხველი, 17 წლის. სამი წელია, რაც თქვენი ჟურნალის არც ერთი ნომერი არ გამომიტოვებია, ყველა მათგანს ინტერესით ვკითხულობ და საერთოდ, ძალიან ვარ დაინტერესებული სამხედრო საქმით, კერძოდ კი, ავიაციით. თუ „არსენალში“ დაიბეჭდება ინფორმაცია მეორე მსოფლიო ომისდროინდელ კონცეპტუალურ ავიაპროექტებზე, მაგალითად, როგორიც არის გერმანული* ***Me 163 Komet****-ი,* ***He 162 Volksjäger****-ი,* ***Dornier Do 335 Pfeil****-ი და სხვ., ვფიქრობ, მკითხველი უთუოდ დაინტერესდება.*

*თქვენი ერთგული მკითხველი ბაჩანა ბოჭორიშვილი, თელავიდან*




მეორე მსოფლიო ომმა, თუ მას ტექნიკური თვალსაზრისით შევხედავთ, ძალზე ბევრ გამოგონებას ჩაუყარა საფუძველი. მოწინააღმდეგე მხარეები სულ უფრო და უფრო სრულყოფილ იარაღის ნიმუშებს ქმნიდნენ. წამყვანი პოზიცია, რა თქმა უნდა, ნაცისტურმა გერმანიამ დაიკავა. სწორედ გერმანელმა მეცნიერებმა, ინჟინრებმა და სპეციალისტებმა შექმნეს შეიარაღების ისეთი ნიმუშები, როგორიცაა ღამის ხედვის მოწყობილობები, ფრთოსანი თუ ბალისტიკური რაკეტები, სერიული რეაქტიული გამანადგურებლები.

ავიაცია სწორედ ის სფერო იყო, სადაც გერმანია ომის მთელ მანძილზე დომინირებდა. გერმანიაში შეიქმნა თვითმფრინავები, რომლებმაც რევოლუცია მოახდინეს ავიაციაში. ერთ-ერთი Me-163 Komet-ი იყო.

მასზე მუშაობა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს დაიწყო, მიზანი თვითმფრინავზე რაკეტული ძრავას მორგება იყო. ამ თვითმფრინავმა მსოფლიო ავიაციის ისტორიაში ღრმა კვალი დატოვა — ის რაკეტული ძრავათი აღჭურვილი პირველი და ერთადერთი თვითმფრინავი იყო, რომელიც შეიარაღებაში მიიღეს და ბრძოლებში გამოიყენეს.

თუმცა ასეთივე ძალური დანადგარით აღჭურვილი პირველი გერმანული თვითმფრინავი ჰეინკელის He-176 იყო. 1939 წელს ჰაერში პირველად აფრენილი თვითმფრინავის ძრავა მხოლოდ 50 წმ-ს მუშაობდა და სიჩქარეც მხოლოდ 350 კმ/სთ-ს შეადგენდა.

არც ისე სახარბიელო მახასიათებლების გამო ლუფტვაფეს ხელმძღვანელობამ მის მიმართ ინტერესი დაკარგა.

ერთი წლის შემდეგ გერმანელმა ქიმიკოსებმა წყალბადის ზეჟანგისა (შემადგენლობა T) და ნატრიუმის პერმანგანატის (შემადგენლობა C) შერევით შექმნეს ახალი სახის საწვავი, რომელსაც სიჩქარის 550 კმ/სთ-მდე განვითარება შეეძლო. შესაბამისად პროექტით დაინტერესდნენ და მესერშმიტმა მუშაობა განაახლა.

მალე Me-163-ის პირველი პროტოტიპი მზად იყო და ლეჰფელდის აეროდრომზე საცდელი ფრენები დაიწყო. თავიდან ის ძრავას გარეშე, სხვა თვითმფრინავზე გამობმული გვარლის დახმარებით ფრინდებოდა. შემდეგ ჰაერში შორდებოდა და მიწაზე პლანირებით ეშვებოდა. ავზები 1200 კგ საწვავს იტევდა, რაც სრული წევით 2,5-წუთიანი ფრენისთვის საკმარისი იყო.

პირველი დამოუკიდებელი აფრენა 1941 წლის 10 აგვისტოს შესრულდა, ხოლო სამი დღის შემდეგ სიჩქარემ 800 კმ/სთ-ში მიაღწია, რაც იმდროინდელ ოფიციალურ რეკორდს აღემატებოდა.

პრობლემად მაინც საწვავი რჩებოდა. კომპონენტები ცალ-ცალკეც კი მაღალტოქსიკური და არასტაბილური იყო, ამიტომაც თვითმფრინავის გამართვა მოშორებულ მოედანზე ხდებოდა. იყო შემთხვევა, როცა სადგომზე ორი საწვავით გამართული თვითმფრინავი თავისით აფეთქდა. ასე რომ, თავიდან Me-163, რომელსაც მეტსახელად Komet-ი (კომეტა) შეარქვეს, გერმანელებს უფრო დიდ საფრთხეს უქმნიდა, ვიდრე მოკავშირეებს.

1943 წლის 17 აგვისტოს ამერიკელებმა თვითმფრინავის მწარმოებელი ქარხანა დაბომბეს, სადაც 11 სრულად გამზადებული „კომეტა“ დაიწვა. ამიტომაც

**„კომეტა“ მსოფლიოში პირველ და ერთადერთ სერიულ რაკეტულ გამანადგურებლად დარჩა**



ეროვნული ბიბლიოთეკა



„სახალხო გამანადგურებელი“ ყველაზე სწრაფი იყო, ომის ბოლოსთვის საბრძოლო პირობებში გამოყენებული თვითმფრინავებიდან

პირველი სერიული რაკეტული გამანადგურებელი მხოლოდ 1944 წლის მაისში აფრინდა.

წარმოებამ მაქსიმალურ ტემპს, თვეში 90 ცალს, 1944 წლის დეკემბერში მიაღწია. ომის დასრულებამდე დაახლოებით 370 თვითმფრინავი აიგო.

იმ დროისთვის უცხო კონსტრუქციის გამო თვითმფრინავის გამოყენებასაც უცნაური სპეციფიკა ჰქონდა. აფრენის მერე 10-12 კმ სიმაღლეზე ადიოდა და სამიზნეზე ზემოდან პლანირებდა.ამასობაში საწვავიც ილეოდა და შეტევა უკვე პლანირების რეჟიმში, ძალიან მაღალ სიჩქარეზე ხდებოდა. შესაბამისად, მფრინავს მხოლოდ ერთხელ შეტევა შეეძლო.

ლუფტვაფე თვითმფრინავის გამოყენებას გერმანიაში დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან შემოსული მოკავშირეთა ბომბდამშენების მოსაგერიებლად აპირებდა, მაგრამ პირველივე საბრძოლო გაფრენებმა აჩვენა, რომ თვითმფრინავის მთავარი ნაკლი ისევ მაღალი სიჩქარე იყო — სამიზნეს იმდენად სწრაფად უახლოვდებოდა, რომ მფრინავი დამიზნებას ვერ ასწრებდა.

„კომეტის“ პირველი საბრძოლო გაფრენა ორი ამერიკული P-47-ის გასანადგურებლად 1944 წლის 14 მაისს შედგა. მაგრამ ყველაზე საპასუხისმგებლო მომენტში თვითმფრინავს ძრავა გაეთიშა და მფრინავს ძალიან გაუმართლა, რომ „ტანდერბოლტებმა“ მისი დაუცველი თვითმფრინავი არ დაცხრილეს.

პირველი შედეგიანი ბრძოლა კი 16 აგვისტოს გაიმართა, როდესაც 1096 ამერიკული ბომბდამშენი ცენტრალური გერმანიის სამიზნეების დასაბომბად მიფრინავდა. გზის გადასაჭრელად 5 თვითმფრინავი აფრინდა და ერთ-ერთი მალევე ბომბდამშენის მსროლელის მსხვერპლი გახდა.

ერთმა „კომეტამ“ B-17-ის ჩამოგდება შეძლო, მაგრამ მონადირე მალევე მსხვერპლად იქცა — თვითმფრინავს საწვავი გაუთავდა, სიჩქარე დაკარგა და ესკორტის გამანადგურებლების ნადავლი გახდა. ბრძოლა ამერიკელების სასარგებლოდ, 2:1-ით დასრულდა.

24 აგვისტოს 1300 ბომბდამშენის შესაკავებლად სამი წყვილი „კომეტა“ აფრინდა. პირველი წყვილის მეთაურმა შუბერტმა კოლონის თავში მფრენი B-17 დააზიანა, მაგრამ ის ფრენას მაინც განაგრძობდა.

სანაცვლოდ შუბერტის მიმყოლმა ერთი ბომბდამშენი ჩამოაგდო.

ნაკლებად გაუმართლა მეორე წყვილის მფრინავ აიზემანს, რომელიც შეტევისას ბომბდამშენის მსროლელმა ჩამოაგდო.

საწვავის გამოლევის გამო შუბერტი აეროდრომზე დაჯდა, საწვავი ხელმეორედ შეივსო და ისევ აფრინდა. ამჯერად გერმანელმა პილოტმა საბრძოლო ანგარიში კიდევ ერთი ჩამოგდებული ბომბდამშენით შეივსო.

1944 წლის 7 ოქტომბერს საბრძოლო დავალების შესასრულებლად 5 თვითმფრინავი გაფრინდა, მაგრამ ვერც ერთმა მათგანმა სამიზნე ვერ გაანადგურა. დაჯდომისას კი ერთ-ერთი აეროდრომზე მდგარ სამ Me-163-ს დაეჯახა და მფრინავი დაიღუპა.

იმავე დღეს აფრენისას კიდევ ერთი თვითმფრინავი აფეთქდა და მფრინავი შუბერტი დაიღუპა.

„კომეტის“ დაბალი ეფექტურობა მფრინავების არასათანადო მომზადებითა და თავად თვითმფრინავის არასრულყოფილებით იყო განპირობებული.

არსებული მონაცემებით, გერმანელთა 14 დაკარგულ „კომეტაზე“ ამერიკელთა 9 ჩამოგდებული ბომბდამშენი მოდის. ბევრად მეტი — 17 თვითმფრინავი საფრენოსნო შემთხვევებს შეეწირა.

არანაკლებ საინტერესოა „ჰეინკელის“ რეაქტიული გამანადგურებლის, He-162-ის ისტორია.

Volksjager-ად, ანუ „სახალხო გამანადგურებლად“ მონათლული ეს თვითმფრინავი რეკორდულ ვადაში — 90 დღეში დაპროექტდა. მისი შექმნის იდეა გერმანიის შეიარაღების მინისტრ ალბერტ შპეერს ეკუთვნის. მოკავშირეთა ავიაციის განუწყვეტელი დაბომბვების გამო სწრაფი და მანევრირებული გამანადგურებელი გახდა საჭირო, რომლის აგება ხელმისაწვდომი და იაფი მასალისგან იყო შესაძლებელი. მაგალითად, თვითმფრინავში ხის მასალა და აწყობის პროცესში დაბალი კვალიფიკაციის მუშების გამოყენება იყო გათვალისწინებული.

„ჰეინკელის“ ფირმამ პროექტი სწრაფად მოამზადა. ავიაციის ისტორიაში უპრეცედენტო იყო, რომ ნახაზების შექმნა, პროტოტიპის აწყობა და სერიული წარმოებისთვის მომზადება პარალელურად მიმდინარეობდა. მასობრივი წარმოებისათვის სამი საავიაციო ქარხანა შეირჩა.

თვითმფრინავის პირველი პროტოტიპი He-162-V1 1944 წლის 6 დეკემბერს აფრინდა. საავიაციო ქარხნებში უკვე ორგანიზებული იყო 12-საათიანი ორცვლიანი საწარმოო პროცესი. საქმეს არც ერთ-ერთი პროტოტიპის ჩამოვარდნამ და მფრინავის დაღუპვამ შეუშალა ხელი.

თვითმფრინავი ასაგებად რამდენადაც მარტივი იყო, იმდენად რთული პილოტირებაში გამოდგა. როდესაც გაირკვა, რომ მისი პილოტირება არათუ საშუალო კვალიფიკაციის მქონე მფრინავებს, არამედ ლუფტვაფეს გამოცდილ პილოტებსაც კი უჭირდათ, უკვე ჩამოყალიბებული ეს-

მოკავშირეების ბომბდამშენების გამო, He-162-ის წარმოება მიწისქვეშა ქარხნებში ხდებოდა



კადრილია მხოლოდ უმაღლესი დონის მფრინავების მიღებაზე გადავიდა.

რეაქტიული „ჰეინკელების“ საბრძოლო გამოყენების მხოლოდ რამდენიმე ფაქტია ცნობილი:

1945 წლის 15 აპრილს ლეიტენანტი რუდოლფ შმიდტი რამდენიმე ბრიტანულ „სპითფაიერს“ შეებრძოლა.

19 აპრილს ამერიკული ბომბდამშენებისთვის გზის გადასაჭრელად რამდენიმე He-162 გაფრინდა. სავარაუდოდ, იმ დღეს ამ თვითმფრინავმა პირველი გამარჯვება მოიპოვა, როდესაც ფელდებელმა გიუნტერ კირხნერმა რადიოთი ბრიტანული გამანადგურებლის ჩამოგდების ფაქტი გადასცა. ყოველ შემთხვევაში ერთ-ერთი ჩამოგდებული ინგლისელი მფრინავი ირწმუნებოდა, რომ მცირე ზომის გერმანული რეაქტიული გამანადგურებლის მსხვერპლი გახდა. თავად კირხნერს კი საკუთარი გამარჯვების დამტკიცება არ შეეძლო, რადგან რამდენიმე წუთში ის ამერიკულმა P-47-მა ჩამოაგდო და დაიღუპა.

2 მაისს უნტერ-ოფიცერმა რაიხბერგმა ორი ამერიკული P-47 ჩამოაგდო. 4 მაისს მოპოვებულ საჰაერო გამარჯვებაზე ლეიტენანტი შმიდტიც აცხადებდა პრეტენზიას. როგორც ამბობდა, შორ დისტანციაზე ბრიტანული „ტემპესტი“ ან „ტაიფუნი“ ჩამოაგდო. ამავე თვითმფრინავზე პრეტენზიას მეზენიტეებიც აცხადებდნენ და ომის ბოლო დღეებში არსებულ ქაოსში გარკვევისთვის არავის ეცალა.

„სახალხო გამანადგურებლის“ საბრძოლო კარიერა 1945 წლის 8 მაისს დასრულდა, როდესაც ბრიტანულმა ტანკებმა ლენკის აეროდრომი აიღეს. აქ მათ თითქოს საალუმოდ მოწყობილი საწვავის გარეშე დარჩენილი 31 თვითმფრინავი დახვდათ. კიდევ 11 ცალი სარემონტოდ იყო ან იწყობოდა. მათგან 11 — ბრიტანელებს, 4 — ამერიკელებს, 7 — ფრანგებსა და 2 საბჭოთა კავშირს ერგო.

1945 წლის აპრილში 1000 გამანადგურებელი უნდა ყოფილიყო მზად, შემდეგ თვეში — 2000. ორივე თვეში კი მხოლოდ 170 თვითმფრინავის გამოშვება მოხერხდა.

ზემოთ აღნიშნული დანაკარგის გარდა, ესკადრილიამ ომის დასრულებამდე ავარიებში 9 მფრინავი დაკარგა და კიდევ ხუთმა სხეულის სხვადასხვა სახის დაზიანება მიიღო.

თუ მეორე მსოფლიო ომში მონაწილე ყველაზე უჩვეულო თვითმფრინავის გამოსავლენად კონკურსს ჩაატარებდნენ, გამარჯვების დიდი შანსი Do-335-ს ექნებოდა. ავიაციის ისტორიაში ის დღემდე შიდაწვის ძრავების მქონე ყველაზე სწრაფ საბრძოლო თვითმფრინავად რჩება. მასზე მუშაობა „დორნიეს“ ფირმამ საკუთარი ინიციატივით დაიწყო. ძრავების ტანდემური განთავსების სქემა ამ ფირმის სავიზიტო ბარათი იყო. ახალ პერსპექტიულ გამანადგურებლებში ორი ძრავა ფიუზელაჟის ცხვირსა და კუდში უნდა განთავსებულიყო, ანუ ერთი ძრავა ექაჩებოდა თვითმფრინავს, მეორე კი აწვებოდა.


უჩვეულო იერის წყალობით ეს თვითმფრინავი დღემდე ერთ-ერთ ყველაზე ორიგინალურ გამანადგურებლად რჩება

გერმანელების თავსატეხი იყო ბრიტანული „მოსკიტო“, რომელსაც თავის კლასში ბადალი არ ჰყავდა. მოკავშირეთა არც ერთი თვითმფრინავი არ იმსახურებდა ნაცისტების ისეთ სიმპათიას, როგორსაც ეს „ხის საოცრება“. სწორედ ასე შეარქვეს ამ თვითმფრინავს. მსუბუქი ხის კონსტრუქციის წყალობით ის 610 კმ/სთში სიჩქარეს ავითარებდა.

1942 წელს გერმანიაში 800 კმ/სთ სიჩქარის მქონე გამანადგურებელზე დაიწყო მუშაობა. თუმცა ორიგინალურობის გამო „დორნიეს“ პროექტი კარგა ხანს ჰაერში იყო გამოკიდებული. მას არც ხურავდნენ და არც გზას უხსნიდნენ. ასე გრძელდებოდა მანამ, სანამ თვითმფრინავით თვით ჰიტლერი არ დაინტერესდა. მძლავრი შესაძლებლობების იარაღის შექმნის იდეით შეპყრობილმა ჰიტლერმა თვითმფრინავის პროტოტიპების აგება და უმოკლეს დროში სერიული წარმოების დაწყება ბრძანა.

1943 წლის 26 ოქტომბერს Do-335 Pfeil-ი („ისარი“) ჰაერში პირველად აფრინდა. უჩვეულო ფორმის გარდა, თვითმფრინავს მფრინავის დაცვის საკმაოდ უცნაური სისტემაც ჰქონდა.

მასიური კუდის ფრთასხმულობისა და უკანა პროპელერის გამო მფრინავს ტრადიციული ხერხით თვითმფრინავის დატოვება არ შეეძლო. ამიტომაც პროპელერისა და ფრთასხმულობის ავარიული მოშორების სისტემასთან ერთად თვითმფრინავში კატაპულტირებადი სავარძელი დაიდგა.

Do-335 იყო მეორე გერმანული და მსოფლიოში შიდაწვის ძრავას მქონე მესამე თვითმფრინავი, რომელსაც კატაპულტირებადი სავარძელი ჰქონდა.

საფრენოსნო გამოცდებზე ნაჩვენებმა მაქსიმალურმა სიჩქარემ 760 კმ/სთ-ს მიაღწია. ამაზე სწრაფად მხოლოდ რეაქტიული Me-262 ან რაკეტულძრავიანი „კომეტა“ დაფრინავდა. „ისრის“ ერთადერთი კონკურენტი მხოლოდ მესერშმიტის რეაქტიული გამანადგურებელი იყო.

მაღალი სიჩქარის წყალობით Do-335-ს თავის დაღწევა მოკავშირეთა ნებისმიერი თვითმფრინავისგან შეეძლო. ამიტომაც განიხილებოდა მისი მზვერავად გამოყენების ვარიანტიც. ასეთ გადაწყვეტილებაზე ის გარემოებაც მოქმედებდა, რომ „დორნიეს“, როგორც ავიაგამანადგურებელს, სუსტი ჯავშანი და შეიარაღება ჰქონდა.

Do-335-ის სერიული წარმოება საწყის ეტაპზე იყო, როდესაც გერმანიამ კაპიტულაცია გამოაცხადა და თითქმის ყველა გამოშვებული თვითმფრინავი გამოცდას გადიოდა ან იწყობოდა.

ერთადერთი თვითმფრინავი, რომელიც საბრძოლო დავალების შესასრულებლად გამოიყენეს, Do-335V3 იყო. არსებული ცნობით, ფოტოაპარატით აღჭურვილმა თვითმფრინავმა ინგლისის თავზე რამდენიმე სადაზვერვო ფრენა შეასრულა, მაგრამ ეს ნაკლებდამაჯერებელია.

1945 წლის აპრილში ამერიკულმა ჯარებმა ობერპაფენჰოფენი დაიკავეს და ყველა თვითმფრინავი ალაფად დარჩათ.

ორი თვითმფრინავი გერმანელმა მფრინავებმა გადააფრინეს შერბურში, სადაც 20 ივლისს სხვა 38 ნაალაფარ თვითმფრინავთან ერთად ამერიკელებმა გემზე დატვირთეს და ოკეანის გაღმა გაამგზავრეს. კიდევ ორი თვითმფრინავი ფარნბოროს ბრიტანულ საგამოცდო ცენტრს გადასცეს.

*თემურ პულუჩაშვილი*

ეროვნული ბიბლიოთეკა



# როგორ ატყუებდა გერმანულ „აბვერს“ „თბილისელი აგენტი“

## ეს გასაოცარი ამბავი მეორე მსოფლიო ომის დროს მოხდა

**საბჭოთა სპეცსამსახურებს ბოლომდე მაინც არ სჯეროდათ, რომ უბრალო შარლატანი მთელ „აბვერს“ ოთხი წლის განმავლობაში ატყუებდა.**

გერმანელების საბჭოთა კავშირში შემოჭრისთანავე, ბერლინმა მთელი ძალით აამოქმედა თავისი სამხედრო დაზვერვა — „აბვერიც“. ამ უკანასკნელმა კი, თავის მხრივ, მზვერავების გადასხმა დაიწყო მთელ საბჭოთა ტერიტორიაზე, რომლებიც სადაზვერვო ცენტრს სპეციალური რადიოსადგურებით გადასცემდნენ მოპოვებულ ინფორმაციებს.

1941 წლის შემოდგომაზე, როდესაც ვერმახტი მოსკოვს მიადგა, მოულოდნელად უმაღლეს მთავარსარდალს — სტალინს მოახსენეს სრულიად საიდუმლო ინფორმაცია, — გერმანელების აგენტები ბათუმსა და თბილისიდან სადაზვერვო მასალებს აწვდიან ბერლინსო.

ამან სტალინი საშინლად გააბრაზა და სასწრაფოდ დაიბარა ბერია:

— ესაა ლავრენტი პავლოვიჩ, შენი ნაქები კონტრდაზვერვა? ნუთუ საქართველოში ისე „ჩაგიჯდნენ“ გერმანელი აგენტები, რომ ყველა წვრილმანი ზეპირად იციან? სასწრაფოდ გამოააშკარავეთ ისინი და აღკვეთეთ ინფორმაციის გასვლა თბილისიდან, ბათუმიდან და საქართველოს სხვა ქალაქებიდან!

ბერია, რომელმაც ისიც კი იცოდა, რა ხდებოდა შორეულ ციმბირში, სახტად დარჩა, მისი მშობლიური საქართველოდან, სადაც სულ რაღაც სამი წლით ადრე „ქვა ქვაზე“ არ დატოვა და ყველა, ვისზეც კი ოდნავი ეჭვი მაინც გაუჩნდა, კედელთან მიაყენა. ვის შეეძლო გერმანელების სასარგებლოდ ემუშავა?

ბერიას დავალებით მთელი ძალით ამუშავდა, ამჟამად უკვე სახელგანთქმული (თუმცა, რა თქმა უნდა, იმ დროისათვის ძალზე გასაიდუმლოებული), ე.წ. „კემბრიჯის რეზიდენტურა“, რომელიც დიდ ბრიტანეთში მოქმედებდა. კიმ ფილბიმ, ენტონ ბლანტმა და ჯონ კერნ კროსმა, რომლებიც ინგლისის დაზვერვასა და სახელმწიფო სტრუქტურებში მუშაობდნენ, საბჭოთა დაზვერვას მიაწოდეს საიდუმლო მასალები, რომლებიც თავის მხრივ, ინგლისელ აგენტებს ბერლინში ჰქონდათ მოპარული.

ამ მასალების თანახმად გაირკვა, რომ ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში დაიწყო ფუნქციონირება ე.წ. კლარტის ორგანიზაციამ, რომელიც საკმაოდ დიდი საფასურის სანაცვლოდ გერმანულ „აბვერს“ აწვდიდა ინფორმაციებს საბჭოთა არმიის, მათ შორის საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სიტუაციის შესახებ.

1941 წლის შემოდგომის ბოლოდან, ბერიას დაქვემდებარებაში მყოფმა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარია-



ტის — НКВД-ს მე-2 სპეციალურმა განყოფილებამ დაიწყო კლარტის ორგანიზაციის მიერ სოფიიდან ვენისა და ბუდაპეშტის მიმართულებით რადიოგადაცემის დაჭერა და მოახერხა მათი შიფრის გახსნა.

საბჭოთა სამხედრო კონტრდაზვერვამ СМЕРШ-მა სასწრაფოდ დაიწყო დაშიფრული რადიოგადაცემების შემოწმება და საზტად დარჩა — კლარტის ორგანიზაციის მიერ ბერლინისთვის მიწოდებული აურაცხელი სადაზვერვო ინფორმაციიდან მხოლოდ რაღაც რვა პროცენტი თუ შეესაბამებოდა სინამდვილეს! ფაქტობრივად, გერმანელები მთელი ომის განმავლობაში კლარტის დახმარებით დეზინფორმაციას „ყლაპავდნენ"! ასეთ დეზინფორმატორს ბერია ვერც კი ინატრებდა!

შემდეგი შემოწმებებით გაირკვა, რომ კლარტს, რომლის ნამდვილი სახელი რიჰარდ კაუდერი იყო, არავითარი მზვერავები არ ჰყოლია თბილისსა თუ ბათუმში. იგი ჩვეულებრივი შარლატანი გახლდათ, ამასთან, ებრაელიც და ფულის გაკეთებასთან ერთად, ეტყობა, ფაშისტების გაცურების დიდი სურვილიც არ ასვენებდა.

მისი ორგანიზაციისთვის ინფორმაციის ძირითად წყაროს გაზეთები და ჩვეულებრივი რადიოგადაცემები წარმოადგენდა. ამ ორგანიზაციაში, მეფის რუსეთის რამდენიმე გენერალიც მოღვაწეობდა, რომლებიც პირველი მსოფლიო ომის დროს კარგად გაეცნენ თბილისსა და ბათუმს. ეს რუსი ვეტერანი გენერლები გაზეთებიდან გაგებულ ახალ ამბებს საქართველოში მიღებულ საკუთარ რამდენიმე მოგონებასაც ჩაურთავდნენ-ხოლმე და მზად იყო ახალი სადაზვერვო ინფორმაცია, საქართველოში საბჭოთა არმიის ნაწილებისა და საერთოდ, ქართველების ომთან დამოკიდებულების შესახებ.

ომის ბოლოს, მწარედ მოტყუებულმა გერმანელებმა რაღაც იყნოსეს და 1945 წლის თებერვალში კლარტი დააპატიმრეს. მალე ის უკვე მოკავშირეების ხელში აღმოჩნდა და აშშ-ის სპეცსამსახურებმა იგი ვაშინგტონში გადააგზავნეს.

ასე დამთავრდა ეს უცნაური ამბავი. თუმცა, სტალინს ამ ოპერაციის საბოლოო შედეგები მხოლოდ 1947 წელს მოახსენეს, რადგან საბჭოთა სპეცსამსახურებს ბოლომდე მაინც არ სჯეროდათ, რომ უბრალო შარლატანი მთელ „აბვერს" ოთხი წლის განმავლობაში ატყუებდა.

**ირაკლი ალადაშვილი**

# ეს საინტერესოა



● პირველი მსოფლიო ომის ბოლოს ცნობილი ჩეხი მწერალი იაროსლავ ჰაშეკი („ყოჩაღი ჯარისკაცის შვეიკის თავგადასავლის" ავტორი) ავსტრია-უნგრეთის არმიაში მსახურობდა. ერთხელაც ათიოდ რუს ჯარისკაცს გადაეყარა. მიხვდა, ძალები არათანაბარი რომ იყო და ტყვედ ჩაბარება გადაწყვიტა, მაგრამ ომმობეზრებულმა რუსებმა აიძულეს იქით დაეტყვევებინა ისინი. ასე რომ, ჰაშეკი ნაწილში ტყვეებითა და ჩაბარებული იარაღით დაბრუნდა.

● 1866 წლის 4 აპრილს სანქტ-პეტერბურგში იმპერატორ ალექსანდრეს თავს დაესხნენ. იმდროინდელი ოფიციალური ვერსიით, ტერორისტ კარაკოზოვს მიზნის მიღწევაში ხელი შეუშალა კოსტრომელმა მეჩაჩინმა კომისაროვმა. მადლიერმა ხელისუფლებამ მისი სახე მედალზე ამოტვიფრა, აზნაურობა მიანიჭა და ხშირად იწვევდნენ მიღებებზე. ერთხელაც მეფემ ჰკითხა თავის მხსნელს, რას ისურვებო. დაბნეულ კომისაროვს მეფის კარისკაცმა ჩასჩურჩულა: კამერიუნკრობა სთხოვეო (ყველაზე დაბალი წოდებულება მეფის კარზე). ეტყობა, ბედოვლათმა კარგად ვერ გაიგო ან არ იცოდა, რას ნიშნავდა კამერიუნკერი, ამიტომ რიხიანად მოახსენა, იუნკრობა მინდაო (უნტერ-ოფიცერთა სასწავლებლის კურსანტი). გაოცებულმა მეფემ მხრები აიჩეჩა და ბრძანა, კომისაროვი იუნკერთა სამსახურში ჩაერიცხათ.

● ფრანკო-პრუსიის ომის დროს საფრანგეთის არმიის შეიარაღებაში ტყვიამფრქვევებიც იყო, მაგრამ ამ მძლავრი იარაღით არავის უსარგებლია, რადგან საიდუმლოს დაცვის მიზნით კონსტრუქტორებს ა ჯარებში არ გაუგზავნიათ ტყვიამფრქვევის გამოყენების ინსტრუქცია.

● პირველი ავღანურ-ბრიტანული ომის დროს ბრიტანული საექსპედიციო ძალების სარდლად დანიშნეს ასთმითა და რევმატიზმით დაავადებული, ცალ ხელ-ფეხგაუქმებული 60 წლის გენერალ-მაიორი უილიამ ელფინსტოუნი. ყველა ამ უბედურებასთან ერთად მას არც ცხენზე ჯდომა შეეძლო. გენერალ-მაიორი ყველგან საკაცით დაჰყავდათ. შედეგად, საექსპედიციო ძალების 16 000 კაცისგან გადარჩნენ მხოლოდ ერთი ევროპელი და რამდენიმე ინდუსი.

● პირველ მსოფლიო ომში გერმანელთა წყალქვეშა ნავის კაპიტანმა პერისკოპში დაუცველი ბრიტანული სატრანსპორტო გემი დაინახა და მისი ტორპედოთი განადგურება გადაწყვიტა. რადგან გემბანზე მხოლოდ სატვირთო ავტომანქანები ჩანდა, კაპიტანმა წყლის ზედაპირზე ამოსვლისა და ტორპედოს გაშვების ბრძანება გასცა. საუბედუროდ, ბრიტანულ გემს მანქანებთან ერთად ტრიუმით ასაფეთქებელი საბრძოლო მასალაც გადაჰქონდა და მოხდა მძლავრი აფეთქება. ჰაერში ავარდნილი ერთ-ერთი სატვირთო მანქანა უიღბლო წყალქვეშა ნავს დაეცა და ეკიპაჟიანად ჩაძირა.

● ომი ძვირად ღირებული „სიამოვნებაა", მაგრამ, როცა 1923 წელს გერმანიის მთავრობამ გადაწყვიტა, დაეთვალა, რა დაუჯდა ქვეყანას პირველი მსოფლიო ომი, თანხამ შეადგინა... 15,4 პფენინგი — იმ დროს ინფლაციის გამო რაიხსმარკა ზუსტად ტრილიონჯერ იყო გაუფასურებული.

● შვეიცარიაში საარმიო სამტრედე ფოსტა მხოლოდ რამდენიმე წლის წინ გაუქმდა.

**ვახტანგ კაპანაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ანეკდოტები

— მაიზერ, გამოდი, კაცო, აქეთ, დანაღმულია მანდ!
— არ ისმის, რა თქვი?
— დანაღმულია, დანაღმული, გამოდი მაქედან!
— არ მესმის, რას ამბობ, ხმამაღლა მითხარი!
ისმის აფეთქების ხმა.
— ეჰ, ხომ ვეუბნებოდი, დანაღმულია-მეთქი, საწყალი მაიზერი.
— არ ისმის, ხმამაღლა მითხარი, ვინაა საწყალიო?



მიხო რაღაცას აკეთებს, მარო კი იქვე უსაქმურად ზის. მიხომ ერთხელ გახედა, მეორედ... ბოლოს ვეღარ მოითმინა:
— დედაკაცო, რას დამჯდარხარ? აწი საჯდომი და მამეხმარე!
— არ შემიძლია. ხო იცი, ექიმმა ამიკრძალა მძიმეების აწევა.



ჯარისკაცური ცხოვრება აღსავსეა კურიოზებით და კარგ ანეკდოტს ბრძოლის ველზე თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში მყოფი მეომრებისთვის ხშირად აუმაღლებია საბრძოლო სულისკვეთება. გამოგვიგზავნეთ „არსენალის" რედაქციაში ფოტოები, კურიოზები, რომლებიც თქვენ ან თქვენს მეგობრებს გადაგხდენიათ, ასევე სასაცილო ანეკდოტები სამხედრო თემაზე, რათა კარგი განწყობა „არსენალის" დანარჩენ მკითხველებსაც შევუქმნათ.

E-mail: arsenali@kvirispalitra.com
ტელ.: 896 104 401

## kARMY კატურა

„რუსი მაკედონელი"




# სიდედრის ენა SID 2010



**ჩვენი დოსიე:**
გარშემოწერილობა 27 სმ
სიგრძე 15-20 სმ
მოძრაობს ექვსივე მიმართულებით, ზევით, ქვევით, წინ, უკან, მარჯვნივ, მარცხნივ.
იარაღი თავში სქელია, შემდეგ წვრილდება, ბოლოში კი აქვს წვეტი, რომელიც შეიცავს დიდი რაოდენობით ქიმიურ შხამს.
უმრავლეს შემთხვევაში იარაღი იწვევს სიკვდილს.

**21-ე საუკუნის სიდედრის ენა SID 2010, გვხვდება როგორც მაყუჩიანი, ასევე უმაყუჩო, გააჩნია ღამის ხედვის მოწყობილობა.**

უძველესი იარაღი, გავრცელებულია მთელ მსოფლიოში, ანადგურებს ნელა, მაგრამ აუცილებლად, მისი გამოყენება იწვევს სასუნთქი ორგანოების შეშუპებას, ძლიერ აზიანებს გულს, მაგრამ განსაკუთრებულ მტკივნეულ დარტყმას აყენებს ნერვებს, მსოფლიო სტატისტიკით ყოველი მეხუთე მამაკაცი ამ იარაღის მსხვერპლია. იარაღის გამოყენება იწვევს მიგრაციას სხვადასხვა ქვეყანაში. აქვს უახლესი ტექნოლოგიის სადაზვერვო მოწყობილობა და შეიძლება გადასახლებაშიც აღმოგაჩინოს. იარაღით დაჭრილის სიმპტომებია: დედის გინება, ჭურჭლის მტვრევა, ყოველდღე სიმთვრალე. იარაღს აქვს სუსტი წერტილიც — ბევრი ფული, ამ შემთხვევაში იარაღი უფუნქციო ხდება და კონტროლს ადვილად ექვემდებარება.

დღევანდელ მსოფლიოში იარაღი უკვე მუშაობს როგორც რეალურად, ასევე ვირტუალურად (ინტერნეტი). ვირტუალურიც არანაკლებ საშიშია და ამ დროს რეკომენდებულია ინტერნეტის ან კომპიუტერის გათიშვა.

რჩევა: ეცადეთ, აერიდოთ ამ იარაღს ყველგან, სადაც კი შეგხვდებათ, ან იარაღის გამოჩენისთანავე ჯიბეში იქონიოთ ბევრი ფული.

# ფოტოკომიკი


NATO-ს ჯარისკაცი კახურ „ჰამერზე“

# ქართველოლოგი ჯარისკაცი

როგორც მოგეხსენებათ, საბჭოთა ჯარში სამსახური ერთ დროს დიდად საამაყო იყო. ქართველი მამები ამაყობდნენ, რომ ბიჭი მოესწროთ და ჯარში უშვებდნენ. იმასაც ამბობდნენ, სხვა თუ არაფერი, რუსულს მაინც ისწავლისო.

კაკო კ-ძე სკოლაში მოვალეობის მოხდის მიზნით დადიოდა, კლასიდან კლას-ში ხათრით გადაჰყავდათ. რა თქმა უნდა, სამხედროს გაკვეთილებზეც ისევე ითვლიდა ბუზებს, როგორც ქიმიისა თუ ქართულის. ამიტომაც არ იცოდა, რომ საბჭოთა არმიაში ყველაფერი რუსულ ენაზე წარმოებდა.

როცა თვრამეტი წლის გახდა და ჯარში გაიწვიეს, მისდა სამწუხაროდ ისეთ ნაწილში მოხვდა, სადაც ქართველი არ იყო. მისი პირველი წერილიც ამ სამწუხარო ამბით იწყებოდა:

„კარგად ვარ, არაფერი მიჭირს, ავიაციაში მოვხვდი, ოღონდ ეგაა, აქ ქართუ-ლი ავიაცია არ არის, მხოლოდ რუსული ავიაციაა და ვერაფერს ვიგებ“.

***დათო ქარსელაძე, იმერეთი***




რუბრიკა მოამზადეს *სულხან ნამჩევაძემ* და *გელა კორძაძემ*

# „ჯარისკაცის წერილი შეყვარებულს“



გაუ-მარ-ჯოს! ჩემო ძვირფასო, რო-გორც სამხედრო საიდუმლო, ისე ვი-ნახავდი შენს სიყვარულს და როგორც იქნა, შევძელი მეთქვა, რომ ისე მიყვარ-ხარ, როგორც რუსის ჯარისკაცს ომი. მახსოვს, როგორც კი დაგინახე, გულ-ში ისე ჩამივარდი, როგორც „ლიმონკა“ — სანგარში. შენმა სურვილმა ჩემი სხეულის სრული ოკუპაცია მოახდინა და, ალბათ, ვერასოდეს ეღირსება თავი-სუფლება. იმ დღიდან სნაიპერის შაშხა-ნასავით მიზანში ვისვრი, მაგრამ შენ შენი ჯავშანჟილეტისებური გამოხედვით მუდამ იცილებ ჩემი ვნების ტყვიებს. აღარ ვიცი, რა უნდა ვქნა. მეგობრები ისე გადმომცემენ შენს ადგილმდებარე-ობას, როგორც არტილერისტს — კო-ორდინანტებს, მეც „მიწა-მიწა“ რაკეტის სიჩქარით შენთან ვჩნდები, მაგრამ ვერა-ფერი მოვუხერხე შენს ანტისარაკეტო სისტემის მსგავს ხასიათს. უკვე იმდენ-ჯერ გითხარი მიყვარხარ-მეთქი, რომ გაეროს შეშფოთებებს და აღშფოთებე-ბს გადავუსწარი. თუმცა უკვე ვგრძნობ, რომ ისეთივე ზედმეტი ვარ, როგორც საააკაშვილისთვის ოქრუაშვილი, მაგრამ მაინც მიყვარხარ, რადგან შენ ჩვენი ბა-ზის ჩამოწერილი შვეულმფრენივით და-ჟანგებული ჩემი სული გაწმინდე შენი სილამაზით, როგორც მე ვწმენდ ჩემს ავტომატს და გრძნობები ჩეხური ტანკი-ვით აათუხთუხე. გუშინ კი სამწუხარო ამბავი მაცნობეს, ისე, როგორც გენე-რალს აცნობებენ რაციით უკან დახევის ბრძანებას. თურმე ვიღაც ახალწვეული შეგყვარებია და ჩამანაცვლე ისე, რო-გორც ქართულ ჯარში ჩაანაცვლეს M4-ით „კალაშნიკოვი“, მაგრამ ვერა, ვერ წამართმევენ ჩემს სიყვარულს, როგორც რუსებმა M4-ები წაიღეს, რადგან ჩემი სიყვარული ისრაელ-პალესტინის ომივით მარადიულია და ლუკაშენკოს გეოპო-ლიტიკასავით შეუცნობელი, ამიტომ არ დაგანებებ თავს ჩემი გრძნობების NATO-ვ შენ ჩემი უნდა გახდე, თუნდაც ამისთვის ჰანიბალის ნახევარმთვარეს მანევრის მს-გავსად შენმა დაპყრობამ მომიწიოს. ახლა კი ნახვამდის და თავისუფლად.

***შენზე რეზერვისტივით დაბნეული, შეყვარებული ჯარისკაცი***

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩეჩნური „მგელი", რომელსაც სომხური ფუძე აქონია

## თვითნაკეთი პისტოლეტ- ტყვიამფრქვევი „ბორზი" კავკასიის ქედის ორივე მხარეს ისროდა

თვითნაკეთმა ცეცხლსასროლმა იარაღმა დღეს შეიძლება „არსენალის" მკითხველის ირონიული ღიმილი გამოიწვიოს, რადგან მას თითქმის ნებისმიერ იარაღის მაღაზიაში თანამედროვე პისტოლეტების არა მარტო ნახვა, არამედ შეძენაც შეუძლია.

20 წლის წინ, საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდში, თვითნაკეთი პისტოლეტები და პისტოლეტ-ტყვიამფრქვევები ძალზე პოპულარული იყო, განსაკუთრებით საბრძოლო მოქმედებების რეგიონებში — მთიან ყარაბაღში, სამაჩაბლოში, აფხაზეთსა თუ დნესტრისპირეთში.

სომეხმა კონსტრუქტორებმა ყარაბაღის ომის დროს შექმნეს თვითნაკეთი პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი K6-92 და მის სერიულ წარმოებასაც შეუდგნენ, მაგრამ მალე მთიან ყარაბაღში ომმა ფართო მასშტაბი მიიღო, რომელშიც მსხვილკალიბრიანი არტილერია და ავიაციაც მონაწილეობდა და თვითნაკეთმა პისტოლეტ-ტყვიამფრქვევმა აზრი დაკარგა.



ჩეჩნეთში კუსტარულად დამზადებულ ყველა პისტოლეტ-ტყვიამფრქვევს რატომღაც „ბორზს" ეძახდნენ

სამაგიეროდ სომხური K6-92-ით დაინტერესდა გენერალი დუდაევი, ჩეჩნეთის ლიდერი. დუდაევი ხვდებოდა, რომ ადრე თუ გვიან, მას კრემლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

**სომხური „არწივის“ სიგრძე 368 მმ-ს, ლულის სიგრძე — 153 მმ-ს, ხოლო მასა 1595 გ-ს შეადგენდა. მჭიდში „მაკაროვის“ პისტოლეტის 16 ვაზნა ეტეოდა.**



უკონდახო
**Eagle**

შეებრძოლებოდა და ამიტომაც დაიწყო ზრუნვა ჩეჩნური არმიის შექმნასა და შეიარაღებაზე.

სომხური K6-92 ჩეჩნეთში „ბორზად“ მოინათლა, რაც „მგელს“ ნიშნავს და მის მცირე სერიულ წარმოებას გროზნოს ერთ-ერთ ქარხანაში შეუდგნენ.



**K6-92**

**მოდერნიზებულ K6-92-ს დასაკეცი კონდახი დაუყენეს და მისი სიგრძე გახსნილი კონდახით 665 მმ-მდე გაიზარდა, დაკეცილი კონდახით კი 369 მმ-ს შეადგენდა. მომავალი „ბორზის“ მასა 1952 გ-ს აღწევდა, ლულის სიგრძე 150 მმ-ს, ხოლო მჭიდში 9X18 მმ კალიბრის 25 ვაზნა თავსდებოდა.**

1994 წლის ბოლოს მოსკოვმა მართლაც შეუტია გროზნოს, მაგრამ ამ მომენტისთვის დუდაევის მებრძოლებს საკმაოდ ჰქონდათ მომარაგებული ყოფილი საბჭოთა არმიის საშტატო შეიარაღება („კალაშნიკოვის“ ავტომატები, ტყვიამფრქვევები, ყუმბარსატყორცნები) ჩეჩნეთის ტერიტორიაზე დისლოცირებული რუსული სამხედრო ნაწილების საწყობებიდან და ამიტომაც ნახევრად კუსტარული „ბორზი“ დიდად აღარც აინტერესებდათ.

საგულისხმოა, რომ ჩეჩნეთში შემდგომშიც გრძელდებოდა კუსტარული ცეცხლსასროლი იარაღის დამზადება და ყოველი ახალ პისტოლეტ-ტყვიამფრქვევს „ბორზს“ არქმევდნენ, ამიტომაც ყველა „ბორზი“ ერთმანეთს არ ჰგავს. თავად სომხეთში K6-92-ის წინამორბედი, როგორც ჩანს, ასევე თვითნაკეთი პისტოლეტ-ტყვიამფრქვევი Eagle იყო.

იმ პერიოდში საქართველოშიც შეიქმნა თვითნაკეთი პისტოლეტ-ტყვიამფრქვევები „აია“ და „ივერია“, მაგრამ მათ, ისევე როგორც სომხურ K6-92-სა თუ ჩეჩნურ „ბორზს“, დიდი საიმედოობა არ ახასიათებდა, „მაკაროვის“ პისტოლეტის ვაზნა არ გამოირჩეოდა სიძლიერით და ასეთმა ნახევრად კუსტარულმა იარაღმა დიდი გავრცელება ვერ ჰპოვა, მით უმეტეს, რომ მებრძოლი მხარეების შეიარაღებაში ათიათასობით ქარხნული წარმოების „კალაშნიკოვი“ იყო.

მიუხედავად ამისა, თვითნაკეთ ცეცხლსასროლ იარაღს მაინც ჰყავს მომხმარებელი — კილერები, რომლებისთვისაც ასეთი იარაღი ერთჯერადად გამოსაყენებლად ზედგამოჭრილია.

***ირაკლი ალადაშვილი***



K6-92-ის
არასრული
დაშლა



ISSN 1987-5061